პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და
მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

ხელის მომწერის თვიური ფასი: ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. [illegible] მომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ-

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

შეერთებული შტატები ჯარებს გზავნის [illegible] კუნძულ კუბას წინააღმდეგ.

ავსტრიაში პირველი მაისის დღესასწაულის დროს მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის.

ბულგარეთის მთავრობამ შეიმუშავა [illegible] ბლოკადის გეგმა.

მთელ პოლონეთში პირველი მაისის დღესასწაული დიდი ზეიმით ჩატარდა.

№ 102 (957) ოთხშაბათი, 7 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 102 (957)

გერმანელ ფაშისტების პროვოკაცია

ბერლინში არსებულ ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარი ამბავი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დიპლომატიური გამწვავება ორ სახელმწიფოს შორის, იქცევს დღეს საყოველთაო ყურადღებას და პოულობს გამოძახილს მთელი ევროპის პრესაში.

სავაჭრო წარმომადგენლობას თავს დაესხა პოლიცია, გაჩხრიკა ის, დაატუსაღა მოსამსახურეები, გასინჯა ქაღალდები და გაუდგა გზას. დატუსაღებულებს გერმანიის მთავრობა აძლევს პასუხისგებაში. ამის მიზეზი გერმანიის მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად, თითქოს ის არის, რომ ერთი დაჭერილი კომუნისტი დაიმალა სავაჭრო წარმომადგენლობაში და ამან გამოიწვია პოლიციის ჩარევა.

მკითხველს შეუძლია იკითხოს რა დამოკიდებულება არის თითქოს დამალული კომუნისტის ძებნასა და დიპლომატიური და საქმის ქაღალდების ჩხრეკის შორის? როგორ მოხდა, რომ დატუსაღებულ და ,,დამალულ‘‘ გერმანელ კომუნისტს პოლიცია მაგიდებში ეძებდა და, რასაკვირველია, ვერაფერს იქ ვერ პოულობდა გარდა დოკუმენტებისა, რომლებსაც ის ყურადღებით ათვალიერებდა და უშედეგო ,,გამოკვლევის‘‘ შემდეგ უბრუნებდა წარმომადგენლობას? თავის თავად ცხადია, რომ სხვა განძრახვა ამოძრავებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და ჩვენის აზრით სრულიად ახლოს არის ჭეშმარიტებასთან ის ახსნა-განმარტება ინციდენტის, რომელსაც იძლევა კომუნისტური გაზეთი ,,როტე ფანე‘‘. გერმანიის მთავრობას სურს საბჭოთა კავშირის მიმართ პროვოკაციული გამოსვლებით პუანკარეს ,,გული მოიგოს‘‘ და ამით საფრანგეთის იმპერიალიზმის წინაშე თავისი კაპიტულიაციის მთელი ხაზი დაამთავროს.

პუანკარეს ოფიციალური ორგანო „ტან“-ი სწერდა აგერ წინაზე, რომ გერმანიის მთავრობა ჰკუიანდებაო. ამ მოჰკუიანების ერთი მაჩვენებელი ფაქტი ზედმეტი არ იქნება მარქს-შტრეზემანის მთავრობისათვის, რომ ერთხელ კიდევ საფრანგეთისადმი ლოიალური დამოკიდებულების ნიმუში უჩვენოს თავის დღევანდელ მბრძანებელს, მით უმეტეს თუ ამას ის იმნაირათ მოახერხებს, რომ საბჭოებთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტამდი არ დაუშვებს საქმეს. ამ გზით „ორი კურდღელის“ დაჭერა შეიძლება და სწორეთ აქეთკენ მოუწოდებს გერმანიის მთავრობას მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელი ორგანოც, „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა არ წამოეგება გერმანიის ფაშისტების პროვოკაციულ ანკესზე და დიდი საბჭოთა სახელმწიფოს კეთილი სახელისა და პრესტიჟის შენარჩუნების ფარგლებში დაიცავს იმ კავშირს, რომელიც გამოსადეგია ორივე დაინტერესებული მხარისათვის და აღმოცენებული რაპალლოში დადებულ ხელშეკრულების ნიადაგზე. ხოლო გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელმაც ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში, ყოველი საშუალებით ისარგებლებს, რომ ხალხს თვალი აუხილოს იმ საფრთხეზე, რომელსაც უმზადებს მას შტრეზემანის მთავრობა დამოკიდებულების გამწვავებით ჩვენ კავშირთან.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლად, მისი კულტურული დონის ასამაღლებლად.

მუშათა და გლეხთა მთავრობამ გახსნა დიდძალი ახალი სკოლები, თვითმპყრობელობის და მენშევიკების დროსთან შედარებით; მოახდინა თვით სკოლის ძირითადი რეორგანიზაცია, დაუახლოვა ის ცხოვრებას, მეურნეობას, შრომას.

რა თქმა უნდა, სასკოლო საქმეში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საჭიროა სკოლის ქსელის გაფართოება, რათა არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე; საჭიროა მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, და მრავალი სხ.

რესპუბლიკის ეკონომიურ-ფინანსიური შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით საშუალებას არ გვაძლევს ამ დარგში უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა.

ამჟამად სწავლა განათლებაზე მთავრობა ხარჯავს მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 50 პროც. მეტს.

მაგრამ ხელისუფლების საზრუნავ საგანს შეადგენს არა მარტო ნორჩი თაობის აღზრდა-განვითარება, არამედ მოზრდილთა უცოდინარობასთან ბრძოლაც.

მშრომელი ხალხის მასსიური სიბნელე, მისი საგრძნობი ნაწილის მიერ უბრალო წერა-კითხვის უცოდინარობა—ეს მეტად მძიმე მემკვიდრეობაა, დამხობილი რეჟიმიდან გადმოცემული.

საბჭოთა ხელისუფლება ასეთ სიბნელეს და უმეცრებაში ხალხს ვერ დასტოვებს.

ჩვენთვის ცხადია, რომ ელემენტარულ ცოდნას მოკლებული მუშა და გლეხი ვერ მიიღებს შეგნებულ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ და საზოგადო ცხოვრებაში, რომ შეუძლებელია ლაპარაკი წარმატებითი სოციალისტურ მშენებლობაზე, სანამ ამისათვის არ არსებობს ისეთი ძირითადი პირობათაგანი, როგორიც ერთგვარი კულტურული დონე მოსახლეობის, სანამ არ არის მოსპობილი მცხოვრებთა ტეხნიკური უცოდინარობა. აბა რა შეგნებული მოქალაქე და ახალი ცხოვრების მშენებელი უნდა იყოს ისეთი კაცი, რომელსაც, სხვა არა ვთქვათ რა, მასსიური, სახალხო გაზეთის კითხვა და გაგება მაინც არ შეუძლია?

ყველაფერი ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ საჭიროა ამ დარგში უფრო მეტი პრაქტიკული მუშაობა და მეტი დაინტერესება საქმით თვით ფართო მასსის, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების.

რუსეთში დადგენილია, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა მოისპოს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის, ე. ი. 1927 წლისათვის. ამ ამოცანის განსახორციელებლად იქ დიდი მუშაობა წარმოებს, წინასწარ გათვალისწინებული ერთიანი გეგმის მიხედვით.

ჩვენში, უნდა ითქვას სიმართლე, ამ მხრივ მუშაობა დღემდე საგრძნობლად მოიკოჭლებდა. ამის მთავარი მიზეზია უსახსრობა, მაგრამ არა მარტო ეს. აქ ადგილი აქვს ორგანიზაციულ ხასიათის ნაკლულევანებებსაც, მთლიანი და ცხოვრებასთან შეფარდებული გეგმის უქონლობასაც, საჭირო მუშაკების უყოლობასაც.

აქა-იქ არსებობენ სალიკვიდაციო პუნქტები, მაგრამ იქ მეცადინეობა მოიკოჭლებს. ხოლო გაცილებით უფრო მეტ ალაგას ამ მხრივ არავითარი ნაბიჯიც არ უფილა გადადგმული. საერთოდ ამ დარგში მუშაობის ნაყოფი შედარებით მეტად მცირეა.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ამ დარგში უნდა გავაფართოვოთ სისტემატიური მუშაობა რესპუბლიკის მასშტაბით გამომუშავებული გეგმით.

დღეს იბეჭდება მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით მოსახლეობის (18—40 წლამდე) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ათი წლის განმავლობაში—1931 წლის 25 თებერვლამდე. სათანადო დაწვრილებითი გეგმის გამომუშავება ევალება პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს. ფინანსიური საშუალებებს გაიღებს განათლების კომისარიატი თავისი ბიუჯეტიდან.

რა თქმა უნდა, მთავრობის დადგენილება კარგია. საუკეთესო გეგმის შედგენაც შეიძლება. მთავარია მისი გატარება. და აქ მთავრობას გვერდში უნდა ამოუდგნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები. სასურველია, აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებების დაარსება. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა კულტურული ძალები,—მასწავლებლები და სხვები.

საერთო ძალღონით ჩვენ უნდა შევსძლოთ წარსულის ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის,—ხალხის სიბნელის, მისი უმეცრების აღმოფხვრა დაწესებულ ვადის განმავლობაში—1931 წ. 25 თებერვლამდე.

მიწათ-მოწყობის შესახებ

მიწათმოწყობის მუშაობა ძალიან იგვიანებს. ამის უახლოესი მიზეზი მუდამ იყო და არის უფულობა. ცხოვრება კი არ ითმენს და მაზრებიდან ყოველ დღე მოდის დეპეშები მიწისმზომლების გაგზავნის შესახებ.

მიწის მოწყობა სასოფლო მეურნეობის საფუძველია. თუ მიწის მუშას ან კოლექტივს გარკვეულად არა აქვს მიზომილი ესა თუ ის მიწის ნაკვეთი ხანგრძლივ სარგებლობისათვის, ისე არავითარ გულდადებით და იმედით სასოფლო სამეურნეო მუშაობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი დანაწილება მიწების კი შეიძლება მხოლოდ მიწათმოწყობის ტეხნიკის საშუალებით, მიწების კანონიერ ნორმაში მიზომვით, მათი ავკარგიანობის, მდებარეობის, ფორმის და ბევრი სხვა პირობების მხედველობაში მიღებით. ყველა ეგრეთ წოდებული დაკვრითი წესები მიწის საქმეში კარგია მხოლოდ როგორც რევოლიუციონური აქტი მსხვილი მემამულეთა და „კულაკებისაგან“ მიწის ჩამოსართმევათ, მაგრამ როგორც მიწის რაციონალურათ მოწყობის, განაწილების და სამუდამო მამულო ურთიერთობათა მომწესრიგებელი საშუალება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ეს წესები უვარგისია.

ეს უბრალო ჭეშმარიტება რუსეთში სამი წლის (1918—20) მწარე გამოცდილებით და დიდი მსხვერპლის შემდეგ ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რისი შედეგიც იყო 1921 წლის 28 მარტის სრ. რუს. ც. ა. კ. სესიის დადგენილება—მიწათმოწყობის შესახებ (იხ. „კომუნისტი“-ს 1921 წლის ოცდა შვიდი მარტის № 21), სადაც გარკვევითაა ნაჩვენები მიწათმოწყობის აუცილებლობა ტეხნიკისა და ყველა საჭირო ფორმების დაცვით. ამ დადგენილების შემდეგ იქ მიწათმოწყობამ ფართო ხასიათი მიიღო, რამოდენიმე წლის განმავლობაში მიწისმზომელთა რიცხვი ოთხი ათასიდან რვა ათასამდე ავიდა, მიწის სარგებლობა სწორდება და მაგარ საზღვრებში ჩადგა, შესაძლებელი გახდა მიწით სარგებლობის ყოველგვარი ფორმის თავისუფლათ შექმნა რუსეთის სოფელში მიწის ურთიერთობაში წესიერება და სამართლიანობა დამყარდა, რისი შედეგიც არის სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ის გადიდება და გაჯანსაღება, რომლის მოწამეც ვართ დღეს. ეს არის შედეგი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა მიწის საკითხში, რომელსაც, მართალია, მოყვა უარყოფითი შედეგიც, როგორიცაა სოფლის დანაწილება კულაკებად და ღარიბ მიწის მუშებად, მაგრამ ამ დანაწილების წინააღმდეგ ბრძოლა ოდნავადაც ვერ შეასუსტებს იმ დადებით შედეგებს, რომელიც მოიტანა მიწათმოწყობამ.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში. აქ მიწათმოწყობის ტეხნიკების შტატი შემცირდა და ამ შემცირებული შტატითაც წელიწადში მხოლოდ 3—4 თვეს წარმოებდა მუშაობა. ასე მაგალითად 1921 წელში მუშაობა დაიწყო ივლისში, 1922-ში ივნისში და 1923-ში მაისში. ე. ი. ყოველ წელს ტყუილად დაიკარგა 2—4 საუკეთესო სამუშაო თვე. ასეთი უყურადღებობა მიწათმოწყობისადმი რომ მხოლოდ უფულობის ბრალი იყოს, არაფერი ექნებოდა სათქმელი, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრს მიწათმოწყობა ზედმეტ ბარგათ მიაჩნიათ. „რა საჭიროა მიწისმზომელები მათი დურბინდებით და პლანშეტებით, ჩვენი გლეხი თვითონაც კარგათ გაზომავს მიწასო“. სინამდვილეში კი მიწათმოწყობა ისეთივე საჭიროებაა სასოფლო მეურნეობისთვის, როგორც წერა კითხვა ხალხის განათლებისთვის. სრულიად ზედმეტია ამის თეორეტიულად მტკიცება; საკმაოა ჩავიხედოთ მიწადმოქმედების კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების ერთი-ერთ საქმეში, სადაც ნახავთ რამოდენიმე ათეულ დეპეშას, რომლითაც ერთი მაზრა ითხოვს 10 ტეხნიკს, მეორე—12, მესამე—15 და ასე ბოლომდე.

ასეთი მოთხოვნა მეორდება ყოველ წელს, მაგრამ დღემდე არც ერთი მაზრა არ არის დაკმაყოფილებული, რადგანაც ცენტრს მხოლოდ 70 მიწისმზომელი ჰყავს, რომელთაც უნდა შეასრულონ სასოფლო სამეურნეო მიწების, ახალშენების და საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მოწყობა მოწესრიგება ხუთი მილიონ დესეტინის სივრცეზე ორ მილიონამდე მცხოვრებით 16 მაზრაში. ადვილი წარმოსადგენია მისთვის, ვინც იცნობს მიწათმოწყობის ტეხნიკას, რა უნდა გაკეთდეს ამ რიცხვით და ისიც მაშინ, როდესაც მუშაობა ახალ გაზაფხულის მაგივრათ შუა ზაფხულიდან იწყება. ჩვენ არას ვამბობთ მიწის მზომელთა ჯამაგირებზე, რომელიც თვიურათ არ აღემატება 19—21 მანეთს და სხვა ნივთიერ გაჭირვებაზე, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობას.

სრულიად უყურადღებოთაა ეს საქმე მიტოვებული მაზრის აღმასკომებშიც, გარდა თბილისის მაზრისა, რომელმაც მაქსიმალური ენერგია განავითარა მიწისმოწყობის საქმეში, არ დაკმაყოფილდა ცენტრიდან მიღებულ გროშებს და ორიოდე ტეხნიკს, თვითონ გამონახა ამ საქმისთვის ფულიც და ტეხნიკებიც და შედეგი მისი მუშაობისა არის ის, რომ თბილისის მაზრის სოფლების ნახევარზე მეტი უკვე მოწესრიგებულია მიწათმოწყობის მხრივ და სოფლის მუშა ცენტრში აღარ მოდის საჩივრებით.

სულ სხვა მდგომარეობაა დანარჩენ მაზრებში, სადაც ერთი მიწისმოწყობის მეთვალყურე ძლივსაა გაკეთებული. ყოველთვის, როცა დაიწყება ხვნა-თესვა, ატყდება მიწის მოსარგებლეთა შორის ჩხუბი, აყალ-მაყალი და თავის ხეთქვა, მირბიან სამაზრო ცენტრში, ითხოვენ დახმარებას. მაზრას მხოლოდ მაშინ გაახსენდება, რომ მიწისმზომლებია საჭირო და აგზავნის დეპეშებს. დაუშვებელია ასეთი შეხედულება მიწადმოწყობის საქმეზე. მიწადმოწყობა ხომ ეპიზოოტიასთან ბრძოლა არაა ან სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რომ მაშინ გაიგზავნოს ტეხნიკი, როცა სოფლები ერთმანეთს თავს გაუტეხენ. აქ საჭიროა სისტემატიური მუშაობა, რაც შეიძლება მეტი ძალებით როგორც ხალხის განათლების და აგროკულტურის საქმეში.

სასოფლო მეურნეობის ბედი და მასზე დამოკიდებული სახელმწიფოს ინტერესი დაჟინებით მოითხოვენ, რომ მიწათმოწყობას მიექცეს მეტი ყურადღება და მუშაობა სწარმოებდეს სათანადო ენერგიით.

ვ. ბ.

ადგილობრივი გადასახადები და თვითდაბეგვრის წესი *)

ამას წინათ ჩვენ მივიღეთ ა/ქ. ფინსახკომის რწმუნებულისაგან ცირკულიარი, რომლითაც მაზრის ხელისუფლებას სასტიკათ ეკრძალება თვითდაბეგვრის სახით ადგილობრივ საჭიროებისათვის რაიმე გადასახადის (საკუთარი შრომის გაღებით იქნება ეს თუ ფულით) შემოღება.

რომ სადადასახადო დარგში ჯერ კიდევ ბევრია საერთო ხასიათის დეფექტები და ნაკლულოვანებანი, ეს კარგათ იცის თვით ადგილობრივმა ხელისუფლებამაც, რასაც მომავალში დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა მთავრობამ და შესაფერი ღონისძიებებით გამოასწოროს იგი. აქ ჩვენ გაკვრით შევეხებით ოზურგეთის მაზრის მაგალითებს: ხსენებულ მაზრაში 2 აპრილის დეკრეტით გათვალისწინებული გადასახადები არ არის შემოღებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალაქმა ჩამორთმეულ რამდენიმე სავაჭრო დარბაზებს, რომლებიც 1921 წლიდან ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების განკარგულებაშია, და მისი შემოსავალი ხმარდება ქალაქს საჭიროებას. ადგილობრივი შემოსავალი, ანარიცხები, დამატებანი და სხვა ვერ აკმაყოფილებს ისეთ ხარჯებსაც კი, ურომლისოთ ხელისუფლების ნორმალური არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. სადიდან შეიძლება, მაგალითად, სამაზრო ხელისუფლებამ მისცეს თანხა რომელიმე თემს, რომელსაც, ვსთქვათ, აუცილებლად ესაჭიროება სასწავლებლისათვის შენობის აგება, ძველის შეკეთება, გზების გაყვანა, ბოგირების აგება, სამკითხველოებისათვის ბინა, საბჭოს შიკრიკის დაკმაყოფილება, მასწავლებლების ბინის ქირა, გათბობა განათება, ტელეფონით სარგებლობა, საექიმო პუნქტი და სხვა. პატარა თემებსაც კი თავის ფარგლებში აქვთ აუარებელი მოთხოვნილებანი, რაიონებს კიდევ ცალკე და ამიტომ, გინდა არ გინდა, აქ თვით მცხოვრებლებმა უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი, თვითვე უნდა ამოუდგნენ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მასსიურათ უნდა ჩაებან ადგილობრივ აღმშენებლობაში. სხვა ნაირად შეფერხდებოდა თემებსა და რაიონებში, ყოველგვარი აღმშენებლობაში. გარდა იმისა რომ სამაზრო აღმასკომი საბჭოს თავმჯდომარეებსა და რაიონის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრთა თვის ბოლოს ჯამაგირებს მიაწვდიდა და სხვა არაფერი. და აი, რომ ეს ასე არ მოხდეს, აქ თავისთავათ, თითქო სტიქიურათ იჩენს თავს ეგრედ წოდებული ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის წესი: გზებზე, ბოგირებზე საექიმო შენობებზე, არხებზე და დამბებზე სამუშაოთ მცხოვრებლები თემის საბჭოსა და რაიონის აღმასკომის მოწოდებაზე გამოდიან ჯგუფებით, სამუშაო იარაღებით და საკუთარი შრომით იღებენ თავის ადგილობრივ მოვალეობას თავისდა სასარგებლოთ. ხშირათ ასეთ ფაქტებს წინ უძღვის მასსიური კრების გადაწყვეტილებაც.

ასეთ შემთხვევებში ხან და ხან მსგავსი მიზნების განსახორციელებლად ადგილი აქვს თვითდაბეგვრას ფულების გაწერითაც უფრო შეძლებულ მცხოვრებლებზე. ეს შემდეგნაირათ ხდება: პირველად აძლევს საბჭო, შემდეგ მასსიური კრება და ბოლოს ოქმი ყოველგვარი მასალებთან ერთად იგზავნება სამაზრო ცენტრში დასამტკიცებლად.

ეს მოვლენა აუცილებლად უნდა დაკანონდეს. უამისოთ თემებისა და რაიონების კულტურული და ეკონომიური საფუძვლები მოიშლებიან, აღმშენებლობა შეჩერდება, ყველაფერი გაჩანაგებისა და გაველურების გზაზე დადგება. ასეთი მდგომარეობა გავლენას იქონიებს თვით სამაზრო ცენტრზედაც, ისიც თავის ვიწრო ქერქში მოიკრუნჩხება და საერთო აღმშენებლობის უნარს დაკარგავს. ეს არ არის სასურველი და, მაშასადამე, უნდა იქნას დაშვებული ისეთი თვითდაბეგვრის წესი, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. და თუ არ დავუშვებთ, არ დავაკანონებთ, მაშინ საჭიროა ეხლავე რაიონს დაურჩეს საკუთარი ბიუჯეტი: ყველა ის ხარჯები, რომლებიც ეხლა თვითდაბეგვრის წესით იფარება, უნდა მიემატოს ერთიან გადასახადს და მასთან ერთად უნდა იქნას აკრეფილი. მაშინ იქნება ნამდვილი ერთიანი და მთლიანი გადასახადი, რომელზედაც ჩვენ ყოველ წუთს ვლაპარაკობთ და გვინდა მისი კარგათ დაყენება. ეს ერთი. მეორე—აუცილებლად გზების, ბოგირების და საერთოდ მიმოსვლის საშუალებათა გასაუმჯობესებლად ყველგან შემოღებული უნდა იქნას სავალდებულო მუშაობა ყველა შრომის უნარიანებისათვის, სანამ, სანამ არ იქნება აღდგენილი ყველგან ძველი გზა-ტკეცილები, საჭიროებისდა მიხედვით გაყვანილი ახლები, სოფლის შარა-გზები, ბოგირები და სხვა. აუცილებელია ეს იმ ნგრევის შემდეგ, რომელიც მოუტანა ქვეყანას იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ კონტრ-რევოლიუციამ, რომელთანაც ბრძოლამ მშრომელ ხალხს და ახალ საბჭოთა მთავრობას წაართვა დრო და საშუალება ფეხზე დაეყენებინა ყველა ის სიკეთენი, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მშრომელი ხალხისათვის და რომლისათვისაც აწ განსვენებულ მთავრობებს ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენ კი უნდა მივაქციოთ და მშრომელ ხალხთან ერთად გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია თვით ხალხის კეთილდღეობისათვის.

მე ვსთხოვ დაინტერესებულ დაწესებულებებსა და პირებს ამ საგანზე თავიანთი აზრის გამოთქმას.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ა. დოლიძე.

---

*) დისკუსიის წესით.

გერმანიის მთავრობის თავხედობა

ინციდენტი მოწყობილი იყო პუანკარეს მიერ

შენობის გაჩხრეკა ხდებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმით

პოლიციამ „ბეჯითად“ შეასრულა შტრეზემანის დავალება

ამხ. კრესტინსკიმ კატეგორიული ხასიათის ნოტა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას

ინციდენტის ,,მიზეზი‘‘

რა იყო ,,მიზეზი‘‘ გერმანელ ჟანდარმების ასეთი საქციელისა

ბერლინი. 4 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ ჩხრეკის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: კომუნისტი ბოცენგარდტი დაპატიმრებული იყო ვიურტემბერგის პოლიციელების მიერ და გადაგზავნილ იქნა ბერლინში. იქ ბოცენგარდტმა აიძულა პოლიციელები წაეყვანათ ის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში, სადაც ვითომდა მოთავსებული იყო კაფე. სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში ბოცენგარდტმა მოახერხა გაქცევა რამდენიმე თანამშრომლის დახმარებით, რომელთაც დააკავეს ვიურტემბერგის პოლიციელები და გაანთავისუფლეს ისინი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ.

დაპატიმრებული სავაჭრო წარმომადგ. 5 თანამშრომელი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში დაპატიმრებულ კომუნისტის განთავისუფლებისათვის და პოლიციელების დაკავებისათვის, 3 თანამშრომელი დაპატიმრებულია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.

შტრეზემანის პროვოკაცია

,,როტე ფანე‘‘ ხელახლად იქნა გამოშვებული

ბერლინი. 4 მაისი. „როტე ფანე“, რომელიც ხელახლად იქნა გამოშვებული, სთვლის საბ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ ჩხრეკას საერთაშორისო უფლების არაჩვეულებრივ დარღვევად, პროვოკაციათ და გერმანიის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთი აღშფოთებით აცხადებს პროტესტს მომხდარ ძალადობის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ჩხრეკის მოსახდენად გაგზავნილი იყო 200 შეიარაღებული პოლიციელი და საიდუმლო პოლიციის 100-ზე მეტი აგენტი, რომელთა საქციელი პირდაპირ სამარცხვინოა კულტურულ ერისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დიდი სენსაცია გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დაპატიმრებულები ბაწრით შეკრული მიჰყავდათ პოლიციის სამმართველოში.

თავხედობას განაგრძობენ

გერმანიის მთავრობის თავხედური ნოტა

ბერლინი. 4 მაისი. გერმანიის მთავრობამ გადასცა საბჭოთა კავშირის საელჩოს ბერლინში ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დახმარება გაუწიეს დატუსაღებულ კომუნისტს დამალვაში და ძალით დააკავეს პოლიციის მოხელეები. ამან საბაბი მისცა პოლიციელებს მოეხდინათ ჩხრეკა, რათა აღმოეჩინათ დატუსაღებული პირი; იმ დროსვე დაპატიმრებულ იქნა სავაჭრო წარმომადგენლობის მთელი რიგი თანამშრომლებისა.

შემდეგ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაზე არ ვრცელდება განსაკუთრებული უპირატესობანი, რომლითაც სხვა დიპლომატიური შენობები სარგებლობენ. გარეშე საქმეთა სამინისტრო მიიღებს ზომებს სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლების წინააღმდეგ, რომელთაც დაარღვიეს გერმანული კანონები. გერმანული სასამართლო გამოარკვევს ინციდენტის მონაწილეთა პასუხისმგებლობას.

,,მაქსიმალური თავაზიანობა‘‘.

ბერლინი 4 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩხრეკა მოხდა მაქსიმალური თავაზიანობით და პოლიტიკური პოლიციის უფროსის პერსონალური ზედამხედველობით. უჯრები გატეხილ იქნა მხოლოდ ერთ ოთახში, რადგანაც თანამშრომლებმა უარი განაცხადეს გასაღების მიცემაზე. არავითარ ძალადობას თანამშრომლებზე ადგილი არ ჰქონია, ძალა ხმარებული იქნა მხოლოდ განსაკუთრებულ წინააღმდეგობის გაწევის დროს. კონფისკაცია-ქმნილი დიპლომატიური ქაღალდები შემოწმების შემდეგ უკანვე იქნა დაბრუნებული.

პოლიციის ,,ბეჯითობა‘‘

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

უაზრო თავდასხმა.

მოსკოვი. 6 მაისი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს ბერლინში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში ჩხრეკის შესახებ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ბერლინის პოლიციის თავდასხმა სავაჭრო წარმომადგენლობაზე წარმოადგენს ექსტერიტორიალობის უფლების არა მარტო ფორმალურ დარღვევას და საბჭოთა მთავრობის შეურაცყოფას, არამედ აგრეთვე მოქმედებას, რომელიც საშუალებას ართმევს ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას განაგრძოს ნორმალური მუშაობა. მაგრამ, თუ გერმანიის მთავრობას სავაჭრო წარმომადგენლობის არსებობის მეოთხე წელს ეჭვი შეეპარა მის ფორმალურ უფლებებში, ეჭვი შეეპარა მის არსებობაში,—ეს ვერ იქნება საბუთი იმ ძალადობის (გამოტოვებულია), რომელიც ბერლინის პოლიციამ დაუშვა.

რომც დაუშვათ, რომ მართლაც თითქო, ვიურტემბერგელმა პოლიციელებმა, რომლებიც დატუსაღებულს მიჰყვებოდენ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა მართლა ლუდხანათ მიიღეს, მაშინაც კი ბერლინის გამოცდილ პოლიციას ადვილათ შეეძლო გამოსულიყო მდგომარეობიდან: არსებული წესის თანახმად საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით მიემართა ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენლობისათვის მოთხოვნით წარმომადგენლობის შენობაში დამალული ბოროტმოქმედის მიცემის შესახებ და მიეღო აგრეთვე ზომები, რომ ბოროტმოქმედი არ გაპარულიყო. მაგრამ პოლიციამ არჩია დაერღვია სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობის უფლება, შესაძლებლობა დაენახა თავხედურად შეჭრილიყო შენობაში და ხუთი საათის განმავლობაში ეძებნა ბოროტმოქმედი ქაღალდებში და საწერი მაგიდების ყუთებში.

პოლიცია ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებდა

საუკეთესო დამამტკიცებელი იმას, რომ პოლიცია მთავრობის ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით მოქმედებდა, არის ის თავხედური ნოტა, რომელიც ამხ. კრესტინსკიმ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიიღო.

ინციდენტი პუანკარემ მოაწყო

მუშებისა და გლეხების,—რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს საგარეო პოლიტიკას,—შეკითხვაზე—ხომ არ არის ეს ინციდენტი გერმანიის მთავრობის მიერ ფრონტის შეცვლის მაჩვენებელი და მეგობრული ურთიერთობის დასასრული,—შეიძლებათ გადაჭრით უარყოფითი პასუხის მიცემა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვება იმ აზრის, რომ გერმანიის მთავრობა სერიოზულად ისწრაფოდეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობის შეცვლისაკენ. გერმანიის ადმინისტრაციის მოქმედება ადვილათ შეიძლება აიხსნას: გერმანიის მთავრობას, სარეპარაციო საკითხის განხილვის დაწყების გამო სურს „აასიამოვნოს“ პუანკარეს, რომელიც დაინტერესებულია—ერთის მხრით რუსეთ გერმანიის მეგობრული ურთიერთობისათვის ხელის შეშლაში და მეორეს მხრით რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებისათვის ჩაშლაში. გაჩხრეკას ის მიზანი ჰქონდა, რომ ფიქრობდენ თითქო წარმომადგენლობის შენობაში ბომბები, იარაღის საწყობი ან სხვა ამგვარი რამ აღმოჩნდებოდა, რომ ამით შეეშინებიათ მაკდონალდი, ჩაეშალათ კონფერენცია ან ყოველ შემთხვევაში შეეფერხებინათ კონფერენციის წარმატებით დასრულების შანსები, ვინაიდან ინგლის რუსეთის ეკონომიური დაახლოება არა მარტო ეწინააღმდეგება პუანკარეს გეგმებს, არამედ გერმანიის ზოგიერთ სავაჭრო წრეებსაც, რომლებშიც დიდ შიშს იწვევს საბჭოთა მთავრობის მიერ ინგლისში დიდი კრედიტების მიღების შესაძლებლობა და ინგლისში ჩვენი იმპორტის გაძლიერება გერმანიის ხარჯზე

აზიანებს თვით გერმანიას.

მაგრამ შეთქმულება ჩაიშალა: მიღებული შედეგები ვერ გაახარებენ გერმანიის მთავრობას, ვინაიდან ამ აქტმა დიდი ზიანი მიაყენა რუსეთ—გერმანიის ურთიერთობას, რაც ნათელია თვით გერმანიის მთავრობისათვის, რომელზედაც ახლა დამოკიდებულია ინციდენტის ლიკვიდაცია და მისი მძიმე შედეგების აცილება.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ გერმანიის მთავრობა შესაფერად დააფასებს რუსეთ გერმანიის შორის მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობას, გამოიჩენს საკმაო კეთილ სურვილს და ჩქარა გამოასწორებს დაშვებულ შეცდომას.

ჩვენი პასუხი

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის საპროტესტო ნოტა

ბერლინი 4 მაისი. საპროტესტო ნოტაში, რომელიც გადასცა კრესტინსკიმ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს, ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის არსებულ ხელშეკრულების თანახმად, სრულუფლებიანი წარმომადგენლობა სარგებლობს ექსტერიტორიალობის უფლებით; ამიტომ პოლიცია ვალდებული იყო, თუ ეჭვი ჰქონდა, რომ შენობაში დაიმალა ბოროტმოქმედი, მიემართა გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით საბჭოთა კავშირის საელჩოსათვის.

ნოტაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ შტრეზემანმა კრესტინსკისთან ლაპარაკში ჩხრეკის დროს აღიარა სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობა და აღუთქვა უკანასკნელს დაუყოვნებლივ გაეწვია პოლიცია, მაგრამ პოლიცია მაინც დარჩა დარბაზში. მთავრობის მრჩეველმა ვეისმა განაცხადა, რომ მან მიიღო ბრძანება პოლიციის გაყვანის შესახებ, მაგრამ მან არ იცის, თუ როდის იქნება ბრძანება სისრულეში მოყვანილი.

ნოტაში აწერილია, თუ როგორ ხდებოდა ჩხრეკა: საწერი მაგიდები გატეხილ იქნა მოწმეების დაუსწრებლათ; პოლიციის აგენტები შეიჭრნენ სავაჭრო წარმომადგენლის კაბინეტში; შეურაცხყოფა მიაყენეს ორ თანამშრომელს, რომლებიც ეკუთვნოდენ დიპლომატიურ შემადგენლობას; მთელ რიგ პასუხისმგებელ თანამშრომლებს აუკრძალეს შენობაში შესვლა; დააპატიმრეს ბევრი თანამშრომლები და უხეში ლანძღვით გაუმასპინძლდენ მათ.

დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ინციდენტის გამო უფლებას იტოვებს გამოიტანოს სათანადო დასკვნა.

ინციდენტის გამოძახილი

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი. 4 მაისი. რეიტერის სააგენტომ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „უკანასკნელ ხანებში ხმა გავრცელდა, რომ გერმანიის საიდუმლო მონარქისტულ ორგანიზაციას ბერლინში განზრახვა აქვს მოახდინოს რაიმე შეურაცხმყოფელი გამოსვლა საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ რეიხსტაგში არჩევნების წინ, რათა გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

ეს პირველი ამგვარი შემთხვევა როდია. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მზადდებოდა ასეთი თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე, მაგრამ ეს განზრახვა ჩაიშალა, რადგან გერმანიის მთავრობას ადრე ეცნობა ამის შესახებ. გუშინდელი თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე წარმოადგენს წინდაწინ განზრახულ მომზადებულ გეგმის განხორციელებას. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ შტრეზემანის განკარგულება წარმომადგენლობის შენობის დატოვების შესახებ პოლიციამ თავის დროზე არ შეასრულა. ვითომდა გაქცეული ბოროტმოქმედის აღმოჩენის მიზნით, პოლიციამ 4 საათი დაჰყო სავაჭრო წარმომად. შენობაში, დაამტვრია ყუთები და ათვალიერებდა ოფიციალურ მიწერ-მოწერას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ძალადობა, რომელმაც დაარღვია სავაჭრო წარმომადგენლობის ხელშეუხებლობა, პირველყოვლისა გავლენას მოახდენს რუსეთ გერმანიის სავაჭრო ურთიერთობაზე. დღემდი გერმანიას პირველი ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაში“.

ინგლისის პრესა ინციდენტის შესახებ

ლონდონი 4 მაისი. ინგლისის გაზეთებმა ვრცელი ანგარიშები მოათავსეს ბერლინის ინციდენტის შესახებ. „მანჩესტერ გარდიენ“ აღშფოთებულია გერმანიის ადმინისტრაციის მოქმედებით. სხვა გაზეთებმა კი ცნობა ინციდენტის შესახებ უკომენტარიოდ მოათავსეს.

პრესის აზრი

გერმანელ ჟანდარმებს ზურგს უმაგრებდა პუანკარე

„როტე ფანე“ ინციდენტის გამო აღნიშნავს, რომ გერმანიის ბურჟუაზია ამზადებს კაპიტულიაციას პუანკარეს წინაშე და ამ მიზნით სურს კავშირი გასწყვიტოს საბჭოთა კავშირთან. მაგრამ საბჭოთა კავშირი, როგორც დიდი პროლეტარული სახელმწიფო, არ დაუშვებს ასეთს პროვოკაციას. გერმანელი მუშები თავის მხრივ სასტიკ პროტესტს განაცხადებენ პუანკარეს წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს გერმანიის და-

ას, მონაცემლი დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირის დაწყებას.

„როტე-ფანე" აღნიშნავს, რომ პოლიციამ ცემა გაქცეული კომუნისტი სამშრომლო მაგიდებზე და კონფისკაცია უყო მთელ რიგ დოკუმენტებს: ჩხრეკის დროს პოლიციელები სცემდნენ თანამშრომლებს რეზინის ჯოხით, პოლიცია უხეშათ ეპყრობოდა ქალებს და დაპატიმრებით ემუქრებოდა მოსამსახურეებს.

ფაშისტური გაზეთის ცნობით.

„დოიჩე ცაიტუნგი" (ფაშისტების გაზეთი) აღნიშნავს, რომ საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და თავხედურათ იქცეოდნენ: ერთ პოლიციელს წიხლი ჩასცხეს, მეორეს — ლოყაში გაარტყეს. ჩხრეკის დროს, ვითომდა, იპოვეს რევოლვერები და იარაღი.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი"

ბერლინი. 4 მაისი. საბჭოთა წარმომადგენლობაში მომხდარ ჩხრეკის გამო „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" (მძიმე მრეწველობის ორგანო) აღნიშნავს, რომ საჭიროა მოხდეს გამოძიება, რათა გამოირკვეს, რამდენად შეეფერება სინამდვილეს საბჭოთა მთავრობის ცნობა პოლიციის უხეში გამოსვლის შესახებ. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული ამ ნიადაგზე შესაძლებელი სერიოზული კონფლიქტი.

„ჩხრეკა არ დასრულებულა".

„დოიჩე ტაგეს-ცაიტუნგი" (აგრარიების ნაციონალისტური ორგანო) იუწყება, რომ ჩხრეკა არ იყო დამთავრებული შტრეზემანის ჩარევის გამო.

კონსერვატორების „აზრი".

კონსერვატორების გაზეთები, მათ რიცხვში სოც. დემ. გაზ. „ფორვერტსიც" ხაზს უსვამს, რომ დამნაშავეა შექმნილ ინციდენტისათვის საბჭოთა წარმომადგენლობა, რომელიც ვითომდა მფარველობას უწევს გერმანიის კომპარტიას.

გერმანიის კონსული ამხ. ლოლობერიძესთან

გუშინ, დღის 12 საათზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ლოლობერიძეს ეწვია გერმანიის კონსული ზომმერი. ამხ. ლოლობერიძესთან საუბარში გერმანიის კონსული შეეხო უკანასკნელ ინციდენტს — ბერლინის პოლიციის თავდასხმას საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე. კონსულმა მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ინციდენტის გამო და დასძინა, რომ დეპეშაში, რომელიც მან მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, ნათქვამია შემდეგი: ვიურტემბერგიდან ჩამოიყვანეს ერთი დაპატიმრებული კომუნისტი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ციხეში ჯდომა. მას ახლდა ორი პოლიციელი. დაპატიმრებულმა ბერლინში სთხოვა პოლიციელებს წაყოლოდენ მას ლუდის დასალევად. პოლიციელები დასთანხმდენ და წავიდენ მასთან ერთად, მაგრამ დაპატიმრებულმა ისინი, თითქოს, ლუდხანას მაგიერ მიიყვანა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში და იქ უეცრად მიიმალა. გაოცებულმა პოლიციელებმა მოინდომეს მისი მოძებნა, მაგრამ აქ ჩაერიენ სავაჭრო წარმომადგენლობის მოსამსახურეები და საშუალება არ მისცეს მათ იქვე შეეპყრათ გაქცეული.

ამის შემდეგ ქ. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა ალყა შემოერტყათ სავაჭრო წარმომადგენლობისათვის და გაეჩხრიკათ, მაგრამ გაქცეულის პოვნა ვერ შესძლეს.

ამხ. ლოლობერიძემ გერმანიის კონსულის ამ ცნობის საპასუხოდ ეჭვი შეიტანა ამ ამბის შესაძლებლობაში და სთქვა, რომ აქ უფრო პროვოკაციას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ დისციპლინაში გაწვრთნილი გერმანელი პოლიციელები გაჰყოლოდნენ დაპატიმრებულს ლუდხანაში.

„მე დარწმუნებული ვარ, — სთქვა ამხ. ლოლობერიძემ, — რომ ეს თაღლითობაა, მაგრამ რასაკვირველია არა მთავრობის, არამედ ფაშისტ-ხულიგანების მხრივ, რომლებიც დაინტერესებული არიან იმაში, რომ წაგვკიდონ ჩვენ გერმანიასთან, როგორც ამას ისინი წინეთაც ჩადიოდნენ".

გერმანიის კონსულმა უპასუხა, რომ, რასაკვირველია ესეც შესაძლებელია, მასაც უკვირს, თუ როგორ მოხდა, რომ პოლიციელები, რომლებიც წავიდნენ ლუდხანაში, მოხვდნენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში. „შესაძლებელია ეს პროვოკაცია იყოს", დასძინა კონსულმა. მან ერთხელ კიდევ მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბების გამო და განაცხადა, რომ მას იმედი აქვს ეს არ იქონიებს გავლენას თქვენს ურთიერთობაზე გერმანიასთან.

არჩევნების წინასწარი შედეგები გერმანიაში

კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 3 მილიონი 600 ათასი ხმა.

სოციალ-დემოკრატებმა არჩევნებში დაჰკარგეს 81 მანდატი

მთელ გერმანიაში იზრდება კომუნისტების გავლენა; მოელიან მთავრობის თავმჯდომარის გადადგომას.

3.600.000 ხმა კომუნისტებს

ბერლინი. 4 მაისი. წინასწარი ცნობებით რეიხსტაგში არჩევნების დროს ხმა მისცა 23 ნახევარ მილიონმა კაცმა. ტევტონურმა პარტიამ მიიღო — 1.900.000 ხმა, გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ — 4.000.000, სახალხო პარტიამ — 1.900.000, დემოკრატებმა — 1.600.000, ცენტრის პარტიამ — 3.200.000, სოციალ-დემოკრატებმა — 5.000.000, კომუნისტებმა — 3.600.000, წვრილმა პარტიებმა — 700.000, განოვერის პარტიამ — 240.000.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაჰკარგა 81 მანდატი, რომლებიც მოიგო ბურჟუაზიულმა პარტიებმა, მაგრამ უძლიერესი პარტია დარჩა პარლამენტში. ბურჟუაზიულ პარტიებს შორის გაიმარჯვეს ნაციონალისტებმა, რომლებიც მიზნათ ისახავენ მონარქიის აღდგენას, მათ მოიგეს 28 მანდატი. სახალხო პარტიამ დაკარგა თავისი მანდატების ერთი მესამედი, ცენტრმა კი — 7 მანდატი, რომლებიც კომუნისტებმა მოიგეს.

კომუნისტების გამარჯვებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად სუსტი აგიტაციის კომუნისტებმა მიიღო 3.600.000 ხმა და კომუნისტური პარტია უძლიერესი პარტია აღმოჩნდა რურის ოლქში, დიუსელდორფში, შტუტგარდში და ჰალეში. მანდატების რაოდენობის მიხედვით, კომუნისტები რეიხსტაგში მეოთხე ადგილს დაიჭერენ.

წინასწარი შედეგები

ბერლინი. 6 მაისი. 1920 წლის არჩევნებთან შედარებით, კომუნისტებმა და გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ წინანდელ არჩევნებში გაცილებით მეტი ხმები მიიღეს; სოციალ-დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ დაჰკარგეს მრავალი ხმები. ხელახლა არჩეული არიან თითქმის ყველა ცნობილი მინისტრები და პარტიების ლიდერები. ადმირალი ფონ ტირპიცი არჩეულია კონსერვატორების მიერ. ფიქრობენ, რომ გენერალ ლიუდენდორფის კანდიდატურა გაიმარჯვებს.

მთავრობის მდგომარეობა

ბერლინი. 6 მ. პრეზიდენტ ებერტს თათბირი ჰქონდა პარტიების ლიდერებთან; თათბირის მიზანი იყო ახალი ხელმძღვანელი ჯგუფის შექმნა. ფიქრობენ, რომ სოციალ-დემოკრატები შეურთდებიან ბურჟუაზიულ პარტიებს ანდა ბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდებიან ნაციონალურ პარტიებთან. გარეშე საქმეთა სამინისტრომ დღეს განაცხადა, რომ ფიქრობს, გერმანიის ნაციონალური პარტია არ წამოაყენებს თავის პირობებს. ფიქრობენ, რომ კანცლერი მარქსი დარჩება თავის თანამდებობაზე. შტრეზემანის მრავალრიცხოვან მტრებს განზრახვა აქვთ ჩამოაგდონ იგი, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრი.

კომუნისტების გამარჯვება — კომუნისტებმა მიიღეს 60 ადგილი

ბერლინი. 6 მაისი. არჩევნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება არის კომუნისტების რიცხვის შეუჩერებელი გაძლიერება; კომუნისტებმა მიიღეს 60 ადგილი. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარეობს თითქოს კომუნისტების რიცხვი გერმანიაში უფრო მეტი იყოს, ვიდრე საბჭოთა კავშირში. მეტად დამახასიათებელია ის, რომ რურის მუშები ემხრობიან კომუნისტებს. ლუდენდორფი არჩეულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის იმ ჯგუფების შვილი, რომელთა გამარჯვება არჩევნებში გერმანიის სისტემის მიხედვით უზრუნველყოფილია.

კომუნისტების რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა.

ლონდონი. 6 მაისი. არჩევნების თვალსაჩინო შედეგია ის ფაქტი, რომ კომუნისტების რიცხვი ოთხ ჯერ გაიზარდა.

მთელს ქვეყანაში.

ბერლინი. 4 მაისი. დრეზდენის, ბერლინის, კიოლნის, ოპელნის და სამხრეთ ვესტფალიის საარჩევნო ოლქებში ხმების უმრავლესობა მიიღეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა; კომპარტიამ მიიღო უფრო მეტი ხმები, ვიდრე სოციალ-დემოკრატებმა. შუა გერმანიაში სოციალ-დემოკრატებმა მეტი ხმები მიიღეს, ვიდრე კომუნისტებმა. ჰალეში კომპარტია ყველა პარტიებზე ძლიერი აღმოჩნდა.

კომუნისტებს უჭირავთ მეოთხე ადგილი.

ბერლინი. 4 მაისი. გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით არჩევნების წინასწარი შედეგები გამოიხატება შემდეგში: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 99 მანდატი, გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ — 93, ცენტრის პარტიამ — 61, კომუნისტებმა — 59, გერმანიის სახალხო პარტიამ — 41, ტევტონურმა პარტიამ — 28, დემოკრატებმა — 25, ბავარიის სახალხო პარტიამ — 15 და დანარჩენებმა — 24.

დახლართული მდგომარეობა.

ბერლინი. 4 მაისი. არჩევნების შედეგმა პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად აირივდარია. მთავრობის ბლოკის შექმნა საეჭვოა, ვინაიდან ნაციონალისტები უარს ამბობენ მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე ექსპერტების მოხსენების მიმართ. შესაძლებელია დიდი კოალიცია, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრებს ბურჟუაზიული პარტიების მემარჯვენე ფრთა.

პარიზის აზრი.

პარიზი. 6 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ამბობს, უკიდურეს ნაციონალისტების გეგმები დაიმსხვრა, ვინაიდან მათ მიიღეს მხოლოდ ხმების 8 პროცენტი.

„გოლუა" (ფრანგული გაზეთი) სწერს: „არჩევნები გერმანიაში, — გაფრთხილებაა მოკავშირეებისათვის, რომლებმაც უნდა გააძლიერონ ერთიანი ფრონტი იმპერიალისტური გერმანიის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა

6 მაისს სახალხოს წითელ დარბაზში 1 საათზე ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ყრილობას და აღნიშნავს იმ პირობებს, რომელშიაც იკრიბება ის.

ჩვენი მესამე ყრილობა იხსნება იმ დროს, — ამბობს ორატორი — როდესაც აღარ გვყავს ამხ. ლენინი, დამაარსებელი და ქვაკუთხედი კომუნისტური პარტიისა, მსოფლიო რევოლუციის შტაბის — კომუნისტური ინტერნაციონალისა, მშობელი საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც სძლია მრავალ შინაურ და გარეშე მტრებს.

ამხ. ლენინი მარქსთან და ენგელსთან შედარებით ახალგაზრდა დავკარგეთ. ლენინისთანა ძლიერი პიროვნება და მებრძოლი შეეძლო წარმოეშვა პროლეტარიატს. ამხ. მიხას წინადადებით ყრილობა ფეხზე დგება და მღერის: „თქვენ მსხვერპლად დაეცით".

ამხ. ცხაკაია მოკლეთ აღნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის მიღწევებს მიწის საკითხის გადაჭრას, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა მოპოვებას, სხვა რესპუბლიკებთან ერთად მძლავრ საბჭოთა კავშირის დაარსებას და სხვა.

შემდეგ ამხ. მიხა ეხება გერმანიის კომპარტიის გამარჯვებას მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებზე სადაც უკანასკნელი ცნობების თანახმად 3 მილ. ხმა მიიღო. იგონებს გერმანელ ფაშისტების თავდასხმას ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე ბერლინში. აღნიშნავს პარტიის მთლიანობის აუცილებლობას და უსურვებს საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობას გამარჯვებას. (საერთო ტაში). მიღებულია წინადადება გაეგზავნოს მისალმება გერმანიის კომპარტიას საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვების გამო.

პრეზიდიუმის არჩევნები

ამხ. აზრუმელაშვილის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგ ამხანაგები: ა. გეგეჭკორი, ჯათიევი, ანდრია დოლიძე, თენგიზ ჟღენტი, ქვათარაძე ლ., კახიანი, ჭოლოძე, ყურულაშვილი, ლაკობა, ლომინაძე, ლორთქიფანიძე, მ. მამულია, მახარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, რატენი, სუხიშვილი, ვ. სტურუა, მ. ცხაკაია, შ. ელიავა.

სამდივნოში: მ. ბილია, გიორგაძე, გ. სტურუა, სტურუა და გოლდბაუმი.

სარედაქციო კომისიაში: გ. ზახტაზე, ნ. კიკნაძე, გ. დევდარიანი, პ. საყვარელიძე და როზენი.

სამანდატო კომისიაში: ვარამაშვილი, ივანოვი, კოსტანიანი, სადრაძევი, და შაბანოვი.

საპატიო თავმჯდომარეებო: ამხ. ზინოვიევი ტროცკი, რიკოვი, კრუპსკაია, კლარა ცეტკინა და კამენევი.

მისალმებანი

შემდეგ ყრილობისადმი მისალმებით გამოდის გერმანიის კომუნისტური პარტიის და რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. შიფრინი

ამხ. შიფრინის სიტყვა

მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა წითელი თბილისიდან გამოგზავნებისას, გერმანიის კომპარტიისა და რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ც. კომიტეტის სახელით მივესალმო თქვენს ყრილობას.

თქვენი ყრილობა გაიხსნა ვლადიმერ ილიას ძის ლენინის დაკარგვის შემდეგ. ლენინი იყო არა მარტო თქვენი რევოლუციის ბელადი, არამედ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მეთაური. იგი იყო თავი და გული კომუნისტური ინტერნაციონალის.

თქვენს წინაშე სდგას ამოცანა ამ დიდი დანაკლისის შევსების, რაც უნდა გამოიხატოს პარტიის რიგებში მუშათა კლასის ახალი რაზმების შეყვანაში. თქვენს ყრილობას მუშაობა უხდება საბჭოთა კავშირის საბოლოო განმტკიცების პირობებში.

საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ცნობა საუკეთესო დამადასტურებელია მისი ძლიერებისა.

მსოფლიო რეაქციამ, ვერ დაიმორჩილა თქვენი ნებისყოფა გამარჯვებისა — ვერც შიმშილით და ვერც ხიშტებით.

დასავლეთის სხვა ქვეყნებში ჩვენ მოწმენი ვხდებით რეაქციისა და ფაშიზმის შეტევის.

გერმანიის რეიხსტაგის ეხლახანს დამთავრებულმა არჩევნებმა გამოამჟღავნა გერმანიის კომუნისტების დიდი გამარჯვება.

მუშათა ფართე მასები საბოლოოდ განთავისუფლდა დემოკრატიული ლაყბობისაგან. საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენ მოვითხოვდით პროლეტარიატის გაბატონებას. ჩვენთვის მიცემული ხმები, ეს იმათი ხმებია, ვინც ჩვენთან ერთად გამოვლენ ბრძოლაში კაპიტალზე იერიშის მისატანად.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნები — ეს არის ჩვენი სამხედრო ძალების დათვალიერება.

ბრძოლის გზა გაწმენდილია. მომავალი ჩვენ გვიხატება უკიდურესი ძალების — ფაშიზმისა და კომუნიზმის ბრძოლის ფორმებში.

მუშათა კლასის მთავარი დასაყრდენი არის მუშათა საერთაშორისო კავშირი, ამ კავშირის ორგანიზაცია კი არის რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება.

მუშათა მასის შეგნება ძლიერ განვითარებულია საბჭოთა კავშირში საზოგადოთ და კერძოდ კი საქართველოში.

პირველი მაისის დღესასწაულმა, რომელიც მე აქ გავატარე, მომცა ღრმა რწმენა იმისა, რომ საბჭოთა საქართველო არის კომუნიზმის ერთ-ერთი რკინის სვეტი. მეორე ინტერნაციონალის ამყოლ-დამყოლი ქართველი მენშევიკები უჯარო სარდლები არიან.

გისურვებთ სრულ გამარჯვებას თქვენს მუშაობაში ლენინის გზით — საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლად, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო კომუნიზმის დასაყრდენს.

ამხ. შიფრინის გამოსვლას ყრილობა დიდი ოვაციებით ხვდება. მის სიტყვას რუსულ და ქართულ თარგმანს აძლევს ამხ. პ. საყვარელიძე.

თბილისის მუშების სალამი.

ყრილობამ მიიღო მისალმება ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშებისაგან, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირისაგან და სამხედრო საარტილერიო-ქარხნების 400 მუშისაგან, რომლებიც აღნიშნავენ მენშევიკების სრულ დამარცხებას მუშათა მასებში და უსურვებენ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

რეგლამენტის მიღების და ყრილობის დღის წესრიგის (რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში) დამტკიცების შემდეგ სხდომა გადაიდო საღამოსთვის.

მეორე სხდომა

ცეკას ანგარიში

სხდომის გახსნისთანავე სიტყვა ეძლევა მოხსენებისათვის ცეკას ანგარიშის შესახებ ამხ. ბ. ლომინაძეს.

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა

განვლილი წელი ღირსშესანიშნავია მით, რომ მოხდა მოწინააღმდეგეთა ბანაკის, ანტისაბჭოთა პარტიების სრული დაშლა: მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ახალგაზრდა მარქსისტების, ფედერალისტების და სხვა უმნიშვნელო პარტიების.

მენშევიკები

ანტი საბჭოთა პარტიებში მთავარ ძალას წარმოადგენდენ მენშევიკები, რომელსაც საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში მძლავრი ორგანიზაცია ჰქონდა, ცენტრალური კომიტეტით, ბეჭდვითი ორგანოთი და მრავალრიცხოვანი პასიური და აქტიური მიმდევრებით.

1922 წლამდე, ს. კ. პ. მეორე ყრილობამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მენშევიკებთან ბრძოლას. აქტიური და რეპრესიული ზომებით არ ვმოქმედობდით მათ წინააღმდეგ.

გურიაში ბანდიტური გამოსვლების შემდეგ კი, ჩვენ გავაგზავნეთ იქ რაზმები და ტერორს ტერორითვე ვუპასუხეთ.

საგანგებო კომისიაში მენშევიკებმა ათასობით გაიარეს. მაგრამ მარტო რეპრესიული ბრძოლით ჩვენ ვერ შევძლებდით მენშევიკური პარტიის დაშლას. უმთავრესი მიზეზი მენშევიკთა გახრწნისა იყო ის, რომ დაძლეულ იქნა წვრილბურჟუაზიული ილუზიები და სწორად იქნა გადაჭრილი, ეროვნული საკითხი რისშემდეგ ამან ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას ჩვენში.

საქართველოს მენშევიზმმა გაიარა სრული გზა თავისი განვითარებისა, საქართველო მენშევიკური ოაზისის წარმოადგენდა. 3 წლის გამოცდილებამ დაუფანტა ილუზიები მენშევიკთა ნაწილს დემოკრატიზმის და შინაურ და საერთაშორისო ბურჟუაზიასთან კოალიციის შესახებ. უკვე მათი ბატონობის დროს დაიბადა უკმაყოფილება, უთანხმოება თვით მენშევიკთა წრეებში რამაც დაბოლოს მიგვიყვანა მენშევიკთა სრულ დაშლამდე.

1923 წელში ჩატარებულ აგრარულმა რეფორმამ კიდევ უფრო მოგვიპოვა ნდობა, გაძლიერა ჩვენი გავლენა გლეხობაში. საბჭოთა ხელისუფლების სხვა ზომებთან ერთად, ამ ფაქტმა დაარწმუნა მშრომელი მასა, რომ ჩვენი მთავრობა ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობაა, რომ ის შეუდრეკლად იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ამან გამოიწვია გარდატეხა ჩვენ სასარგებლოდ თვით იმ მასებშიც რომლებიც წინეთ მენშევიკებს მისდევდნენ.

მუშებმა მასიურათ დასტოვეს მენშევიკური პარტია, მოძრაობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რის შემდეგ ჩვენ მიერ მოწვეული იყო ჯერ ადგილობრივი და შემდეგ კი სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობა. ამ ყრილობამ გასული წლის აგვისტოში მიახდინა ლიკვიდაცია მენშევიკური პარტიისა.

მენშევიკური პარტია პირველ ყოვლისა დასტოვეს პროლეტარულმა ელემენტებმა, რომლებიც ინსტინქტიურათაც გრძნობდენ ჩვენ პარტიასთან დაახლოების აუცილებლობას.

ახალგაზრდა მარქსისტები

უფრო დაგვიანდა ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის დაშლამ, რომელიც დაიწყო მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ. ახალგაზრდა მარქსისტები უფრო ნაკლები ხალისით სტოვებდენ თავის ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მათი უფრო ბურჟუაზიული სოციალური შემადგენლობით აიხსნება დასასრულ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების კონფერენციამ, რომელმაც გამოაცხადა თავისი ორგანოს ლიკვიდაცია. საბჭოთა, სადაც სჩანს რომ ისინი ემზადებოდნენ დიდ პოლონეთის და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების დახმარებას. სისხლის სამართლის ბანდიტიზმი და ჯაშუშობა მენშევიზმის სრულ გაკოტრებას მოასწავებს. მათ პოლიტიკამ პირდაპირ უაზრო ავანტიურისტული ხასიათი მიიღო. მომავალშიც აქტიური და რეპრესიული ზომები უნდა მივიღოთ მენშევიზმის წინააღმდეგ. მათი ცეკა დღეს მათ ნებას რთავს პარტიიდან გასვლისას დეკლარატიულ განცხადების საშუალებით.

გოგიტა ფაღავა და რუხაძის განცხადება ამტკიცებს, თუ რამდენათ გახრწნილია მენშევიკების ცეკაც კი, თუ მისი წევრები დაპატიმრების სულ მცირე ხნის შემდეგ აცხადებენ რომ ხალხისათვის ერთად ერთი მისაღები ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლებაა საუკეთესო და საიმედო ნაწილი მენშევიკებისა მიღებულია ჩვენს პარტიაში, დანარჩენები კი უნდა ჩავაბათ საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, კულტურულ და სხვა სახის მუშაობაში

უკანასკნელ დროს მენშევიკურ ინტელიგენციაშიც დაიწყო გარდატეხა, რის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სეით დევდარიანი, რომელიც მიუხედავათ თავისი გაბედული განცხადებისა ჯერაც ვერ განთავისუფლებულა მენშევიკური მსოფლმხედველობისაგან მაგრამ მუშები, ყოფილი მენშევიკებიც კი ჩვენ უფრო გვიჯერიან, ვიდრე სეით დევდარიანს, რომლის ეხლანდელი პოლიტიკა ძალიან გავს ძველ ლიკვიდატორულ პოლიტიკას.

ნაციონალ-დემოკრატები.

სხვა პარტიების დაშლა უფრო ადვილათ მოხდა. ნაციონალ-დემოკრატების სალიკვიდაციო ყრილობა ისე ჩუმათ ჩატარდა, რომ ჩვენ პრესასაც კი დაუგვიანდა მისი აღნიშვნა. ნაციონალ-დემოკრატებმა გამოიტანეს რეზოლუცია თავის პარტიის დაშლის შესახებ იმ მოსაზრებით რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ანტისაბჭოთა პარტიების არსებობა უაზროა მით უმეტეს, რომ კომპარტიამ საუკეთესოთ გადაჭრა ეროვნული საკითხი.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია

ეს კამპანია დაიწყო ახალგაზრდა კომკავშირისთვის რამოდენიმე სამღვდელო სობოროს გადაცემით, და მოწამეების „წმინდანების" ნეშტების გახსნით მაგრამ შემდეგ მან მიიღო უფრო ფართე ხასიათი და სტიქიურათ ზოგან კიდევაც გადასცილდა განზრახულ საზღვრებს. ჩვენ მოგვიხდა განსაკუთრებული ზომები მიგვეღო ამ მოძრაობის გარკვეულ კალაპოტში ჩასაყენებლათ და ზოგი ერთი ეკლესიების ხელახლა გახსნილათ. უკანასკნელი მომენტი ამ კამპანიისა იყო ამბროსის გასამართლება.

ეროვნული საკითხი.

ეროვნული საკითხი, თვით ჩვენი მოწინააღმდეგების განცხადებითაც საუკეთესოთ არის გადაწყვეტილი პარტიის მიერ და პრაქტიკულათ ტარდება დღეს. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები დაცულია, ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის სათავეში სდგანან ადგილობრივი ამხანაგები, რომლებიც სარგებლობენ მცხოვრებთა სრულ ნდობით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენი სამეურნეო მდგომარეობაზე.

დაწვრილებითი ანგარიშს მოვათავსებთ.

ამხ. ფ. მახარაძე და ჩვენი პრესა

პრესის გაუმჯობესება, მისი დაყენება თავის დანიშნულების სიმაღლეზე როგორც შინაარსის, ისე ტეხნიკური მხრით — ერთი მტკივნეული და მასთან რთული საკითხთაგანია ჩვენი სინამდვილის.

ჩვენს გაზეთში მუდმივად მომუშავე ამხანაგების საზრუნავ საგანს იმთავითვე შეადგენდა და დღესაც შეადგენს — მშრომელი ხალხის კლასობრივი გათვითცნობიერების ეს საუკეთესო იარაღი, მისი გონებრივი თვალთახედვის, მისი ცოდნის გაფართოების ხშირად ერთადერთი წყარო, მართლაც იყოს ასეთი, მართლაც აკმაყოფილებდეს სავსებით და უნაკლოდ მეტად მდიდარი და გაძნელებული ტემპით მიმდინარე თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს.

პრესის გაუმჯობესების საკითხი არა ერთხელ დასმულა პარტიაში, აგრეთვე ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც. შარშან ამაზე ვრცელი დისკუსიაც გაიმართა. აღნიშნული იყო ჩვენი პრესის ნაკლოვანებანი, ნაჩვენები იყო მათი გამოსასწორებელი ღონისძიებანიც.

რა თქმა უნდა, ყველა ამ მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია. ვინც ზერელედ მაინც გადაათვალიერებს ჩვენი გაზეთის კომპლექტს დღევანდლამდე, დაწყებული 1921 წლის მარტიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, როცა განახლებულ იქნა „კომუნისტი"-ს გამოცემა, — ის, თუ მთლად ბრმა არ არის და ამასთან შურით მიუდგომელი და სალი განსჯის უნარი, უეჭველად შეამჩნევს საგრძნობ წარმატებას, დიდ მიღწევებს. გაზეთის ფორმატი გადიდებულ იქნა, იბეჭდება მრავალფეროვანი მასალა, შუქდება საჭირბოროტო საკითხები, შექმნილია მუშა კორესპონდენტების მრავალრიცხოვანი კადრი, გაზეთმა გაება კავშირი პარტიულ მასასთან, მუშათა კლასთან, პროვინციასთან, ტირაჟმა საკმაოდ აიწია; მასალის დალაგება და განაწილება ხდება გარკვეული სისტემით და სხვა.

ამით, თავისთავად ცხადია, ამის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენი გაზეთი თითქო იდეალურად იყოს დაყენებული. მაგრამ ყველა მიღწევა უნდა შეფასდეს შედარებითი მეთოდით. და ვამბობთ, რომ ჩვენი გაზეთი დღეს გაცილებით უკეთესია, ვინემ იყო ადრე.

უდავოა, რომ ჩვენს გაზეთს დღესაც ბევრი ნაკლი გააჩნია, ძალიან ბევრია ჯერ კიდევ გასაკეთებელი და მისაღწევი.

ამ ნაკლოვანებებზე მითითება, გაზეთის მდგომარეობის საქმიანი კრიტიკა, ხელისშეწყობა მისი უკეთ დაყენებისათვის, თუ ამას იკისრებს რომელიმე ამხანაგი, ჩვენ სასარგებლო და აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია დღესაც.

ჩვენი გაზეთის ხუთი მაისის, პრესის დღის №-ში, მოთავსებულია სხვათაშორის ამხ. ფ. მახარაძის წერილი: „გაზეთის გაუმჯობესების პირობები".

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამხ. მახარაძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც რედაქცია აწარმოებდა გაზეთის გაუმჯობესების დარგში. არც რამე რჩევა-დარიგება მოუცია, არც წერილები მოუწოდებია ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ ის ძველი და გამოცდილი ჟურნალისტია. და უკანასკნელ ხანებში, რამდენადაც ვიცით, არ ყოფილა მაინცა და მაინც დატვირთული სხვა რამე მუშაობით.

მაგრამ, რუსული ანდაზის არ იყოს, უკეთესია გვიან, ვიდრე არასოდეს; და ამხ. მახარაძემ საჭიროდ სცნო დაგვიანებით მაინც გამოსულიყო ხსენებული წერილით, რათა ეჩვენებინა „ზოგიერთი პრაქტიკული ზომები გაზეთის გასაუმჯობესებლად", როგორც თვითონ აცხადებს.

ჩვენ შევჩერდებით ამ წერილის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება კერძოდ „კომუნისტს". ამას გვაიძულებს წერილის კილო, მასში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრებები, აგრეთვე თვით მისი ავტორის ვინაობა, რომლის შენიშვნას, თუნდაც შემცდარი იყოს იგი, ანგარიშში უნდა გაეწიოს.

უნდა განვაცხადოთ, რომ ამხ. მახარაძის წერილი ოდნავადაც არ შეიცავს ჩვენი გაზეთისადმი კეთილგანწყობილ და საქმიან კრიტიკას. ამხ. მახარაძე ცდილობს დაამტკიცოს „კომუნისტი"-ს სრული უვარგისობა და დასცეს მისი პრესტიჟი მკითხველის თვალში.

ამხ. მახარაძეს არ მოსწონს ჩვენი გაზეთის არც შინაარსი, არც წერილები, არც ენა, არც ფორმატი, არც ტეხნიკა; ერთი სიტყვით, არაფერი არ მოსწონს, მაგრამ დაუგდოთ ყური თვით ავტორს:

> „ისინი (ჩვენი გაზეთები) თავისი შინაარსით უკიდურესად დატვირთულ-დაჯღაბნულია. მკითხველი, არა თუ მუშა ან გლეხი, არამედ უინტელიგენტესი იხრჩობა ამ სიმძიმის ქვეშ. იგი ვერ ასწრებს იმის მონელებას, რაც დღეს სწერია გაზეთის ნომერში, რომ ხვალ ისევ შეუდგეს იმავე ამბების ყლაპვას და ასე დაუსრულებლივ."

რომ კერძოდ ჩვენი გაზეთის შინაარსი დატვირთულია მასალით, ამაში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხ. მახარაძეს. მაგრამ, წინააღმდეგ მისი აზრისა, ეს ჩვენი გაზეთის ნაკლად კი არ მიგვაჩნია, არამედ ღირსებად და ამასთან აუცილებელ საჭიროებად.

ამხ. მახარაძის მიერ ჩვენი გაზეთის ასეთი შეფასების შეცდომის სათავე ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ გავეცნობით მის აზრს „კომუნისტი"-ს ფორმატის შესახებ. ის ამბობს:

> „კომუნისტი"-ს ფორმატი თითქმის მეტია მოსკოვის „პრავდის" ფორმატზე. მე ვეჭვობ, რომ ჯერ „პრავდის" ფორმატით ყველა კმაყოფილი იყოს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „პრავდა" უდიდესი და უძლიერესი კავშირის ორგანოა, 130 მილ. ხალხის ინტერესების გამომხატველი. ჩვენ „კომუნისტს", რომელიც ემსახურება ასჯერ უფრო პატარა ტერიტორიის და ხალხს, შეეძლო უფრო პატარა ფორმატი ჰქონოდა... ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ რომ „კომუნისტი"-ს ფორმატი ორჯერ ნაკლები იყოს".

„კომუნისტი"-ს და „პრავდის" ფორმატის განსხვავება იმდენათ უმნიშვნელოა, რომ ამაზე არ ღირს ლაპარაკი, როდესაც ეს შემთხვევითი მოვლენაა. ამასთან „პრავდა" ექვსი და ხშირად 8 გვერდით გამოდის.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ ქართული და რუსული თვით ერთი და იმავე ფორმატის გაზეთის ტევადობა სულ სხვადასხვაა, რაც აიხსნება შრიფტის სხვაობით. მაგ., „კომუნისტი"-ს ოდენა რუსული გაზეთი, განსაკუთრებული შრიფტის წყალობით, იტევს დაახლოვებით ერთ მესამედს ზედმეტ მასალას.

შემდეგ: ამხ. მახარაძის „ეჭვი", რომ თითქო თვით „პრავდის" ფორმატით ყველა არ იყოს კმაყოფილი, არაფერზე არ არის დამყარებული. აბა ვის „შემოუჩივლია" ასეთი „უკმაყოფილებით" მისთვის! ალბად ერთად ერთი ამხ. მახარაძეა „პრავდა"-ს ფორმატით „უკმაყოფილო".

მაგრამ ჩვენი ავტორი მაინც ბოდიშს ხდის „პრავდას" და ამართლებს მის დიდ ფორმატს იმით, რომ, როგორც ზევით გვქონდა მოყვანილი მისი სიტყვები, ის „უდიდესი და უძლიერესი კავშირის ორგანოა, 130 მილ. ხალხის ინტერესების გამომხატველი", ჩვენი „კომუნისტი" კი „ემსახურება ასჯერ უფრო პატარა ტერიტორიას და ხალხს", ამიტომ საჭიროდ მიაჩნია „კომუნისტი"-ს ფორმატის ორჯერ შემოკლება.

ეს „საბუთი" ღირსია იმის, რომ მაზე შევჩერდეთ.

რატომ „კომუნისტი"-ს ფორმატის ორჯერ შემოკლება? თუ უბრალო ანგარიში, არითმეტიკის ოთხი მოქმედება არ დაგვავიწყებია, ჩვენი გაზეთის ფორმატი, ამხ. მახარაძის „მატემატიკური ლოღიკით" ასჯერ უნდა შეგვემოკლებინა, მიტომ რომ ის „ემსახურება ასჯერ უფრო პატარა ტერიტორიას და ხალხს" ვინემ „პრავდა".

ნუ თუ საქართველოს მშრომელ ხალხს, მიუხედავად მისი მცირერიცხოვანობისა, არ აინტერესებს ის საკითხები, რომლებსაც აშუქებს, ვთქვათ, მოსკოვის „პრავდა", ნუ თუ ჩვენი მუშა და გლეხი უნდა ეცნობოდეს ქართული გაზეთის საშუალებით მარტო ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობას და მისთვის საჭირო არ არის მის ცოდნა, თუ რა ხდება დანარჩენ საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში. და თუ ეს საჭიროა, ქართველმა მუშამ და გლეხმა ამისათვის უეჭველად რუსულ გაზეთს უნდა მიმართოს, რომლის ენა მათ ან სულ არ გაეგებათ, ან ძალიან ცუდათ ესმით? და განა თვით ჩვენს ქვეყანაში ცოტაა ისეთი საქმეები, მოვლენები, საკითხები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ გაშუქებას პრესაში! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. მახარაძე ძალიან ზღუდავს ამით ქართველი მუშის და გლეხის კულტურულ მოთხოვნილებებს.

ამხ. მახარაძე შეყვარებულია პატარა გაზეთზე. მას ისეთი გაზეთი უნდა, რომლის

> „გაშლა, წაკითხვა და ისევ დაკეცვა ადვილად და შეუწუხებლად შეიძლებოდეს დაზგასთან, ტრამვაის ვაგონში, მინდორში, და არა მარტო ფართო მაგიდასთან".

უყენებს რა ასეთ მოთხოვნას ჩვენს გაზეთს, ამხ. მახარაძე სასოწარკვეთილი ტონით მოსთქვამს:

> „ახლა თქვენ გადაშალეთ ჩვენი „კომუნისტი" მეტადრე როცა შიგ დამატებითი ფურცელია ჩართული! როგორ უნდა დაიჭიროს ის ჩვენებურმა მკითხველმა, როგორ უნდა გადაშალოს და დაკეცოს ის? ჯერ ხომ ამას მოუნდა და აბა წაკითხვა როდისღა მოასწროს. სადა აქვს მუშას იმოდენა დრო, რომ ის ჯერ შალოს და მერე ისევ კეცოს".

აი, თუ გნებავთ ნამდვილი ტრაგიკული მდგომარეობა! ჩვენ ეს ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველმა თვითონ განსაჯოს, თუ რამდენად „ურყევია" ამხ. მახარაძის „არგუმენტაცია", თუ რა დიდ გაუგებრობაზეა ის აშენებული.

ჩვენ პირდაპირ მივადექით ამ გაუგებრობის სათავეს. ამხ. მახარაძეს ერთი „პატარა" ფაქტი გამორჩენია საბჭოთა პრესის ხასიათის გათვალისწინების დროს. ჩვენ ვლაპარაკობთ გაზეთის ტიპებზე. ამხ. მახარაძისათვის შეუმჩნეველად დარჩენილა გაზეთების დაყოფა ტიპებად. არის მასიური მუშათა გაზეთი („Рабочая газета", „Рабочая Москва", თბილისის „Рабочая правда" და სხ.), არის სახალხო გაზეთი (მაგ. „Беднота"), არის პროფესიული გაზეთი („Труд" და სხ.), არის ეკონომიური ხასიათის გაზეთი („Экономическая жизнь" და სხ.) და სხვა სახის გაზეთებიც.

მაგრამ მათთვე გვერდით არის გაზეთი საერთო, პოლიტიკური, ხელმძღვანელი, რომელიც ამასთან შეძლებისდაგვარად უნივერსალური შინაარსისაა. პარტიის საერთო პოლიტიკის გაშუქება, სადირექტივო — სახელმძღვანელო წერილების მოთავსება, ძირითადი ტონის მიცემა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ამასთან საჭირო ცნობების და სხვადასხვა დარგებიდან მასალების მოთავსება — აი დანიშნულება ასეთი გაზეთის (ამ ტიპის გაზეთებია, მოსკოვის „Правда", თბილისის „Заря Востока", „კომუნისტი" და სხ.).

როცა ამხ. მახარაძე ილაშქრებს მასალით გაზეთის ზედმეტი დატვირთვის და მისი ფორმატის სიდიდის წინააღმდეგ, ეს უნდა ეხებოდეს მასიურ მუშათა გაზეთს და სახალხო გაზეთს. ხოლო ასეთი მოსაზრებით „კომუნისტი"-ის დაწუნება — ეს, როგორც ვსთქვით, სრული გაუგებრობაა.

ჩვენი გაზეთი უნდა დარჩეს დიდი ფორმატის და მან უნდა მიაწოდოს მკითხველს მრავალმხრივი მასალა.

ამხ. მახარაძის მოსაზრება, რომ ასეთი გაზეთის წასაკითხად მუშას დრო არა აქვს, მოკლებულია საფუძველს. შეიძლება, მის სავსებით წასაკითხად საკმაო დრო არ დარჩეს „დაზგასთან, ტრამვაის ვაგონში" მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მუშა მუშაობს მხოლოდ რვა საათის განმავლობაში, დანარჩენი დრო მის განკარგულებაშია, სახლში თუ სხვაგან, თავისუფლად ყოფნის დროს ის სიამოვნებით დაეწაფება გაზეთის დიდ და მრავალფეროვან მასალას. ჩვენ ასეთი დაბალი წარმოდგენისა არა ვართ ჩვენს მუშაზე, რომ ეს მან ვერ შესძლოს.

ამხ. მახარაძე კიდევ ამბობს:

> „მან (მუშამ) არ იცის, რა წაიკითხოს, რა გამონახოს თავისთვის უფრო საყურადღებო ან საინტერესო, იგი იღლება და სრულებით უშვებს გაზეთს ხელიდან".

ეს ასე მოხდებოდა, რომ ჩვენს გაზეთში ყოველგვარი მასალა დომხალივით იყოს ერთმანეთში არეული. მაგრამ მასალის დალაგება განაწილების ტეხნიკაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი თავის ადგილასაა, ერთნაირი მასალა ერთ განყოფილებაშია თავმოყრილი და გამოყოფილი შესაჩნევი სათაურით.

სამწუხაროა, რომ გამოცდილ ჟურნალისტთან ასეთ უბრალო რამეებზე გვიხდება ლაპარაკი.

გავყვეთ კვალ და კვალ ამხ. მახარაძეს. ის გვიწუნებს ენას:

> „თითქმის ყველა წერილები იწერება მეტად მძიმე და უკლაზათო ენით, ხშირად რუსულ-ქართული „ნაქართულით", წამდაუწუმ თქვენ გხვდებათ ფრაზების რუსული წყობა, რაც ქართულს სრულებით არ უდგება და ამავე დროს ყველა წერილები აჭრელებულია უცხო სიტყვებით"...

მძიმე ბრალდებაა, ეჭვი არ არის.

არ ვმალავთ, რომ გაზეთის ყოველდღიურ, სასწრაფო მუშაობაში, როცა დიდძალი მასალის თარგმნა გვიხდება, ენის მხრივ შეცდომებს აქვს ადგილი. მაგრამ ფაქტებით, და არა ლიტონი სიტყვებით უნდა დამტკიცება, რომ ამ მოვლენას სისტემის ხასიათი აქვს, და არა გამონაკლისის. ამხ. მახარაძე კი ამბობს ამაზე, როგორც საერთო, მუდმივ, ჩვეულებრივ მოვლენაზე („წამდაუწუმ" *).

ჩვენ ვიმეორებთ, ენის მხრივ შეცდომებს აქვს ადგილი ჩვენს გაზეთში, ამას ჩვენ თვითონ კარგად ვგრძნობთ და ვიღებთ ზომებს მათ ასაცილებლად, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, რომლებსაც ქმნის თვით სარედაქციო მუშაობის ხასიათი, რაც უცნობი არ უნდა იყოს თვით ამხ. მახარაძისათვის. მისი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის აჭარბებს, კერძო შემთხვევებს ანზოგადოებს.

ამხ. მახარაძის ბრალდებათა კონა ზემოთქმულით არ ამოიწურება. ის განაგრძობს:

> „რამდენჯერ შემოუჩივლიათ ჩემთვის ჩვენ მკითხველებს... გრძელ-გრძელ და მძიმე ენით დაწერილ წერილებზე, რომლებიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება და მეც მრავალჯერ დავკითხებივარ ჩემ თავს, ვისთვის ან რისთვის თავსდება ასეთი წერილები გაზეთის ფურცლებზე".

და გვასწავლის:

> „გაზეთისთვის საჭიროა ცოცხალი, მკვირცხლი, ენამახვილი მოკლე-მოკლე წერილები".

შევჩერდეთ „გრძელ წერილებზე". მართალია ის, რომ ხანდახან გაზეთში გრძელი წერილები გამოერევა. მაგრამ ეს არ არის საერთო მოვლენა. წინააღმდეგის დამტკიცებას შეეცდება ამხ. მახარაძე სტატისტიკურად, და არა ცარიელი სიტყვებით. სამაგიეროთ ჩვენ ვიცით შემდეგი: ამხ. მახარაძეს განუყრელი „სენი" აქვს, რომ გრძელზე უგრძელეს წერილებს სწერს. აბა დაგვისახელოს მან ამ სამი წლის განმავლობაში რამდენი წერილი მოათავსა სულ მცირე ორას სტრიქონზე ნაკლები. ასეთებს ის ვერ

---

*) თავის აზრის დასამტკიცებლად ამხ. მახარაძეს მოჰყავს „კომუნისტში" (№ 88) მოთავსებულ წერილიდან, როგორც ის ირწმუნება, „სახელდახელოდ, სრულიად შემთხვევით ამოღებული ერთი ადგილი: „გარდამავალ პერიოდში მუშათა კლასს უხდება ბრძოლა არა მარტო რეაქციის, არამედ თავის თავის წინააღმდეგაც. ბრძოლა ყოყმანობის ფრონტზე არსებითად არის მუშათა კლასის ბრძოლა თავის თავის წინააღმდეგ"... ამხ. მახარაძე გესლიანი დაცინვით დასძენს: „ბრძოლა ყოყმანობის ფრონტზე". „მუშათა კლასის ბრძოლა თავის თავის წინააღმდეგ"! თავის თავის! ეს ყოვლად უაზრო ფრაზებია; და იმათი გაგებაც მხოლოდ რუსულის მცოდნეს თუ შეუძლია".

თუ ამაზე უფრო მაგარი ფაქტი ვერ გამონახა ამხ. მახარაძემ ენის დამახინჯების ნათელსაყოფად, მისი საქმე ცუდად ყოფილა. ზევით მოყვანილი ფრაზები არავითარ უაზრობას არ შეიცავენ. ასეთი გამოთქმა, კაცია და ხასიათი, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია. დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი „გამანადგურებელი საბუთის" წამოყენება უფრო [illegible] წარმოადგენს და არ შეშვენის ავტორს.

დონალდი და საქართველო

ონალდი საქართველოს მდგომარეობის შესახებ

ონდონი 4 მაისი. შეკითხვაზე თემთა პალატაში საქართველოს მდგომარეობის შესახებ, მაკდონალდმა უპასუხა, აქართველოს საკითხი საბჭოთა კავშირის შინაური საქმეა.

ლონდონის კონფერენცია

საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება.

ნდონი. 4 მაისი. რეიტერის სა- სარწმუნო წყაროებიდან იტყ- ბენ, რომ არ არის საბუთები რო, რომ ინგლის-საბჭოთა ის მოლაპარაკება უშედეგოთ ვრდება. კონფერენცია ჯერ კი- რჩევა იმ საკითხებს, რო- შეუძლიათ დაბრკოლებების კონფერენციის მუშაობაში. აძლევენ ფაქტიურ მა- და ერთმანეთს უზიარებენ ალურ ცნობებს. პრინციპია- საკითხები ჯერ კიდევ არ ყო- განხილული.

ნფერენციის მუშაობა.

ონი. 6 მაისი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის კომისიები იკრიბებიან ყოველდღიურათ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ. კომისიები ახლო ხანში ვერ დაამთავრებენ მუშაობას და ამიტომ ამ კვირაში არ არის მოსალოდნელი კონფერენციის პლენარული სხდომა. მუშაობა თავისუფლად მიმდინარეობს; ხმები იმის შესახებ, რომ კომისიების მუშაობას მრავალი დაბრკოლებები ეღობება წინ, სიმართლეს არ შეიცავენ. ამ ხმების ავტორებს, ალბათ, ვერ გაუგიათ იმ ამოცანების სიძნელე და სირთულე, რომელთაც იხილავენ კომისიებში.

ჩვენ და საფრანგეთი

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

სი. 4 მაისი. „იუმანიტე“-ს ნელ კორესპონდენტებთან სა- დროს რაკოვსკიმ განაცხადა, პუანკარეს უკანასკნელი სი- რომელიც მან წარმოსთქვა ა საბჭოთა კავშირთან ურ- ობის აღდგენის შესახებ, წარ-, როგორც ჩანს, მისი პო- ის დაცვას მომავალ არჩევ- დაკავშირებით.

პუანკარეს შეხედულება.

ვსკი ენერგიულ პროტესტს ადა იმის წინააღმდეგ, რომ რე ცდილობდა საბჭოთა კავ- და საფრანგეთის მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობა და- საბჭოთა მთავრობისა-. კოვსკიმ აღნიშნა, რომ ნგეთის მთავრობა დაჟინებით ძველ მესაკუთრეების ინტე- და ივიწყებს წვრილი მესა- ების ინტერესებს. არ არის ული პუანკარეს განცხადება შესახებ, რომ საფრანგეთის ებს შეუძლიათ თავიანთი“ დაიწყონ ვაჭრობა საბ- მთავრობასთან, ვინაიდან სი- ეში მთელი მისი პოლი- ხანად ისახავდა საბჭოთა და საფრანგეთის ს- ურთიერთობის ჩაშლას. ნა- არის მოსალოდნელი, რომ მთავრობა გადაიხდის რადგანაც მან იცის, რომ ელი თანხა მოხმარდება საბჭოთა კავშირის მტრების შეიარაღებას.

პუანკარეს ანტი-საბჭოთა პოლიტიკა.

როდესაც, საფრანგეთის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ევროპაში საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ, განიცადა კრახი, პუანკარემ მოკავშირეები ჰპოვა ამერიკაში იუზის სახით. საფრანგეთი ცდილობდა აგრეთვე მონაწილეობის მიღებას ინგლისის და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში მისი ჩაშლის მიზნით. რამდენად პუანკარეს მოქმედება არ შეეფერება მის განცხადებას, ამას მოწმობს მისი პოზიცია ბესარაბიის საკითხში; სრულებით გასაკვირი არ იქნება აგრეთვე ისიც, რომ გამართლდეს ხმები საფრანგეთის და რუმინეთის სამხედრო კავშირის შესახებ.

რაკოვსკიმ ხაზი გაუსვა რუმინეთის ორპირულ და არალოიალურ პოლიტიკას მსოფლიო ომის დროს, ის იცვლიდა ორიენტაციას, რასაც ამტკიცებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში არსებული დოკუმენტები.

„საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მომავალი—დაასრულა რაკოვსკიმ—სავსებით დამოკიდებულია საფრანგეთის მთავრობაზე, რომელსაც, როგორც ჩანს, კიდევ არ შეუგნია საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობა“.

ურთიერთობა ფინეთთან

თისა და საბჭოთა რუსეთის რკინიგზო კონფერენცია.

კვა. 4 მაისი. მაისის რიცხ- ში ჰელსინგფორსში გაიხსნება ფი- რუსეთის კონფერენცია, რომელ- განხილული იქნება რკინის მიმოსვლასთან დაკავშირებუ- კითხები. გზათა სახ. კომისა- ცნობით მომავალი შეთანხ- შემსუბუქებს და ებს ტვირთების გადაცემ მას მოსაზღვრე პუნქტებში ის. და საშუალებას მისცემს მატარებლებს შეუჩერებლათ გადავიდნენ ტვირთებით საზღვარზე. სამგზავრო წესები შესამჩნევათ იქნება გამარტივებული.

აღნიშნული ღონისძიებანი გააძლიერებენ ტვირთების გატან-გამოტანას საშუალოთ 100 პროცენტით და გააფართოვებენ სავაჭრო ურთიერთობას ფინეთსა და რუსეთს შორის.

ინეთთან შეთანხმებისათვის

შეთანხმება ხელ ახლო მომავალში მოხდება.

(საუბარი ამხ. დავთიანთან)

კვა. 3 მაისი. მოსკოვში ჩა- ულ საბჭოთა კავშირის სრულ- უფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. დავთიანი ესაუბრა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებს. მან განაცხადა:

ჩინეთი წარმოადგენს იარაღს მოკავშირეთა ხელში.

ამხ. დავთიანმა აღნიშნა, რომ ჩინეთი არ არის საგნებით დამოუკიდებელი სახელმწიფო: პეკინის მთავრობა არსებობს მხოლოდ უცხო სახელმწიფოების დახმარების წყალობით და წარმოადგენს მორჩილ იარაღს მათ ხელში. ამ ჟამად ცენტრალური ჩინეთის საქმეებზე დიდ გავლენას ახდენს ამერიკა და საფრანგეთი, რომლებიც არავითარ ხარჯებს არ ერიდებიან თავიანთ გავლენის განსამტკიცებლად ჩინეთში.

საბჭოთა კავშირთან შეთანხმება აუცილებელია ჩინეთისათვის.

მაგრამ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ პეკინის მთავრობისათვის ნათელი გახდა ჩვენთან შეთანხმების აუცილებლობა. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მედგრად მოითხოვდა ჩვენთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას, დიდ ზეგავლენას ახდენს მთავრობაზე და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საწარმოებლად წარგზავნილ რწმუნებულზე—დოქტორ ვანზე. ხანგრძლივი მოლაპარაკება დამთავრდა 14 მარტს შეთანხმების ხელმოწერით. შეთანხმება ისტორიულ ერას წარმოადგენს ჩინეთისათვის, ვინაიდან იგი არის პირველი, რომელშიაც ჩინეთი გამოდის, როგორც თანასწორუფლებიანი მხარე. საზოგადოებრივი აზრი მიესალმა შეთანხმებას, რომელიც არის საუკეთესო დამამტკიცებელი საბჭოთა კავშირის გულწრფელ და მეგობრულ პოლიტიკისა.

შეთანხმების ჩაშლა—უცხო სახელმწიფოების ზეგავლენის შედეგია.

მაგრამ კაბინეტმა არ დაამტკიცა თავისი დელეგატის ხელისმოწერა და წამოაყენა მთელი რიგი ფორმალურ მოსაზრებათა, რომელიც არის მხოლოდ შეთანხმების ჩაშლის საბაბი. ეს მოჰყვა შედეგად სახელმწიფოების და განსაკუთრებით, საფრანგეთის ჩარევის შედეგს, საფრანგეთის, რომელიც დაინტერესებულია რუსეთ-აზიის ბანკის ბედით, ვინაიდან შეთანხმებით ბანკი კავშირს სწყვეტდა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზასთან და კითხვის ქვეშ იყო დასმული მისი არსებობაც ე. ი. შეთანხმება ჩაშლილი, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნილებისა და მთელ რიგ გამოჩენილ გენერლების, კერძოთ უ პეი-ფუს მხარის დაჭერისა. უკანასკნელს (უ პეი-ფუს) მშვენივრად ესმოდა, რომ შეთანხმება დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩინეთს და იქნებოდა კარგი პრეცენდენტი სხვა სახელმწიფოებთან მომავალ შეთანხმებისათვის.

შეთანხმება ხელ ახლო მომავალში მოხდება.

მაგრამ, დღევანდელმა კაბინეტმაც კი უნდა შეიცვალოს თვალსაზრისი და იპოვოს გამოსავალი მდგომარეობიდან, მე დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება ხელ ახლო მომავალში.

გერმანიის ვალები

იაპონიის და სამხრეთ-სლავიის მთავრობების პასუხი.

პარიზი. 2 მაისი. სარეპარაციო კომისიამ მიიღო პასუხი იაპონიის და სამხრეთ-სლავიის მთავრობებისაგან, რომელნიც თანხმობას განაცხადებენ ექსპერტთა პროექტის მიღებაზე. ეს პროექტი საფუძვლად დაედება სარეპარაციო საკითხის გადაჭრას.

სარეპარაციო კომისიამ დაადგინა შეადგინოს კომისია გერმანიის რკინის გზების მართვა გამგეობის მოსაწყობად.

ბელგიის მინისტრების მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან.

ლონდონი. 4 მაისი ბელგიის პრემიერ ტეუნის და საგარეო საქმეთა მინისტრი გიმანსი ლონდონიდან ბრიუსელში დაბრუნდნენ ინგლისის მთავრობასთან თათბირის შემდეგ.

გაზ. „ობსერვერ“-ის ცნობით, სარეპარაციო საკითხის გადაჭრას აბრკოლებს საფრანგეთის მიერ რურში ოკუპაციის მოხსნაზე უარის თქმა, გარანტიების მიუღებლად.

ინგლისის აზრი აქვთ.

პარიზი. 4 მაისი. მემარჯვენე წრეები ძლიერ შეშფოთებულნი არიან ბელგიის მინისტრების ინგლისის მთავრობასთან თათბირის შედეგით. მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა საკითხი საოკუპაციო ჯარების რურში დატოვების შესახებ.

„მატენ“-ი გამოსთქვამს იმედს, რომ ინგლისის მთავრობა პრინციპიალურად დასთანხმდება საფრანგეთის ჯარების დატოვებაზე რურში.

სხვადასხვა ამბები

● **შეთქმულება ფინეთში.** ფინეთის გაზეთი „სოციალ დემოკრატი“ იტყობინება, რომ იქ აღმოაჩინეს სამხედრო შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა ძალა უფლების ხელში ჩაგდება.

● **აჯანყება ავღანისტანში** რამოდენიმე რაიონში ავღანისტანის მთავრობის ჯარებს თავს დაესხნენ აჯანყებულები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ემირის რეფორმით რელიგიის საკითხში

● **„დიდი ხტუნარი“.** რუმინეთში ჩავიდა საფრანგეთის, გენერალური შტაბის წევრი მ. ნიე, რომელმაც დაათვალიერა რუმინეთის ჯარი და მისცა მას „ზოგიერთი დარიგებები“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. რიკოვი შეუდგა მუშაობას

მოსკოვი 5 მაისი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაბრუნდა მოსკოვში და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა შესდგება მისი თავმჯდომარეობით.

ლენინგრადის სახელმწიფო ვაჭრობა

ლენინგრადი. 5 მაისი მიმდინარე წლის პირველ მესამედის განმავლობაში ლენინგრადის სახელმწიფო ვაჭრობა საგრძნობლად გაფართოვდა.

სახელმწიფო ორგანოების საბირჟო გარიგებათა პროცენტი გაიზარდა 47 დან 78 დე; კერძო კაპიტალის მონაწილეობა ბრუნვაში შემცირდა 26 დან 17 პროცენტამდე.

მეფის დროის ათ მანეთიანი არ მიიღება.

მოსკოვი. 6 მაისი. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა აკრძალა მეფის დროს მოჭრილი ოქროს ათ მანეთიანის მიღება ხმარებაში.

უცხოეთის ცხოვრება

საფრანგეთის ჯარი

ვერსალის ხელშეკრულების მე-5 ნაწილი გერმანიის განიარაღების შესახებ ამბობს: „რათა შესაძლებელი გახდეს ყველა ერების შეიარაღების შემცირების გატარება ცხოვრებაში, გერმანია ვალდებულია და სხვა...“ როგორი მდგომარეობაა თვით საფრანგეთში ამ მხრივ? დეპუტატთა პალატის მომხსენებელმა, პოლკოვნიკმა ფაბრიმ, ტრიბუნაზე თავისი მოხსენება დაიწყო თითქმის პაციფისტური ხასიათის განცხადებით; ის იმასაც კი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის ჯარისკაცს მობეზრდა ომი. ხოლო რას ამბობენ ფაქტები?

საფრანგეთის ეხლანდელი არმია დაუყოვნებლივ შეიძლება მომზადებული იქნეს ომისათვის; (ცალკე) სამხედრო ნაწილებს შეუძლიათ გამოვიდნენ თავის ყაზარმებიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში. საჭირო იქნება მხოლოდ სათადარიგო ნაწილების მობილიზაცია.

ამ ომისათვის მუდამ მზათ მყოფ საველე არმიის (დამცველი არმია) ზურგს უკან ეწყობა უკვე ნამდვილი არმია. ასეთი ორგანიზაციის მიზანი ნათელია, როგორც დღის სინათლე: პირველმა შეტევამ მტრის წინააღმდეგ ისე უნდა დააფრთხოს ის, რომ მისი დამარცხების და განადგურების შესაძლებლობა მაქსიმალური იყოს.

1923 წ შემოდგომაზე საფრ. არმიის მთელი შემადგენლობა კოლონიალური არმიების ჩათვლით უდრიდა 785 924 კაცს ამ თვან 35 815 ოფიცერია და 750,079 უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები. 750 079 ჯარისკაციდან—533 820 თეთრებია და 216 751 ფერად კანიანი ჯარისკაცები. ოფიცერთა შემადგენლობის შორის ფერად კანიანები ცოტაა (კაპიტნის ხარისხამდე).

216 767 ჯარისკაცი შემადგენლობის მიხედვით განიყოფებიან: 121.767 ჩრდილოეთ-აფრიკიდან, 89 124 სხვა კოლონიების მცხოვრებლები (ინდოჩინეთი, მადაგასკარი, დასავლეთი და ცენტრალური აფრიკა) და 5 860 სირიელები.

750.079 ჯარისკაცები დანაწილებული არიან შემდეგნაირათ: 354 045—საფრანგეთში; 103 000—რეინლანდში, 55 000—რურის ოლქში; 5 796—საარის ოლქში; 67 980—ალჟირში და ტუნისში; 85,692—მაროკოში, 26,500—ლევანტში და 52,059—კოლონიებში.

1924 წლისათვის არმიის შემადგენლობა, ასეთი უნდა იყოს: 33,000 ოფიცრები, 70,000 უნტერ-ოფიცრები და 625,000 ჯარისკაცები—სულ 735,000 მეომარი.

ყველაზე დიდ როლს ეხლანდელ ომში თამაშობს საჰაერო ფლოტი. სამხედრო მფრინავი აპარატები ეხლა მეტისმეტად გაამჯობესეს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მომავალ ომში საჰაერო იარაღი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ომის დაწყებისთანავე.

ინგლისს ეხლა (მარტო ევროპაში) აქვს 300 მეტი სამხედრო აპარატი, და თითქმის ამდენივე სათადარიგო აპარატები. 1925 წ. აპრილისათვის ეს რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს 500. ინგლისის საჰაერო ძალები კოლონიებში ანგარიშში მისაღები არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის და და საფრანგეთის საჰაერო ფლოტის დამოკიდებულება უდრის 1:7. ამასთანავე ინგლისის აპარატები უპირველეს ყოვლისა არიან გამანადგურებელი აპარატები ე. ი. თავდაცვის იარაღი. საფრანგეთის აპარატები კი ყუმბარების მსროლელები, ე. ი. თავდასხმის იარაღი, საფრანგეთის რვაას აპარატს ოცდაოთხი საათის განმავლობაში ლონდონში შეუძლიათ ჩამოყარონ 170 ტონი ყუმბარები; საფრანგეთის აპარატებს საკმაო თავისუფლათ შეუძლიათ ყუმბარები დაუშინონ ყოველ დღე ლონდონს, ამასთანავე მათ შეუძლიათ ჩამოყარონ დღეში 75 ტონი ყუმბარები.

აი როგორ სცდილობს საფრანგეთი თავისი წვლილი შეიტანოს „ყველა ერების შეიარაღების შემცირების საქმეში“.

„ბერლინერ ტაგებლატ“.

პროფინტერნში

აღმასრულებელ ბიუროს მიმართვა პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის მომხრეებისადმი არგენტინაში

არგენტინის პროფესიონალური კავშირების გაერთიანების კონგრესის მოწვევის წინ პროფინტერნის აღმასკომმა მიმართა თავის მომხრეებს—სინდიკალისტ-რევოლუციონერებს, ანარქო-სინდიკალისტებს და კომუნისტებს—არგენტინაში მოწოდებით, რომელშიაც მოაგონებს მათ თავიანთ მოვალეობას მუშათა მოძრაობის წინაშე.

„პირველ მოვალეობას ჩვენი მომხრეებისა არგენტინაში, ნათქვამია ამ მოწოდებაში, წარმოადგენს ენერგიული ბრძოლის წარმოება მუშათა კლასის დაქსაქსვის წინააღმდეგ და ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციების გაერთიანებისათვის... მოქმედების მთლიანობა აუცილებელია ყოველდღიურ ბრძოლაში სამუშაო ხელფასის მომატებისა და 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებისათვის; მთლიანი მოქმედება აუცილებელია ბრძოლაში კავშირების უფლებების და მუშათა კონტროლის დასაცავად და სხვა.

მხოლოდ პროლეტარიატის გაერთიანებას კლასობრივი ბრძოლის ბაზისზე შეუძლია ისეთი ძალის შექმნა, რომელიც შესძლებს ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას ბურჟუაზიული რეაქციისათვის, დაამარცხებს კაპიტალიზმს და უზრუნველყოფს მუშათა კლასის გაბატონებას, რომელიც გზას იკაფავს პროლეტარიატის დიქტატურით კომუნიზმისაკენ.

სწორედ ამ ჭეშმარიტების შეგნებამ აიძულა კომუნისტები და რევოლუციონური სინდიკალისტები პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე მიეღწიათ შეთანხმებისათვის, რომელმაც მოსპო ყველა დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდენ ყველა ქვეყნების რევოლუციონურ ძალების გაერთიანებას.

პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის აღმასრულებელი ბიურო აუცილებლად სთვლის მოგაგონოთ, რომ პროფინტერნის მეორე კონგრესმა, მიიღო რა საფრანგეთის შრომის საყოველთაო უნიტარული კონფედერაციის წინადადება კომუნისტური ინტერნაციონალის და პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის ურთიერთობის შესახებ, მიმართა მხურვალე მოწოდებით ყველა სინდიკალისტურ და ანარქო-სინდიკალისტურ მუშათა ორგანიზაციებს, ურჩევდა რა მათ მიებაძათ შრომის საყოველთაო უნიტარული კონფედერაციის მაგალითისათვის და დაუყოვნებლივ შემოერთებოდენ მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობის ერთიან ცენტრს — პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალს.

პროლეტარული მთლიანობის საჭიროების აუცილებლობა არაერთხელ აიძულებდა წითელ პროფინტერნს გაემეორებინა ამსტერდამის ინტერნაციონალისათვის თავისი წინადადება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ამსტერდამის ინტერნაციონალმა ამ წინადადებას უპასუხა პროფინტერნის მომხრეების გამორიცხვით და ყველა ქვეყნის პროფესიონალური ორგანიზაციების გათიშვით.

...იმ მრავალ პრობლემებს შორის, რომლებიც უნდა გადასჭრან პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის მომხრეებმა არგენტინაში, უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მიწის მუშების გაერთიანების პრობლემაც: მიწის მუშებს ესაჭიროებათ მათი ძმების—საწარმოვო მუშების დახმარება. პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის მომხრეებმა აგრეთვე მიზნად უნდა დაისახონ, საფაბრიკო საქარხნო საბჭოების შექმნა, ბრძოლა მუშათა კონტროლისათვის, ბრძოლა როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ დაქუცმაცების წინააღმდეგ; განსაკუთრებით კი ბრძოლა საჭიროა იმ ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია სამხრეთ ამერიკის კონტინენტის მშრომელთა ინტერნაციონალის შექმნისაკენ, თითქოს მთელი ქვეყნიერების პროლეტარიატის ინტერესები განსხვავდებოდეს სამხრეთ-ამერიკის პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი სთხოვს ყველა თავის მომხრეებს ამერიკაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ემიგრაციის საკითხს და არგენტინაში მყოფ ათასობით ემიგრანტ-პროლეტარების პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანებას.

აგრეთვე არგენტინის სინდიკალისტ-რევოლუციონერმა მოღვაწეებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციონ ბრძოლას ნაციონალურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ გამდიდრების მიზნით უჭირავს თვალი შეიარაღებისაკენ; ბრძოლა უნდა სწარმოებდეს აგრეთვე პატრიოტული ლიგის და ფაშიზმის წინააღმდეგ, რომლებიც „ცეცხლითა და მახვილით“ სდევნიან მშრომელებს.

დიდი სიხარულით გავიგეთ ჩვენ, რომ არგენტინის კომუნისტური პარტიის მიმართვის შემდეგ სინდიკალისტ-რევოლუციონერები და ანარქო-სინდიკალისტები, ზრუნავენ რა პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად, თანახმა გახდენ გააერთიანებიათ თავიანთი ძალები მუშათა პროფესიონალურ კავშირებში, არგენტინის პროფესიონალურ კავშირების გაერთიანების მომავალ კონგრესთან დაკავშირებით.

ამ კონგრესზე თქვენ უნდა დასცეთ რეფორმიზმი, მიემხროთ პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალს და მოუწოდოთ არგენტინის პროლეტარიატს გაჰყვეს ჩვენს წითელ დროშას, რომელიც არის ერთობის და კლასობრივი ბრძოლის დროშა.

ამხანაგებო! პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის მესამე კონგრესი შესდგება მოსკოვში ა. წ 25 ივნისს; ჩვენ დარწმუნებული ვართ იქ ვნახავთ თქვენ წარმომადგენლებს, არგენტინის პროფესიონალური კავშირების გაერთიანების წარმომადგენლებს, არგენტინის პროლეტარიატის წარმომადგენლებს.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოთან

შემდგარი არის კომისია ამხ. ლოლობერიძის, ლეონტის, კვანტალიანის და კოსტანიანის შემადგენლობით, რომელსაც [illegible] სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციებისა [illegible] პირებისათვის თეთრ-გვარდიელებისა და საზღვარგარეთულ ჯარების მიერ მიყენებულ ზარალის შესახებ.

ყველა მოქალაქემ, რომელსაც კი აქვს ცნობები ინტერვენციის გამო მიყენებული ზარალის შესახებ, და აგრეთვე პრეტენზიები უცხო სახელმწიფოებისადმი უნდა წარუდგინონ ასეთები კომისიას დახასიათებისა და ზარალის ღირებულების ჩვენებით შემდეგი მისამართით: ს | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში კომისიის მდივანს ამხ შანიძეს. (ლორის მელიქოვის ქ. № 7).

კომისიის თავმჯდომარის მაგ. ლ. ლოლობერიძე.

კომისიის წევრები: ლეონტი, კოსტანიანი და კვანტალიანი.

მდივანი შანიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს 9 მაისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი: **თბილისის პარტიული კონფერენციის შედეგები**

მასალებათ გამოყენებულ იქნეს კონფერენციის ანგარიში, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტში“

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუხენი**.

პარტიული ცხოვრება

მილოცვები ცენტრალ. კომიტეტს

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის მეხუთე საოლქო პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის საქ. კომ. პარტ ცეკას, რომელიც მტკიცედ და შეუპოვრლად იცავს და ატარებს ლენინიზმს მთელ საქართველოში.

მეხუთე პარტკონფ. პრეზიდიუმი.

—

ცაგერი. ს. კ. პ. ლეჩხუმის ორგანიზაციის მეოთხე ლეგალური კონფერენცია გიძღვნით კომუნისტურ სალამს. კონფერენცია ერთსულოვნათ გამოსთქვამს სრულ ნდობას ცეკას, მტკიცეთ გაატაროს კომუნისტური პარტიის ხაზი.

პრეზიდიუმი

—

ქუთაისი. ქუთაისის სამაზრო მეექვსე პარტკონფერენცია გესალმებათ თქვენ, საქართველოს კომუნისტური პარტიის მეთაურთ და ხელმძღვანელთ. კონფერენცია აცხადებს, რომ ქუთაისის ორგანიზაცია თქვენი ხელმძღვანელობით განაგრძობს ენერგიულ მუშაობას ჩვენი პარტიის გაძლიერებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისთვის.

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოს-ცეკას.

კონფერ. პრეზიდიუმი.

—

ჭიათურა. შორაპნის მაზრის მეოთხე პარტიული კონფერენცია გესალმებათ და ფიცსა სდებს, რომ წითელ დროშის ქვეშ ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოლებს საერთო მტრის—კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

კონფ. პრეზიდიუმი.

საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება

(ამხ. სიხარულიძის საქმის გამო)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ა. წ 28 თებერვალს შემოვიდა ამხ. ბიქტ. ბიჭიასძე სიხარულიძის,—საქართველოს კომპარტიის წევრის (1912 წლიდან), მუშის, საქართველოს მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის განსაკუთრებული რწმუნებულის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტიულ ამხანაგების ჯგუფი სწამებს მას პროვოკატორობას, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ 1919 წ. ამხ. სიხარულიძეზე მიტანილი იქნა იჭვი, თითქოს მისი წყალობით აღმოაჩინეს ამხ. თუმანოვის, ჯავაირის, ხუტულაშვილის და სხ. ბინა.

საქმის გარემოებიდან გამოირკვა, რომ ამის გამო ამხ. სიხარულიძე 1919 წელს დაპატიმრებულ იქნა ამხანაგების ერთი ჯგუფის მიერ და მას მიესაჯა სიკვდილით დასჯაც კი, მაგრამ ამხ. ფილიპე მახარაძის, თენგიზ ჟღენტის და სხვ მოთხოვნით ის იქნა განთავისუფლებული. რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. სიხარულიძე დაპატიმრებულ იქნა კიდევ მენშევიკურ განსაკუთრებულ რაზმის მიერ. ეს დაპატიმრება ახსნილ იქნა ზოგიერთი ამხანაგების მიერ ისე, თითქოს ამხ. სიხარულიძემ შეგნებულად მოაწყო ეს იმ მიზნით, რათა გაექარწყლებია რაიმე იჭვი პროვოკატორობაში. მენშევიკურ ციხეში დაპატიმრებულ ამხანაგ კომუნისტების მიერ არჩეულმა კომისიამ ხელახლა განიხილა ეს საქმე და ვერ ნახა რა საკმაო მხილება და პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ამხ. სიხარულიძის ბრალდებისათვის პროვოკატორობაში, საქმე შესწყვიტა.

საქართველოს გასაბჭოების მომენტიდან ამხ. სიხარულიძის საქმე არავის არ აღუძრავს ჩვენი ორგანიზაციის საკონტროლო ორგანოებში. მხოლოდ მიმდინარე წლის თებერვალში, შინაპარტიულ ბრძოლის ნიადაგზე ეს საქმე ხელახლა იქნა აღძრული ამხანაგების ერთი ჯგუფის მიერ. 20 თებერვალს იაჩეიკების ბიუროების წევრთა და 8 რაიონის დელეგატების კრებაზე ამხ. სიხარულიძეს უყენებს ბრალდებას ამხ. ელენე წულუკიძე, როცა სიხარულიძეს ასახელებენ რაიკომის წევრად. ეს გარემოება საბაბს აძლევს ამხ. სიხარულიძეს სთხოვოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას სასწრაფოდ განიხილოს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება და თუ დამტკიცდა მისი პროვოკატორული მუშაობა წარსულში, დაისაჯოს ის პარტიული სამსჯავროს მთელი სისასტიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს მისი რეაბილიტაცია პარტიის წინაშე და დამნაშავენი ყალბი ბრალდების წამოყენებისათვის პარტიულ პასუხისგებაში იქნან მიცემული.

განიხილა რა პარტიის წევრთა თანდასწრებით საგამომძიებლო მასალა ამ საქმის გამო,

დაჰკითხა რა მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც ახლოს იდგენ ჩვენთან და იცნობდენ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობას 1919 წ. კერძოთ,

მიიღო რა ცნობები ამხ. ფილიპე მახარაძისაგან, რომელსაც ვერასოდეს ვერ წარმოედგინა და ვერც დღეს წარმოუდგენია, რომ ამხ სიხარულიძე იყოს ჩვენი ორგანიზაციის გამცემი,

დაემყარა რა აგრეთვე ამხ. ნაზარეტიანის დეპეშას იმის შესახებ, რომ ამხ. თუმანოვის ბინის მიგნებაში მას არ შეუძლია მიიტანოს იჭვი ამხ. სიხარულიძეზე, მას შემდეგ, რაც გამოირკვა ბინის მიგნების ნამდვილი მიზეზი ე. ი. თვალყურის დევნება ამხ. მანია კასპაროვაზე,

რომ ამხ. სანდრო თუმანოვას წერილმა, ამხ. ნაზარეტიანის აზრით, გაფანტა ყოველგვარი იჭვი ბიქტორ სიხარულიძეზე,

რომ ამხ. ნაზარეტიანი გამოსთქვამს გაკვირვებას იმის გამო, რომ ეს ყველასათვის აბსოლიუტურად ცხადი საკითხი ხელახლა წამოიჭრა ჩვენ ორგანიზაციაში,

ცენტრალური საკონტროლო კომისია ფიქრობს:

1) იმის გამო, რომ სამხედრო ორგანიზაციის ჩაშლაში დამნაშავე, პროვოკატორი სხირტლაძე გამოტყდა თავის დანაშაულში—ყველაზე მთავარი ბრალდება—სამხედრო ორგანიზაციის ჩაშლა, უნდა მოიხსნას ამხ. სიხარულიძისაგან.

2) ამხ თუმანოვის ბინის მიგნება უნდა მიეწეროს განსაკუთრებულ რაზმის აგენტების მიერ განსაკუთრებულ თვალყურის დევნას,—ამხ. მანია კასპაროვას და სრულიადაც არა ამხ. სიხარულიძეს

3) ამხ. ხუტულაშვილის, ძნელაძის და სხვ ბინის მიგნება არ შეიძლება მიეწეროს ამხ სიხარულიძეს, რომელმაც იცოდა უფრო პასუხისმგებელ ამხანაგების ბინები, ცოდნა სადაც იმართებოდა ორგანიზაციის არალეგალური კრებები და თუ კი მოისურვებდა შეეძლო გაეცა მთელი ორგანიზაცია.

ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისია, დარწმუნდა იმაში, რომ ამხ. ელენე წულუკიძის მიერ წაყენებული ბრალდება ამხ. სიხარულიძის წინააღმდეგ და ზოგიერთ ამხანაგების გამოსვლა, აშკარა განზრახვით გაეშავებიათ ის პარტიის თვალში, მოხდა ამხ. სიხარულიძის წერილის შემდეგ, რომელიც ამჟღავნებდა ზოგიერთ ამხანაგების ჯგუფურ-ფრაქციულ ბრძოლას პარტიის შიგნით. ამ მიზეზების გამო, როგორც ეს გამოირკვა საქმის საჯაროთ გარჩევის დროს, ამხანაგების ერთმა ჯგუფმა მოინდომა გამოეყენებია ეს მომენტი, როგორც შინაპარტიულ ბრძოლის საშუალება. პარტიის სხვადასხვა წევრთა ამგვარი მოქმედება, როგორც დაუსაბუთებელ ბრალდებების წაყენება სიხარულიძის წინააღმდეგ ესოდენ სერიოზულ და დიდ ბოროტმოქმედებაში, როგორც არის პროვოკატორობა, უნდა ჩაითვალოს სავსებით დაუშვებლად ჩვენს პარტიაში; მით უმეტეს, რომ ამხ. სიხარულიძე, როგორც არალეგალურად პირობებში, ისე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეწეოდა აქტიურ პარტიულ მუშაობას და დანიშნული იყო საპასუხისმგებლო საბჭოთა თანამდებობაზე ბათომში, შორაპანში და სხვა ადგილებში. ამ თანამდებობაზე კი მას ნიშნავდენ უმაღლესი პარტიული საბჭოთა ორგანოები და

ბილებს. უფრო ხშირად მისი ლი აღემატება 400—500 სტრი- თუ გინდ ავიღოთ ის „წერი- რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით მახარაძე ამ წერილში სწერს: „მე მინდა ჩვენი პრესის დღე- ელ მდგომარეობას შევეხო, და რაც შეიძლება მოკლედ“... (ვენია). ო ეს წერილი შეიცავს 450 ამდე თუ ამას ქვია „რაც მოკლედ“, მაშინ რა ზომის ეს გრძელი წერილი! მით იმას კი არ ვეუბნებით რაძეს, რომ რაკი ის „სცო- გრძლად წერაში, ამიტომ თი- ულება არ ჰქონდეს გამოთქვას სხვებმა მაინც სწერონ მოკ- ულებითაც არა. ჩვენ მხო- ამბობთ, რომ საჭიროა რაიმე ების წამოყენების დროს მეტი ილე და საბუთი.

მახარაძე არ ცხრება. ის ბრალ- ბრალდებაზე გვაყრის: ტეს ნაწილად ყოველივე ეს ილები) ერთი და იმავეს გან- რება,—როგორც იტყვიან „тех щей, да пожиже лей“. რა უნდა, მწერლობაც ერთნაირი მოხელეობაა, ერთნაირი ცდა- იტოტობა, რომელსაც სიჭა- ნ უნიჭოც ხშირად მოსდევს... ვაჩნევთ, რომ წერილები რო ნაძალადევად იწერება; ბაც არის, რომ ისინი უმე- ნაწილად უსიცოცხლოა და ებული, მოკლებული სიმკვირცხლეს მახვილობას. და გასაკვირი იქნებოდა, რომ ასე არ ლიყო, რადგანაც ჩვენ გვეკუთვნის) შეუძლებელი ყოველთვის კარგი წერილის“.

ელი რიგი ბრალდებებია წა- ული. „ათასჯერ ერთი და განმეორება“. ამაზე უნდა რომ რაიმე აზრის, ფაქტის ება ხანდახან, დროის და მიხედვით ღირსაც რომ, რომ მაზე შეჩერდეს მკითხ- ყურადღება. მაგრამ „ათასჯერ ება“, ეს უფრო ამხ. მახარა- ნტაზიაა, ვინემ სინამდვილე. ეხება „მოხელეობას“, „უნი- ამაზე შეჩერება არ ღირს. რამოთქმული ვინმესთვის შეუ- რაცხმულის მისაყენებლად. ჩვენ ეს ამ ჟამად არ გვაინტერესებს.

არც „უფერულ და უსიცოცხლო“ წერილების შესახებ დაუწყობთ კამათს ამხ. მახარაძეს. ეს მისი პირადი გემოვნების და შეფასების უნარის საქმეა.

ჩვენ არ შეგვიძლია ხაზი არ გაუსვათ იმ ადგილს, სადაც ამხ. მახარაძე ლაპარაკობს წერილების წერაზე დაკვეთით. ეს ბუნდოვანი ფრაზაა, რომელსაც განმარტება ესაჭიროება. საინტერესოა ვიცოდეთ დაკვეთით ვინ სწერს და ვისი დაკვეთით.

ჩვენი გაზეთი ორგანოა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რომლის საერთო დირექტივების მიხედვით ის მოქმედობს. თუ ამას გვიწუნებს ამხ. მახარაძე, მაშინ ცხადია, რომ წარმოდგენაც არ ჰქონია პარტიულ საბჭოთა პრესის დანიშნულება-მოვალეობაზე და მის დამოკიდებულებაზე პარტიასთან. ჩვენ გვგონია, რომ ეს და ზოგიერთი სხვა შენიშვნებიც ამხ. მახარაძის გამოძახილია ახლო წარსულის შინ-პარტიული ჯგუფობრივი ბრძოლისა. მაგრამ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მით უმეტეს დღეს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი „ბრალდება“:

„ერთი დიდი ნაკლი თანდასდევს კიდევ ჩვენ დღევანდელ ქართულ გაზეთებს მე ვამბობ ჩვენ ისტორიულ ნათესაობაზე ანუ მემკვიდრეობაზე.

ისე გრძნობთ თავს, რომ თითქო ეს იდეიური მემკვიდრეობა, წარსული ისტორია არ არსებობდეს, თითქო დღევანდელი ჩვენი პრესა, დღევანდელი ჩვენი გაზეთი ზეციდან ჩამოვარდნილიყოს, და წინედ აქ არ ყოფილიყოს არც მუშათა პრესა, არც მუშათა მოძრაობა, არც რევოლიუცია. ესე იგი ვერ გრძნობთ მკვიდრ ნიადაგს ჩვენ ისტორიულ წარსულში, ვერ ხედავ ძაფს, რომელიც წარსულს და აწმყოს აკავშირებდეს, და ეს გარემოება მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს“.

რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ გრძელი „სიტყვიერებით“—ძნელი გასაგებია. ჩვენ აქ არ შევეხებით წარსულსა და აწმყოს დამოკიდებულებას საერთოდ, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევეკითხოთ ამხ. მახარაძეს, თუ რაში გამოიხატა ჩვენი პრესის მხრით კავშირის გაწყვეტა წარსულთან, ან როგორ წარმოუდგენია მას კონკრეტულად კერძოდ პრესის დარგში „ისტორიული ძაფის“ გაბმა ამ წარსულთან. ისე კი რომანტიულად და ბუნდოვანად წარსულზე ლაპარაკი არაფრის თქმას უდრის.

ამხ. მახარაძე ცალკე ეხება ქაღალდის და შრიფტის საკითხს:

„ჩემის აზრით ქაღალდი საჭიროებს გაუმჯობესებას, ის მეტის მეტად ხმელი და უხეშია და ამიტომ ასოები ხშირად ვერ მოჩანან კარგად. შემდეგ ჩვენი გაზეთების ასოები ანუ შრიფტი უვარგისია, ისინი როდის გამოკვეთილი. მე არ ვიცი, ეს რისი ბრალია, სიძვირის და გაცვეთის, თუ თავის თავად არ ვარგანან“.

ამხ. მახარაძემ არ იცის ალბათ როგორ პირობებში უხდება ამ მხრივ მუშაობა რედაქციას, რამდენ ბრძოლას აწარმოებს ის კარგი შრიფტის შესაძენად. მაგრამ ჯერჯერობით დადებითი შედეგები არ არის მიღწეული. საჭიროა ამ საკითხის მოგვარება და ქართულ გაზეთის ჩაყენება რიგიან, თანამედროვე ტექნიკურ პირობებში.

ამხ. მახარაძის მიერ „აღმოჩენილ“ ყველა ამ „ცოდვებით“ და ნაკლულოვანებებით დატვირთულ გაზეთს აბა ვინ აიღებს ხელში! იქ მოთავსებულ წერილებს „ათასში ხუთი ან ათი მკითხველი“ თუ წაიკითხავს. არამც თუ მუშასა და გლეხისათვის, არამედ, თვით ამხ. მახარაძისათვის, როგორც ის სწერს, ძნელია თურმე მისი წაკითხვა და ხელში დაჭერა.

ამგვარად, ამხ. მახარაძე გულს უცრუებს მშრომელ მასას პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოზე და შთააგონებს მათ, რომ ამ გაზეთის წაკითხვა ეს ერთი დაუსრულებელი ტანჯვაა, „დასჯაა“ მკითხველების. ამხ. მახარაძე აგიტაციას ეწევა ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ.

რაც შეეხება პირადად ამხ. მახარაძეს ჩვენ გვინდა დავუჯეროთ, რომ მას ეძნელება „კომუნისტის“ „ხელში აღება და წაკითხვა“. ეს მისი საკუთარი საქმეა.

მაგრამ როცა მას ეს თავისი სისუსტე და უპასუხისმგებლობა გაზეთისადმი უნდა მოახვიოს მშრომელ ხალხს და საქმე ისე წარმოგვიდგინოს, რომ მუშა და გლეხი ისეთივე აზრისაა, როგორც ამხ. მახარაძე,—აქ არ შეგვიძლია ამგვარი ცილისწამების წინააღმდეგ ხმა არ ავიმაღლოთ. თუ როგორ აფასებს ჩვენი მუშა და გლეხი „კომუნისტს“ ეს, სხვათა შორის, ჩანს მისი ტირაჟიდან. და ამაოდ ცდილობს ამხანაგი მახარაძე მრავალრიცხოვან მკითხველ მასსას ზურგი შეაქცევინოს ჩვენი გაზეთისთვის.

ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს ამხ. მახარაძის წერილის შესახებ. ჩვენ არ შევჩერებულვართ ყველა მის მიერ აღძრულ საკითხებზე, ისევე როგორც ამხ. მახარაძემ, მისივე თქმით, ვერ ჩამოთვალა ყველა ნაკლი ჩვენი გაზეთის („რა თქმა უნდა, ყველა ნაკლის ჩამოთვლას მე აქ ვერ შევძლებ“)

ამხ. მახარაძეს თვის წერილით „ამერიკა არ აღმოუჩენია“. თუმცა როგორც თვითონ ამბობს, მას ძალიან ეჯავრება განმეორება, მაგრამ ის მაინც იმეორებს წინედ ათასჯერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელთაგან ზოგიერთი სრულიად მიუღებელია, ზოგი შენიშვნა კიდეც ძალზე გადაჭარბებული და უმართებულო.

დასასრულ ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენს გაზეთს ნაკლულევანებანი აქვს. მაგრამ მათი აცილება და გაზეთის საქმის სასურველად დაყენება შეიძლება არა ისეთი წერილით, რომელიც მოგვიძღვნა ამხ. მახარაძემ პრესის დღეს, არამედ საქმიანი დახმარების გაწევით, ამხანაგური თანამშრომლობით.

რედაქცია.

პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთა ნდობით ამხ. სიხარულიძე სარგებლობდა მანამ, სანამ არ ჩამოვარდა უთანხმოება ოპოზიციაში მყოფ ამხანაგების ერთ ჯგუფთან და სხვ.—ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისია ადგენს: ამხ. სიხარულიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება პროვოკატორობაში ჩაითვალოს დაუმტკიცებლად, ამხ. სიხარულიძის კეთილი სახელი აღდგენილად და საქმე მოისპოს.

ამხ. ე. წულუკიძეს, რომელმაც იაჩეიკების ბიუროების და 3 რაიონის დელეგატების კრებაზე წარმოადგინა დაუსაბუთებელი ბრალდება სიხარულიძის წინააღმდეგ, გამოეცხადოს სასტიკი გაკიცხვა.

გამოეცხადოს გაკიცხვა ამხ. ჯაფარიძეს, ხუტულაშვილს, ალექსანდრე ჩერქეზიშვილს, ს. თუმანოვს იმის გამო, რომ მათ მოჰყავდათ აშკარად არასწორი და შეუმოწმებელი ცნობები, რომლებსაც შეეძლო სახელი გაეტეხა ამხ. სიხარულიძისათვის პარტიის თვალში. გაფრთხილებულ იქნან დანარჩენი ამხანაგები, რომ ამ ბრალდებათა განმეორება ან განახლება ამის შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ამოსწურა ეს საკითხი—ჩაითვლება ცილისწამებათ და დამნაშავეთ მიესაჯებათ უფრო სასტიკი პარტიული სასჯელი.

დადგენილება ესე გამოქვეყნდეს პრესაში.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარე შამშე ლეჟავა.

ოზურგეთის მაზრის პარტიული მეექვსე კონფერენცია

29 აპრილს შესდგა ს. კ. პ. გურიის ორგანიზაციის მე 6 ლეგალური სამაზრო პარტკონფერენცია, რომელზედაც დაესწრო 76 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და ცეკას წარმომადგენელი ამხ. ფ. მახარაძე. კონფერენციას ხსნის სრულ 4 საათზედ გურიის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილი, რომელიც პირველად მიესალმება კონფერენციას და ახასიათებს იმ პირობებს, რომელშიაც იკრიბება ლეგალური კონფერენცია, უსურვებს მას საქმიან და ნაყოფიერ მუშაობას, რის შემდეგ მისივე წინადადებით კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა რევოლიუციის უდიდეს ბელადს ამხ. ლენინის ხსოვნას (მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო მარშს). კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) გურკომის მუშაობის ანგარიში.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება
4) კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მუშაობა და მომავალი ამოცანები.
5) საბჭოთა აღმშენებლობა
6) ლენინიზმის პროპაგანდა.
7) სამაზრო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და საქ. მესამე ყრილობაზედ გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ ერთ ხმათ აირჩია საპატიო თავმჯდომარეებად შემდეგი ამხანაგები: ამხ. ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ოკუჯავა, და ორახელაშვილი, რის შემდეგ პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: გრიგოლ მგალობლიშვილი, ა. დოლიძე, თ. დოლიძე, სეფე ცინცაძე, ალექსი იობიძე, ვალოდია თავართქილაძე, ბესარიონ რუსიძე, კარლო ორაგველიძე, მართა ცინცაძე.

კონფერენციის სამდივნოში: ვასილ რონიაშვილი, კოლია ბარამიძე, შალვა გოგიშვილი. სამანდატო კომისიაში: მ. კილაძე, გრიშა ელენტი, გიორგი მახარაძე.

პირველად საერთაშორისო და საკავშირო რესპუბლიკების შინაურ მდგომარეობაზედ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც ვრცლად ახასიათებს ბურჟუაზიული სახელმწიფოების მდგომარეობას და განსაკუთრებით მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკას. შემდეგ მომხსენებელი ეხება რუმინეთის და საფრანგეთის ინტრიგებს ბესარაბიის და ჩინეთის საკითხებთან დაკავშირებით, და ვრცლად ჩერდება საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზედ. მოხსენების დასასრულს ამხ მახარაძე ამბობს—მიუხედავათ კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ჩვენი ცნობისა საბოლოო საკითხს გადასწყვეტს მხოლოდ მუშათა კლასის მიერ ძალა უფლების ხელში აღება (მქუხარე ტაში).

მოხსენების შემდეგ კონფერენციის მიერ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

მოხსენებას კომიტეტის მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. გრ. მგალობლიშვილი. ამხ მგალობლიშვილის მოხსენების შემდეგ გამოდის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ გიორგი მახარაძე მოხსენებით, რომელიც კონფერენციას აცნობს ყოველგვარ ანგარიშებს, როგორც ფინანსიურს აგრეთვე სხვა დარგებისას და კომიტეტის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლათ.

კომკავშირის და ახალი ამოცანების და მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ორაგველიძე, რომელიც ახასიათებს გურიის კომკავშირის მუშაობას მთელ მაზრაში და ადგენს მომავალ მუშაობის გეგმას.

მოხსენების შემდეგ მომხსენებლებს მიეცა შეკითხვები, რაზედაც ამხ. მგალობლიშვილმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, რის შემდეგაც სიტყვას ამბობს ამხ. ფ მახარაძე, რომელმაც აღნიშნა ამ ერთი წლის განმავლობაში პარტიაში სადავო მთავარი საკითხები, რაიც თვით ცხოვრებამ და უმაღლესმა პარტორგანიზაციებმა გადასჭრა და რის შემდეგაც პარტიის შიგნით ბრძოლა ყოვლად დაუშვებელია. კომპარტია,—ამბობს ფ. მახარაძე, რომლის დარღვევის ფიქრზედ იმედს ამყარებდენ ჩვენი მტრები, დისკუსიისა და აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ ისევ მტკიცე და ურყევი გამოდის. ამხ. ფ. მახარაძის გამოსვლას კონფერენცია არაჩვეულებრივი აღტაცებით შეხვდა და ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა მას.

შემდეგ ამხ. თ. დოლიძე ესალმება კონფერენციის მთლიანობას და აღნიშნავს, რომ თუმცა გურიის ამხანაგების შორის ჰქონდა ადგილი აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ ადგილი არ ჰქონია დაწვრილმანებს და პირად კინკლაობას, რაიც უნდა მიეწეროს გურიის კომიტეტის საქმიანობას. შემდეგ კონფერენციას გამოაქვს კომიტეტის მუშაობის შესახებ რეზოლიუცია, რომლითაც კომიტეტის მოღვაწეობას სცნობს სავსებით დამაკმაყოფილებლად.

ლენინიზმის პროპაგანდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კარლო ორაგველიძე, რომელიც ვრცლად ეხება ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელობას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარტიის ბელადის სიკვდილის შემდეგ ჩვენს რიგებს მოაწყდა ორასი ათასი მუშა, რომლებიც უნდა აღიზარდონ და გაიჟღენთონ ლენინიზმით. კონფერენცია ერთხმად აღიარებს რომ ეს საკითხი ჩაითვალოს ერთ უპირველეს საკითხათ მომავალი მუშაობისათვის და დაეთმოს მას ჯეროვანი ყურადღება.

სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. დოლიძე, რომელიც ვრცლად ეხება მაზრის მდგომარეობას ყოველ მხრით და აღნიშნავს, იმ გიგანტიურ სააღმშენებლო მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს სამაზრო აღმასკომი და ადგენს მთლიან გეგმას მომავალი მუშაობისას. კონფერენცია სავსებით დამაკმაყოფილებლათ სცნობს, რა სამაზრო აღმასკომის მოქმედებას და უსურვებს მას ის მცირე დაბრკოლებებიც გადალახოს, რომლებიც გამოწვეულია ზოგიერთ დიდი რაიონების შექმნით.

დასასრულ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რის შემდეგაც კონფერენცია გადადის სამაზრო კომიტეტის საქართველოს მესამე ყრილობაზედ გასაგზავნ დელეგატების არჩევნებზედ.

სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნენ: მგალობლიშვილი გრიგოლი, დოლიძე თედორე, გურგენიძე კოწია, დოლიძე ანდრო, თავართქილაძე ვალოდი, კილაძე მამია, რონიაშვილი ვასილი, ქილიფთარი მაკარი, ბარამიძე კოლია, პეიშვილი ნეოფიტე, ჩიჩუა თეოფილე, ტაკიძე მელიტონ, მკურნალი მიხაკო, კალანდაძე ვარდენ და მახარაძე გიორგი.

კანდიდატებად: ელენტი გრიშა, დოლიძე სოლომონ, გოგიშვილი შალვა, სურგულაძე ივლიანე და ნინიძე კოწია.

სრულიად საქართველოს მესამე ყრილობაზედ დელეგატებათ არჩეულ იქნენ:

მახარაძე ფილიპე, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, ცინცაძე კოტე, ორაგველიძე კარლო, თოდრია სილიბისტრო, მგალობლიშვილი გრიგოლ, დოლიძე ანდრო, დოლიძე თედორე, თავართქილაძე ვალოდია, ჩიჩუა თეოფილე, კილაძე მამია, გურგენიძე კოწია და კაკულიძე სევერიანე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ელენტი პროკოპი, უჯმაჯურიძე კირილე, ერქომაიშვილი ვარლამ.

კონფერენცია მეორე დღეს 1-ლ საათზედ ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ იხურება.

მ. კილაძე.

აჭარა.

პარტ-მუშაობის მოკლე მიმოხილვა იანვარ თებერვლის განმავლობაში

საქართვ. კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია აერთიანებს 45 კომუჯრედს, რომელთა შორის 14 არის სამხედრო ორგანიზაციების. წევრთა საერთო რიცხვი უდრის 729 ს. ორგანიზაციის შემადგენლობა ასეთია: მუშები—242, გლეხები—181, მოსამსახურეები—114, ხელოსნები—2 და სამხედრო პირები—190 ეროვნების მიხედვით: (გარდა სამხედრო პირებისა) ქართველი 276, რუსი—163, სომეხი—36, მუსულმანი—16, დანარჩენები—79. კომუნისტები-ქალები არიან 20.

სამხედრო და კომკავშირის უჯრედები მიმაგრებული არიან სამოქალაქო უჯრედებზე და თვიში ერთხელ ხდება მათი გაერთიანებული კრებები. საანგარიშო პერიოდში სწარმოებდა უჯრედთა წევრების მომზადება და აგრეთვე დაიწყო საწარმოო უჯრედების შექმნება, რამაც ორგანიზაციების ერთიანობა ბევრად გამოაცოცხლა.

კომუჯრედთა კრებები იყო 398, რომლებსაც დაესწრო 6,240 პარტიული და 7,820 უპარტიო. საერთო საქალაქო კრება მოხდა ორჯერ 920 პარტიულის და 240 უპარტიოს დასწრებით.

ოლქკომის წევრები იყვნენ მივლინებული ადგილებზე დასათვალიერებლად, სადაც აღმოაჩინეს და გამოასწორეს სხვადასხვა დეფექტები, მაგ. სასოფლო სამეურნეო გადასახადის უწესრიგო აკრეფა, რამაც გამოიწვია სათანადო ზომების მიღება ხელისუფლების ხაზით და ხულოს აღმასკომის თავმჯდომარის სამსახურიდან გადაყენება, რამაც გლეხობა სრულიად დააკმაყოფილა.

ოლქკომის პრეზიდიუმის და პლენუმის სხდომები იყო 7, რომლებზედაც გაირჩა 204 საკითხი.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას პირველ ამოცანათ ჰქონდა დასახული ბრძოლა ძველ დახავსებულ ზნეჩვეულებებთან და რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან.

ამ მიზნით გამოშვებულ იქნა საგანგებო ფურცელი და გაკეთდა შესაფერი მოხსენებები ყველა პარტიულ და მუშათა კრებებზე, თეატრებში და კავშირებში.

გარდა ამისა ჩატარებულ იქნა კამპანიები წითელი ლაშქრის დაარსების და საქართველოს გასაბჭოების დღეების აღსანიშნავად წინასწარი მოხსენებების გაკეთებით.

უჯრედებში ჩატარებულ იქნა კიდევ შემდეგი მოხსენებები: მე-13 პარტკონფერენციის შედეგები, რევოლიუციის მებრძ. დახმარ. საერთ. ორგანიზაცია და მისი ამოცანები, 1905 წლის 9 იანვრის დღე, როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის აღნიშვნა და მე-3 კომინტერნის არსებობის 5 წლის თავი

საბჭოთა პარტ სკოლაში მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს, მსმენელთა რიცხვი არის 94. არსებობს კიდევ 8 პოლიტ-ცოდნის სკოლა, სადაც მეცადინეობა სწარმოებს რ. კ. პ. ამ. კავკ. საოლქო კომიტეტის პროგრამის თანახმად.

ანბანური უცოდინარობა პარტწევრებს შორის მოსპობილია მცხოვრებთათვის კი ქალაქში მოქმედებს 7 სკოლა, ოლქშიც 45 სკოლა-პუნქტი, რომლებშიც მსმენელთა რიცხვი უდრის 1355 ს.

ბეჭდვითი ორგანო ბათომში გამოდის სამი: ქართული, რუსულ და ბერძნულ ენებზე.

ქალთა განყოფილებასთან არსებობს კოლეგია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ კომკავშირის, პროფსაბჭოს მთავარ პოლიტ-განის და სხ. წარმომადგენლები. სისტემატიურ მუშაობის ქალთა განყოფილება აწარმოებდა განსაკუთრებით ბათომში; ოლქში კი იგზავნებოდა ინსტრუქტორები მხოლოდ კამპანიების ჩატარების დროს. დაჭერილია კავშირი სახ. სასამართლოსთან დამცველთა კოლეგიაში მონაწილეობით.

ქალთა განყოფილება მასსებს უკავშირდება ქალ-ორგანიზატორების საშუალებით, რომელთა რიცხვი არის 17, მათ შორის 2 ბერძენი და 1 ებრაელი.

დელეგატ-ქალები არიან 150. მათში: რუსი 57, ქართველი 22, მუსულმანი 11, ბერძენი 10, სომეხი 6 და 4 ებრაელი. განყოფილების მთავარი მიღწევა იყო მუსულმან ქალების კლუბის გახსნა. საბჭოში წევრებით გაყვანილია 16 ქ. პარტ სკოლაში მეცადინეობს 11 ქ აგრეთვე არიან მუშკორი ქალები 5. განყოფილებამ დაამყარა სასურველი კავშირი ტრანსპორტზე მომუშავე ქალებთან მუშა ქალების მიერ შემოსულია მრავალი განცხადება პარტიაში შემოსვლის შესახებ.

კომკავშირის უჯრედები არის 54, რომელთაგან 25 ქალაქშია და 29 ოლქის სხვა ადგილებში. წევრთა საერთო რიცხვი უდრის 1029; ამათგან: მუშები—452, გლეხები—386, მოსამსახურეები 130 და მოწაფეები—61.

ყოველგვარი კამპანიების ჩატარებაში კომკავშირის წევრები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. მათი მთავარი ყურადღება მიპყრობილია საკლუბო, სასკოლო და „სპარტაკ"-ში მუშაობის გაძლიერებაზე. კომკავშირი დაჟინებით მუშაობას აწარმოებდა 1902 წ. დაბადებულთა მობილიზაციის წინასწარი მომზადებისათვის.

სამხედრო კომუჯრედები, რომლებიც მიმაგრებული არიან სამოქალაქო უჯრედებზე, ისე უყურებენ ამ უკანასკნელთ, როგორც თავიანთ კულტ-შეფებს და შესაძლებლობის ფარგლებში ღებულობენ მათგან დახმარებას გაზეთებით, წიგნებით და სხ.

გაერთიანებულ კრებებზე კეთდება განსაკუთრებული მოხსენებები წითელ ლაშქრელთათვის წარმოებების ცხოვრების გასაცნობათ.

საერთოდ კომუჯრედები აწარმოებენ ენერგიულ მუშაობას და პარტკომის ყველა დადგენილებებს ატარებენ ცხოვრებაში.

გ. ქ—ძე.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა და მუშკორთა კრე

(პრესის დღის გამო)

ორშაბათს, 5 მაისს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბში პრესის დღის აღსანიშნავად შესდგა პრესის მუშაკთა და მუშკორების საერთო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) ამხ. მიასნიკოვის მოხსენება პრესის შესახებ, და 2) მოგონებები.

საბჭოთა პრესის იდეური და ნივთიერი მდგომარეობა

(მომხსენებელი ამხ. მიასნიკოვი)

ამხ. მიასნიკოვი იძლევა რა საერთო დახასიათებას საბჭოთა პრესისას, აღნიშნავს, 1922 წელს მოხდარ ცვლილებას ჩვენი პრესის ცხოვრებაში. 1922 წლამდე ყოველდღიურ გამოცემათა რიცხვმა იკლო, მაგრამ სამაგიეროდ აიწია გაზეთების ღირსებამ, პრესა უფრო მეტად დაუახლოვდა მასას და საგაზეთო მუშაობაში ჩაება უშუალოდ მუშურ-გლეხური ელემენტი. მუშკორების საგაზეთო მუშაობამ გამოაცოცხლა გაზეთი, მისცა მას მუშური ხასიათი და გახადა გაზეთი ფართე მასებისათვის უფრო მიმზიდველი. პირველ ხანებში მუშკორთა შემადგენლობა იყო ჭრელი, რის გამოც საჭირო იყო მათ შორის იმ ელემენტის შერჩევა, რომელიც უფრო ახლო იდგა მუშათა კლასთან და გამოხატავდა მის აზრებს და მისწრაფებებს. ამ მიზნით მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მუშკორების წმენდა. მუშკორებს ბევრი რამ სასარგებლო და ახალი შემოაქვთ ჩვენს გაზეთში, ასე, რომ ამ მხრივ გაზეთის ძველ მუშაკთ ბევრი რამ შეუძლიათ მათ შესძინონ, მაგრამ მომავალშიაც უნდა გაგრძელდეს მუშკორთა წმენდა იმ მოსაზრებით, რომ არ მოხდეს სწორად აღებულ სამოქმედო ხაზიდან გადახვევა; გადახვევას და უმნიშვნელო ფაქტების გაზვიადებას კი ხშირათ აქვს ადგილი ჩვენს პრესაში.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა გაზეთების რამოდენიმე ტიპი (საერთო ხასიათის ხელმძღვანელი ორგანო, წმინდა მუშური გაზეთი, გლეხური გაზეთი და სხვ.) რომელიც მიზანშესაფერისად უნდა ჩაითვალოს. მომავალში უნდა ვეცადოთ, რომ ყოველმა გაზეთმა შეინარჩუნოს თავისი სპეციალური ხასიათი და თავისი წრის [illegible] შეფერილობის იმ წრეს, რომლისთვისაც, იგი იცემა. ამ მხრივ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთის სტილს, კილოს და ენას, რომელიც უნდა გახდეს ფართე მასებისათვის მისაწვდომი..

ჩვენი გაზეთი ვერ იქნება თავის მოქმედების დროს დამოუკიდებელი რადგან იგი საბჭ. ცხოვრების ერთი მხარეთაგანია და როგორც ასეთმა თავისი მოქმედება მჭიდროთ უნდა დაუკავშიროს საბჭოთა ცხოვრებას და გაატაროს ის ხაზი, რომელსაც ადგას მართველი პარტია. ამ მიზნით არსებობს კიდეც პარტიულ ყრილობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელ გაზეთის რედაქტორი ამავე დროს უნდა იყოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რომელიც უშუალოდ ეცნობა პარტიის მუშაობას, გადააქვს იგი გაზეთში და პარტიის მიერ აღებული ხაზის მიხედვით ხელმძღვანელობას უწევს საგაზეთო მუშაობას.

ეხება რა საბჭოთა პრესის გაუმჯობესების საკითხს, ამხ. მიასნიკოვი მოითხოვს მისი შინაარსის ამაღლებას. კერძოთ მას საჭიროთ მიაჩნია ჩვენი მუშური გაზეთები მკითხველ მასას აძლევდენ ენციკლოპედიურ ცნობებს. მისი აზრით გაზეთი უნდა ათავსებდეს წერილებს მეცნიერების ყოველ დარგიდან, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მუშების მეცნიერულ მომზადების ამაღლებას და საბოლოოდ აღმოფხვრის მასებში ცრუმორწმუნეობას განსაკუთრებით დღეს, როდესაც სწარმოებს მუშების პარტიაში ჩარიცხვა (ლენინის ნაბორი), ჩვენ გვმართებს გაზეთების საშუალებით მივსცეთ პარტიაში ახლად მიღებულ მუშებს მეცნიერული თვითგანვითარება. ამავე დროს აუცილებლად საჭიროა თვითეულმა გაზეთმა იცოდეს, თუ როგორ უნდა მიუდგეს და გააშუქოს ესა თუ ის საკითხი საჭიროა ყოველ გაზეთს ჰყავდეს თანამშრომელთა განსაზღვრული შტატი, რომელიც გაზეთში იმუშავებს წინასწარ გათვალისწინებული გეგმის მიხედვით.

შემდეგ ამხ მიასნიკოვი ეხება ჩვენი გაზეთის სამეურნეო მხარეს.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი გაზეთების საერთო ტირაჟმა საგრძნობლად იმატა. მაგ. გაზეთი „კომუნისტი"-ს ტირაჟი დღის 10,000 (ვალის ლწდ, ამჟამინდელი „ზარია კას" და „რაბოჩაია პრავდ ე. საერთოდ ა | კ გაზეთ ერთო ტირაჟი 180 ათასამ რაც მოწმობს იმას, რომ თების გავრცელება მიუხედავათ თის გამოცემა ჩვენში მეურნეობა.

ჩვენი გაზეთების შემოს ჰფარავს გასავალს და რობის და პარტიის დო პიროებს ჩვენ უნდა ვე სებით გაზეთის დეფ ერთ ერთი საშუალება ვალიანების აღსაკვეთად ცხადებები და რეკლამები. ზეთის დანაშაულობად არ თუ იგი შესძლებს რეკ განცხადებების მიხედვით, საშუალებით დაგვფარავს ვისი ხარჯების დასაფ მხრივ ჩვენ გაზეთებმა თვისი ამერიკანიზმის მხარეები და გაამრავლონ ბათ და რეკლამათა რი ფურცლებზე.

ეხება რა გაზეთის გა დასხვა მხარეს, მომხს ნიშნავს, რომ გაზეთის 60 პროცენტს ნთქავს პ ული წარმოება, რაც და დაუშვებელია. ჩვენ დოთ, რომ გაზეთი გახ კადრებით სამეურნეო ო რომელმაც უნდა შეს სწორობის დამყარება ვალ-შემოსავალს შორის.

მოხსენების დასასრულ ნიკოვს აძლევენ შეკითხვ ზედაც დამაკმაყოფილებ ლევს.

ამხ. ფეინირის თხოვნ ამხ. მიასნიკოვი დეპარ რომ ახლო მომავალში ხავს უფრო ვრცელ მოხ დვითი სიტყვის მუშაკ გაზეთის სამეურნეო ზეთის ტექნიკის შესახებ.

მოხსენების მიხედვით იქნა სათანადო რეზოლ

მოგონებები.

სალამოს მეორე ნაწილ მოგონებებს—საგაზეთო წარსულიდან თავის მოგ უზიარებს კრებას ამხ. ნ ამხ. ფეინირმა, მუშკორმა კოვმა და ამხ. ნიკო კ ხებებს და მათ გარშემო საუბარს მეტად ანტიმ ჰქონდა.

კრება დამის 10 ს რულდა.

ხარაგოულის რაიპარტ-კონფერენცია

23 აპრილს დაბა ხარაგოულში შესდგა ხარაგოულის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო შორაპნის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ თათეიშვილი და სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. კლ. სულავა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1) ს. ს. რ. კ საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა.
2) რაიკომის ანგარიში.
3) ლენინიზმის პროპაგანდა
4) რაიკომისა და დელეგატების არჩევნები სამაზრო კონფერენციაზე.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თათეიშვილმა, რომელიც ვრცლად შეეხო საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და აღნიშნა მტკიცე ფულის ნიშნის შექმნის მნიშვნელობა განსაკუთრებით მშრომელი გლეხობისათვის. მოხსენების შესახებ კონფერენციამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს რაიპარტკომის პ. გ. მდივანი ამხ. ნ შარიქაძე.

კონფერენცია რაიკომის მუშაობას სცნობს სრულიად დამაკმაყოფილებლად და სთხოვს სამაზრო პარტკომს, რათა გაუწიოს მატერიალური დახმარება რაიკომს სოფლის კლუბებისა და სამკითხველოების [illegible]ბათ.

ლენინიზმის პროპაგანდ ვრცელი მოხსენებით გა პარტკომის პ | გ. მდივა სულავა, რომელმაც ნ სიათა ამხ. ლენინის მუშათა კლასის სა კონფერენცია გლოვობს დაკარგვას და სდებს წუთსაც არ ცდეს იმ გზას გაგვიკაფა დიადმა მასწ

შემდეგ ამისა მოხდა რ სამაზრო კონფერენციაზე ბის არჩევნები.

ფიდ.

ლენინიზმის საფუძვლების შესახებ *)

(ამხ. სტალინის ლექციები სვერდლოვის უნივერსიტეტში)

II

მეთოდი

ზევით მე აღვნიშნავდი, რომ მარქსისა და ენგელსისა, ერთის მხრივ, და ლენინის შორის მეორეს მხრივ, იყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის ბატონობის მთელი ხანა. სისწორის გულისათვის მე უნდა დავუმატო, რომ აქ ლაპარაკია ოპორტუნიზმის არა ფორმალურ ბატონობაზე, არამედ მხოლოდ მის ფაქტიურ ბატონობაზე. ფორმალურად მეორე ინტერნაციონალს სათავეში უდგენ „მართლმორწმუნე" მარქსისტები, „ორთოდოქსები" კაუტსკი და სხვები. მაგრამ, სინამდვილეში მეორე ინტერნაციონალის მუშაობა მიდიოდა ოპორტუნიზმის ხაზით. ოპორტუნისტები თავისი შემრიგებლური, წვრილბურჟუაზიული ბუნების წყალობით ეგუებოდენ ბურჟუაზიას, „ორთოდოქსები" კი ოპორტუნისტებთან „მთლიანობის დაცვის" და „პარტიაში მშვიდობიანობის" დამყარების მიზნით ეგუებოდენ ოპორტუნისტებს. ამის შედეგი კი იყო ოპორტუნიზმის ბატონობა, რადგან ჯაჭვი ბურჟუაზიის პოლიტიკასა და „ორთოდოქსების" პოლიტიკას შორის გადაბმული იყო.

ეს იყო კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანად განვითარების პერიოდი, ასე ვსთქვათ ომის წინა ხანების პერიოდი, როდესაც იმპერიალიზმის კატასტროფული წინააღმდეგობანი არ იყვნენ კიდევ სავსებით გამოაშკარავებული, როდესაც მუშების ეკონომიური გაფიცვები და პროფკავშირები ასე თუ ისე „ნორმალურათ" ვითარდებოდენ, როდესაც საარჩევნო ბრძოლა და საპარლამენტო ფრაქციები „თავბრუდამხვევ" შედეგებს იძლეოდენ, როდესაც ბრძოლის ლეგალურ ფორმებს აღმერთებდენ და ლეგალური მუშაობით ფიქრობდენ კაპიტალიზმის „მოკვლას",—ერთი სიტყვით, როდესაც მეორე ინტერნაციონალის პარტიები სუქდებოდენ და სერიოზულათ აღარ ფიქრობდენ რევოლიუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე და მასების რევოლიუციონურ აღზრდაზე.

მთლიანი რევოლიუციონური თეორიის მაგიერად — წინააღმდეგობით აღსავსე თეორიული დებულებები და თეორიის ნაწყვეტები, რომელნიც დაშორებულნი იყვნენ მასების ცოცხალ რევოლიუციონურ ბრძოლისაგან და რომელნიც გადაიქცენ დახავსებულ დოგმებათ. სხვების დასანახავათ იგონებდენ, რასაკვირველია, მარქსის თეორიას, მაგრამ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ იქიდან ცოცხალი რევოლიუციონური სული.

რევოლიუციონური პოლიტიკის მაგიერათ—მჭლე ფილისტერობა და ყოყოჩური პოლიტიკანობა, საპარლამენტო დიპლომატია და პარლამენტარული კომბინაციები. თვალის ასახვევათ საჭირო იყო, რასაკვირველია, „რევოლიუციონური" გადაწყვეტილებების და ლოზუნგების მიღება, მაგრამ ეს ხდებოდა იმ მიზნით, რომ ისინი ამოდებული ყოფილიყვნენ მაუდის ქვეშ.

პარტიის აღზრდის, საკუთარი შეცდომების გათვალისწინებისა და პარტიისათვის სწორი რევოლიუციონური ტაქტიკის შემუშავების მაგიერათ—მომწიფებული საკითხებისათვის სისტემატიური გვერდის ავლა, მათი მიჩქმალვა და მეფუჩეჩება თვალის ასახვევათ, რასაკვირველია, საჭირო იყო მომწიფებულ საკითხებზე ლაპარაკი, მაგრამ იმ მიზნით, რომ საქმე გათავებულიყო რომელიმე „კაუჩუკური" რეზოლიუციით.

აი როგორი იყო მეორე ინტერნაციონალის სახე, მისი მუშაობის მეთოდი, მისი არსენალი.

ამ დროს კი ახლოვდებოდა იმპერიალისტური ომების და პროლეტარიატის რევოლიუციონური შეტაკებების პერიოდი. ბრძოლის ძველი მეთოდები აშკარად აღარ იყვნენ საკმარისი და ისინი უძლური აღმოჩნდენ ფინანსიური კაპიტალის ძალის წინაშე.

საჭირო იყო მეორე ინტერნაციონალის მთელი მუშაობის და ამ მუშაობის მეთოდების გადასინჯვა, აუცილებელი იყო იქიდან ფილისტერობის, პოლიტიკანობის, რენეგატობის, სოციალ-შოვინიზმის და სოციალ-პაციფიზმის განდევნა. საჭირო იყო მეორე ინტერნაციონალის მთელი არსენალის გასინჯვა, აუცილებელი იყო ყველა გაჟანგებული და დაძველებული იარაღის გამოტანა და ახალ იარაღზე გადასვლა. ასეთი წინასწარი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ წასვლა. უამისოთ პროლეტარიატი ვერ იქნებოდა საკმაოთ შეიარაღებული და ის შეიძლება პირდაპირ უიარაღოც კი დარჩენილიყო ახალ რევოლიუციონურ შეტაკებებში.

მეორე ინტერნაციონალის უწმინდურობის გენერალური გასინჯვა და გენერალური გაწმენდა წილათ ხვდა ლენინიზმს.

აი როგორ პირობებში დაიბადა და გამოიჭედა ლენინიზმის მეთოდი.

რაში გამოიხატება ამ მეთოდის მოთხოვნილებანი?

პირველი—მეორე ინტერნაციონალის თეორიული დოგმების გასინჯვა მასების რევოლიუციონურ ბრძოლის ცეცხლში, ცოცხალი პრაქტიკის ცეცხლში, ე. ი. თეორიისა და პრაქტიკის შორის დარღვეულ მთლიანობის აღდგენა, მათ შორის არსებულ განხეთქილების მოსპობა, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება რევოლიუციონურ თეორიით შეიარაღებულ ნამდვილ პროლეტარულ პარტიის შექმნა.

მეორე—მეორე ინტერნაციონალის პარტიების პოლიტიკის გასინჯვა არა მათი ლოზუნგებისა და რეზოლიუციების მიხედვით (მათ ლოზუნგებს და რეზოლიუციებს ჩვენ ვერ ვენდობით), არამედ მათი საქმეების, მათი მოქმედებების მიხედვით, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება პროლეტარული მასების დაპყრობა და მათი ნდობის დამსახურება.

მესამე—მთელი პარტიული მუშაობის რევოლიუციონურ გზაზე დაყენება; ამ მუშაობამ უნდა აღზარდოს მასები და მოამზადოს ისინი რევოლიუციონური ბრძოლისათვის, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება მასების მომზადება პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

მეოთხე—პროლეტარული პარტიების თვითკრიტიკა, საკუთარ შეცდომების გათვალისწინება და ამისდა მიხედვით მუშაობა, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება პარტიის ნამდვილი რიგების და ნამდვილი ბელადების აღზრდა.

ასეთია ლენინიზმის მეთოდის საფუძველი და შინაარსი.

როგორ იყო გამოყენებული ეს მეთოდი პრაქტიკული მუშაობის დროს?

მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს აქვთ მთელი რიგი თეორიული დოგმები, რომელთაც ისინი იყრდნობიან.

დოგმა პირველი: პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პირობების შესახებ. ოპორტუნისტები გვარწმუნებენ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია და მას არც უნდა აიღოს თავის ხელში ძალაუფლება, თუ ის თვითონ უმრავლესობას არ შეადგენს ქვეყანაში. დასამტკიცებელი საბუთები არ არის, რადგან არც თეორიულად და არც პრაქტიკულად ამ უაზრო დებულების გამართლება არ შეიძლება. დავუშვათ, უპასუხებს მათ ლენინი. მაგრამ, თუ შეიქმნა ისეთი ისტორიული პირობები (ომი, აგრარული კრიზისი და სხვა), როდესაც პროლეტარიატს, რომელიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს, საშუალება აქვს გააერთიანოს თავის გარშემო მშრომელი მასების დიდი უმრავლესობა—რატომ არ უნდა აიღოს მან თავის ხელში ძალაუფლება? რატომ არ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა ხელსაყრელი საერთაშორისო და შინაური პირობები იმისათვის, რომ გაარღვიოს კაპიტალის ფრონტი და დააჩქაროს საერთო ხლართის გახსნა? განა მარქსი წარსულ საუკუნის 50 წლებში არ ამბობდა, რომ პროლეტარული რევოლიუციის საქმე გერმანიაში „მშვენივრად" წავიდოდა, ჩვენ რომ შეგვეძლოს მისთვის დახმარების გაწევა „ასე ვსთქვათ, გლეხთა ომის მეორე გამოცემით"? განა ყველამ არ იცის, რომ პროლეტარების რიცხვი გერმანიაში იმ დროს უფრო ნაკლები იყო ვიდრე, მაგალითად, რუსეთში 1917 წელში? განა რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ მეორე ინტერნაციონალის გმირების ეს საყვარელი დოგმა მოკლებულია ყოველგვარ სასიცოცხლო მნიშვნელობას პროლეტარიატისათვის! განა ყველასათვის ნათელი არ არის, რომ მასების რევოლიუციონური ბრძოლის პრაქტიკა ამსხვრევს ამ დახავსებულ დოგმას?

დოგმა მეორე: პროლეტარიატს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუ მას არ ჰყავს მომზადებულ კულტურულ და ადმინისტრატიულ მუშაკების საკმაო რაოდენობა, იმ მუშაკების, რომელნიც შესძლებენ ქვეყნის მმართველობის მოწესრიგებას,—თავდაპირველათ საჭიროა ასეთი მუშაკების აღზრდა კაპიტალიზმის პირობებში, და შემდეგ მხოლოდ ძალაუფლების დაპყრობა. დავუშვათ, უპასუხებს ლენინი. მაგრამ რატომ არ შეიძლება საქმე შევაბრუნოთ ისე რომ ჯერ დავიპყროთ ძალაუფლება, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები პროლეტარიატის განვითარებისათვის, და შემდეგ წავიდეთ წინ შვიდ მილიანი ნაბიჯებით მშრომელთა მასის კულტურული დონის ასამაღლებლათ და მუშათა წრიდან გამოსულ ხელმძღვანელების და ადმინისტრატორების მრავალრიცხოვან რიგების შესაქმნელათ? განა რუსეთის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ მუშათა წრიდან გამოსული ხელმძღვანელების კადრები პროლეტარულ ხელისუფლების დროს ასჯერ უფრო ჩქარა და საფუძვლიანათ ვითარდებიან, ვიდრე კაპიტალის ძალაუფლების დროს? განა აშკარა არ არის, რომ მასების რევოლიუციონური ბრძოლის პრაქტიკა უმოწყალოთ ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ თეორიულ დოგმასაც?

დოგმა მესამე: საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდი მიუღებელია პროლეტარიატისათვის, რადგან ის თეორიულათ უსაფუძვლოა (იხ. ენგელსის კრიტიკა), პრაქტიკულათ საშიშია (შეუძლია დაარღვიოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა, შეუძლია დააცარიელოს პროფესიონალური კავშირების სალაროები), არ შეუძლია შესცვალოს ბრძოლის საპარლამენტო ფორმები, რომელიც პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის უმთავრესი ფორმაა. კარგი, უპასუხებენ ლენინელები. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ენგელსი აკრიტიკებდა არა ყოველგვარ საერთო გაფიცვას არამედ საერთო გაფიცვის ერთ განსაზღვრულ სახეს, სახელდობრ, ანარქისტების საერთო ეკონომიურ გაფიცვას, რომელსაც ანარქისტები აყენებდენ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის მაგიერათ, რა შუაშია აქ საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდი? მეორე: ვინ და როდის დაამტკიცა, რომ ბრძოლის პარლამენტარული ფორმა პროლეტარიატის ბრძოლის მთავარი ფორმაა? განა რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია არ გვიმტკიცებს, რომ პარლამენტარული ბრძოლა არის მხოლოდ სკოლა და დასაყრდენი პროლეტარიატის პარლამენტს გარეშე ბრძოლის მოწყობის საქმეში? განა იგივე ისტორია არ გვაჩვენებს, რომ მუშათა მოძრაობის ძირითადი საკითხები კაპიტალიზმის დროს წყდება ძალით, პროლეტარული მასების უშუალო ბრძოლით, მათი საერთო გაფიცვით, მათი აჯანყებებით? მესამე: საიდან გამოჩნდა საკითხი პარლამენტარული ბრძოლის საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდით შეცვლის შესახებ? სად და როდის ცდილობდენ საერთო პოლიტიკური გაფიცვის მომხრეები ბრძოლის პარლამენტარული ფორმები შეეცვალათ პარლამენტის გარეშე ბრძოლის ფორმებით? მეოთხე: განა რუსეთის რევოლიუციამ არ დაგვანახვა, რომ საერთო პოლიტიკური გაფიცვა არის პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი სკოლა და ამავე დროს პროლეტარიატის ფართო მასების მობილიზაციის და ორგანიზაციის შეუდარებელი საშუალება კაპიტალიზმის ციხე სიმაგრეების წინააღმდეგ შეტევაზე წასვლის წინ,—რა შუაშია აქ ფილისტერული მოთქმა სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობის დარღვევისა და პროფესიონალური კავშირების სალაროების შესახებ? განა ყველასათვის ნათელი არ არის, რომ რევოლიუციონური ბრძოლის პრაქტიკა ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ დოგმასაც?

და კიდევ სხვა და ასე ამგვარათ.

აი ამიტომ ამბობდა ლენინი, რომ „რევოლიუციონური თეორია არ არის დოგმა", რომ „ის ყალიბდება საბოლოოთ მხოლოდ ნამდვილ მასიურ და ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო დაკავშირებით" („ბავშვური ავადმყოფობა"), რადგან თეორია უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკას, რადგან „თეორიამ პასუხი უნდა გასცეს იმ კითხვებზე, რომელთაც პრაქტიკა აყენებს" („ხალხის მეგობრები"), რადგან ის შემოწმებული უნდა იქნეს პრაქტიკის მასალების მიხედვით.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალის პარტიების ლოზუნგებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს,—საკმარისია მოვიგონოთ ისტორია ლოზუნგის „ომი ომს", რომ გავიგოთ ამ პარტიების პოლიტიკური პრაქტიკის მთელი სიყალბე და სიდამპლე, ეს იმ პარტიების რომელნიც თავის ანტირევოლიუციონურ საქმეს ფარავენ ბრწყინვალე რევოლიუციონური ლოზუნგებით და რეზოლიუციებით. ყველას ახსოვს მეორე ინტერნაციონალის ბრწყინვალე დემონსტრაცია ბაზელის კონგრესზე, როდესაც ის აჯანყების ყველა საშინელებებით ემუქრებოდა იმპერიალისტებს იმ შემთხვევაში, თუ ესენი ომს დაიწყებდენ; მეორე ინტერნაციონალმა ამ კონგრესზე წამოაყენა ლოზუნგი: „ომი ომს".

მაგრამ ვის არ ახსოვს, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ, ომის დაწყების წინ, ბაზელის რეზოლიუცია გვერდზე იქნა გადადებული, მუშებს კი მასცეს ახალი ლოზუნგი—მოესპოთ ერთმანეთი კაპიტალისტური სამშობლოს გულისათვის? განა აშკარა არ არის, რომ რევოლიუციონური ლოზუნგები და რეზოლიუციები გროშათ არა ღირს, თუ მათ თან არ ახლავს საქმე? საკმარისია ლენინის პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევაში, შევუდაროთ მეორე ინტერნაციონალის გამყიდველ პოლიტიკას ომის დროს, რომ დავინახოთ ოპორტუნიზმის პოლიტიკანების მთელი სისაძაგლე და ამავე დროს ლენინიზმის მეთოდის მთელი სიძლიერე. არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო ერთი ადგილი ლენინის წიგნიდან „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუტსკი", სადაც ის სასტიკათ კიცხავს მეორე ინტერნაციონალის ბელადის კ. კაუტსკის ოპორტუნისტულ ცდას პარტიები შეაფასოს არა მათი საქმეების, არამედ მათი ქაღალდის ლოზუნგების და დოკუმენტების მიხედვით:

„კაუტსკი ატარებს ტიპიურ მეშჩანურ ფილისტერულ პოლიტიკას: ის ფიქრობს, თითქოს ლოზუნგის წამოყენება სცვლის საქმეს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი ისტორია ამსხვრევს ამ ილიუზიას: ხალხის მოტყუების მიზნით ბურჟუაზიული დემოკრატები ყოველთვის აყენებდენ და ყოველთვის აყენებენ ათასნაირ „ლოზუნგებს". საქმე იმაშია, რომ გასინჯო მათი გულწრფელობა, რომ სიტყვებს შეუფარდო საქმე, რომ არ დაკმაყოფილდე იდეალისტური ანდა შარლატანური ფრაზით, არამედ გამოძებნო კლასიური რეალობა"...

მე უკვე არ ვლაპარაკობ მეორე ინტერნაციონალის პარტიების შიშზე თვითკრიტიკის წინაშე, მათ მანერაზე დაფარონ თავისი შეცდომები, მიჩქმალონ მომწიფებული საკითხები. თავისი ნაკლულევანებანი დაფარონ კეთილდღეობის ყალბი ალლუმით, რომელიც სიცხოველეს უკარგავს ცოცხალ აზრს და ხელს უშლის პარტიის რევოლიუციონურ აღზრდას საკუთარ შეცდომებზე,—იმ მანერაზე, რომელიც გაანადგურა და სამარცხვინო ბოძზე მიაკრა ლენინმა. აი რას სწერდა ლენინი პროლეტარული პარტიების თვითკრიტიკის შესახებ თავის ბროშურაში „ბავშვური ავადმყოფობა":

„პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწორი საზომია პარტიის სერიოზულობის და მის მიერ საქმით შესრულების თავისი ვალდებულებებისა მისი კლასისა და მშრომელი მასებ შეცდომის აშკარათ აღია მიზეზების გამორკვევა, ი ბის დაწვრილებით განხ მლებმაც ის დაბადა, შე მოსწორების საშუალებე ბით განხილვა—აი ეს არ ზული პარტიის თვისება, მის მიერ თავისი ვალდე შესრულება, აი ეს არის შემდეგ მასების აღზრდა თარება",

ზოგიერთები ლაპარა საკუთარი შეცდომების გ და თვითკრიტიკა საში ისათვის, რადგან ისინი გამოყენებული იქნენ მ პროლეტარიატის პარტ მდეგ. ლენინი ასეთ ა არასერიოზულად და სი ლებულათ. აი რას ამბობ შესახებ ჯერ კიდევ 1904 ვის ბროშურაში „ნაბიჯ როდესაც ჩვენი პარტია სუსტი და მცირერიცხოვ

„ისინი, ე. ი. მარქსის ნააღმდეგენი, ხარობენ ბიან, როდესაც ჩვენს და ბენ; ისინი, რასაკვირველი ბიან თავისი მიზნებისა ლიჯონ ცალკე ადგილები ბროშურიდან, სადაც ლა ნი პარტიის დეფექტები ლულევანებების შესახებ. მარქსისტებისათვის არ შინით ტყვიები შეტ ტომ ისინი არ შეუშ ჩხვლეტას და განაგრძობ წინააღმდეგოთ, თვითკრ შაობას და საკუთარი ნ მომეჯავენებას, იმ ნაკლ ლებიც უეჭველათ და ა გადალახული იქნება მ რაობის ზრდით"...

ასეთია, საერთოდ, ლე თოდის დამახასიათებელი

ის, რაც მოცემულია ლ თოდში, უკვე იყო მარქს რებაში, მარქსი მას სთვ სებითად კრიტიკულ და ციონურ" მოძღვრებათ. ს კრიტიკული და რევოლ სულით არის გამსჭვალუ ბოლომდე ლენინის მეთოდ სწორი არ იქნებოდა, თუ რით, რომ ლენინის მ უბრალო აღდგენა იმის, ცა მარქსმა. ნამდვილათ თოდი არის მარქსის კრ რევოლიუციონური მე მატერიალისტური დიალ მარტო აღდგენა, არამედ რეტიზაცია და კიდევ ვითარება.

(გაგრძელება იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 101.

„კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოდ

1 მაისიდან

ხელისმოწერა მიიღება დაკლებულ ფასებში

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით—65 კაპ. 2 თვით—1 მან 10 კაპ. 3 თვით 1 მან 80 კაპ. 6 თვით 3 მან 60 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით . .		85 კაპ.
2 „ . .	1 მან.	60 „
3 „ . .	2 „	40 „
6 „ . .	4 „	80 „
წლის ბოლომდი	6 „	30 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით . .		95
2 „ . .	1 „	80 კაპ.
3 „ . .	2 „	70 „
6 „ . .	5 „	40 „
წლის ბოლომდი	7 „	20 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას, „ჩირაღდანს“

გარდა ამისა

3 თვის ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ

1. ნ. ლენინი — უკანასკნელი წერილები.
2. პროგრამა და წესდება — რუსეთის კომუნისტური პარტიისა

6 თვის ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ

1. ნ. ლენინი გლეხობის შესახებ.
2. გ. ზინოვიევი ლენინი
3. კონსტიტუცია სოც. საბ. რესპუბლიკების კავშირისა.

1 მაისიდან გაზეთი ღირს 4 კაპ.

კოოპერაცია

წარმოკავშირის მუშაობა

ამხანაგობა „ჭაჭა“-ს მუშაობა.

ა/წ. 12 იანვარს ს. მ. ფ. საბჭოს და „წარმოკავშირის“ წარმომადგენლებისაგან შესდგა ამხანაგობა „ჭაჭა“, რომელსაც იჯარით აქვს ერთერთი საუკეთესო სარექტიფიკაციო ქარხანა № 1 (ყოფ. სარაჯიშვილისა) ჭაჭის არაყიდან მაღალხარისხოვან პროდუქტის,—[illegible] სპირტის, დასამუშავებლათ. ხსენებულ ორ დაწესებულებათა შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმათ „წარმოკავშირი“ აწვდის ქარხანას ნედლ მასალას-ჭაჭის არაყს. ქარხნის წმინდა შემოსავლის ორი მესამედი ხვდება „წარმოკავშირს“ და ერთი მესამედი—ს. მ. ფ. საბჭოს. ქარხანა მუშაობს ა. წ. 5 მარტიდან. ამ ხნის განმავლობაში ქარხანამ მიიღო დასამუშავებლათ 360201 გრადუსი ჭაჭის არაყი. ამ რაოდენობიდან ქარხანამ დაამუშავა პირველი ხარისხის (სპირტი—322425,4 გრ. და სხვა ხარისხების—22287 2 გრადუსი ქარხანა ყოველდღიურათ აწარმოებს 22 000 გრ. ჭაჭის არაყს. ამხანაგობას ნავარაუდევი აქვს დაამუშაოს ცალკე 1 850,000 გრადუსი 95—96 გრადუსიანი სპირტი, რაც შეადგენს 18 000 ვედრას.

წელს ქარხნის მუშაობის დაწყება დაგვიანდა: ამხანაგობა დაარსდა ღვინის სეზონის დამლევს, რის გამოც ქარხანა არ იყო უზრუნველყოფილი ნედლი მასალის საკმაო მარაგით. ნორმალური საოპერაციო წლის განმავლობაში ქარხანას შეუძლია დაამუშაოს 5-6 მილიონი გრადუსი. მომავალ წლისთვის „წარმოკავშირი“-ს დამზადებული ექნება ჭაჭის არაყის საკმაო მარაგი.

გარდა ამისა მომავალ წლისათვის „წარმოკავშირი“-ს განზრახული აქვს გამოიყენოს არაყის გამოხდისაგან დარჩენილი ჭაჭა, თხლე, რომლიდანაც შეიძლება დამუშავებულ იქნეს საღებავ მრეწველობისათვის სასარგებლო პროდუქტი,—ღვინის სიმჟავე. ომის დროს რუსეთის ბაზარზე თითო ფუთი ღვინის სიმჟავე 25 ოქროს მანეთად ფასობდა.

თამბაქოს მრეწველობა.

„წარმოკავშირი“-ს მზრუნველობის ერთერთ დარგს წარმოადგენს კახეთის თამბაქოს კულტურა. ამ კულტურის არსებობას შედარებით მოკლე ისტორია აქვს. კახეთის თამბაქოს პირველი პარტია გაგზავნილი იყო საზღვარგარეთ მხოლოთ 1916 წელს, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ კახეთის თამბაქო, ღირსებით სოხუმის თამბაქოზე არა ნაკლები, ჯერ საზღვარგარეთის ბაზარზე ცნობილი არ არის. კახეთის თამბაქოს პირველმა საზღვარგარეთ გატანილმა პარტიამ შესამჩნევი ადგილი დაიჭირა თამბაქოს მსოფლიო ბაზარზე.

კარგი მოვლის და ტეხნიკურ ხელმძღვანელობის პირობებში კახეთის თამბაქოდან შეიძლება დამზადდეს ექსპორტისათვის საუკეთესო სტანდარტო სორტები. „წარმოკავშირი“-ს ამ ჟამათ გაგზავნილი ჰყავს სიღნაღის მაზრაში სპეციალისტი მეთამბაქოე, რომელიც აცნობებს მას, რომ მორიგ სეზონში სიღნაღის მაზრაში შეიძლება შეგროვებულ იქნეს 28.000 ფუთამდე თამბაქო. ამ რაოდენობიდან ნაწილი ეკუთვნის „წარმოკავშირი“-ს შემადგენელ კოოპერატივებს „შველა“-ს, „სიმართლე“-ს და „კახეთის თამბაქო“-ს. აღნიშნულ კოოპერატივთა კუთვნილ პლანტაციების სიდიდე შეადგენს 1000 დესიატინას. ამ დღეებში „წარმოკავშირი“ სძრავს [illegible] ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობას, რათა ამ კოოპერატივების მეთამბაქოე წევრთა საჭიროებისათვის „წარმოკავშირი“-ს მიეცეს სესხათ 18 თვის ვადით 300 000 მანეთი.

გერმანულ გუთნების შეძენა.

ა. წ. 22 აპრილს „წარმოკავშირმა“ ხელშეკრულება დასდო ზილგეპორსტ შრედერის საკომანდიტო ამხანაგობასთან (გერმანული ფირმა), რომლის ძალით „წარმოკავშირი“ აძლევს უკანასკნელს ექსპორტისათვის გამზადებულ ლაგოდეხის თამბაქოს, რის ნაცვლათ ხსენებულ ფირმისაგან მიიღებს „საკ“-ის ტიპის გერმანულ გუთნებს. გუთნები ჩაბარდება „წარმოკავშირი“-ს სადგ. წნორის წყალზე. გაცვლის პროპორცია შემდეგია: თითო გუთანზე ორი ფუთი გადარჩეული, დაწყობილი და შეკრული თამბაქო.

მატყლის დამზადება.

„წარმოკავშირი“ შეუთანხმდა მეცხვარეთა ამხანაგობა „[illegible]“-ს უკანასკნელის მიერ 10,000 ფუთი მატყლის დამზადების შესახებ. დასამზადებელ მატყლის ანგარიშზე „წარმოკავშირი“ აძლევს „[illegible]“-ს ავანსათ მატყლის ღირებულების 50 პროცენტს. 15 დღის შემდეგ „წარმოკავშირი“ გადაიხდის 15 პროცენტს, ხოლო დანარჩენს—მატყლის ჩაბარების შემდეგ. მატყლის რეალიზაცია მოხდება ორივე კავშირის ურთიერთ შეთანხმებით.

მეხილეობის დარგი.

წარსულ წელს „წარმოკავშირმა“ გაასაღა მოსკოვის ბაზარზე 8000 ფუთი საუკეთესო საზამთრო ხილი (ევროპიულ ჯიშების). მეკავშირე ორგანიზაციებმა „ქართლი“-მა და „[illegible]“-მა გარდა ამისა დაამზადეს თავის წევრთა შორის 60 000 ფუთამდე ნახევრათ ევროპიული და ადგილობრივი ჯიშის ხილი, რომელიც გასაღდება თბილისის და ბაქოს ბაზრებზე. საექსპორტო ხილის დამზადება-გამზადება სწარმოებს სპეციალისტების ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს „წარმოკავშირი“-ს გადადებული აქვს ხილის ოპერაციებისთვის 150 000 მან. ნავარაუდევია დამზადდეს 25 000 ფუთი საადრეო და შემოდგომის ხილი, 25 000 ფუთი ზამთრის ვაშლი და 1000000 ცალი მანდარინი. დამზადების და გადაზიდვის მთელი ხარჯი ნავარაუდევია 800,000 მანეთამდე.

„წარმოკავშირის“ ფინანსიური მდგომარეობა.

„წარმოკავშირის“ იურიდიულ არსებობას საფუძველი ჩაუყარა საქ. სახ. კომ. საბჭოს 1924 წ 15 იანვრის დეკრეტმა, რომლითაც ნებადართული იყო სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის დამოუკიდებელი არსებობა. აღნიშნულ დეკრეტის გამოცემამდე „წარმოკავშირი“-ს ფინანსიურ რესურსების ერთ ერთ წყაროს წარმოადგენდა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კავშირის და სხვა ორგანიზაციების აგენსობა, რომელთა საშუალებით „წარმოკავშირი“ აწარმოებდა თავის პირველ ოპერაციებს. ძველი ვალების გასტუმრების შემდეგ „წარმოკავშირი“-მა მოიპოვა ადგილობრივ ბანკის კრედიტი. ამ ჟამათ „წარმოკავშირი“-ს მიზანია საკუთარ კაპიტალის შექმნა. ამ მიზნით „წარმოკავშირი“-ს საბჭომ დაადგინა: დაევალოს მოკავშირე ორგანიზაციებს შეიტანონ საპაიო კაპიტალის ფონდში თავისი საწლიო გადასახადის საერთო ჯამის 20 პროც. და „წარმოკავშირ“-თან მათი საერთო ბრუნვის ნახ. პროც.

„წარმოკავშირი“-ს საბალანსო შედეგები 1923 წელს შემდეგია: 1 იანვრისათვის—5418 ჩერვონეცი, 1 ივლისისათვის—16456 ჩერვ., 1 სექტემბრისათვის—26974 ჩერვ., 1 დეკემბრისათვის—270584 ჩერვონეცი.

პროფკავშირებში

საქართველოს პროფსაბჭოში

საქ. პროფკავშირთა მე 4 ყრილობა

საქ. პროფსაბჭომ გამოიტანა დადგენილება მოიწვიოს პროფკავშირთა სრ. საქართველოს მეოთხე ყრილობა ა/წ. ივნისის შუა რიცხვებში.

მუშათა საბინაო კოოპერატივების მოქმედება.

(ამხ. ნოვრუზოვის მოხსენება).

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ ნოვრუზოვის მოხსენება მუშათა საბინაო კოოპერატივის მოქმედების შესახებ.

კოოპერატივი უმთავრესად ეწეოდა ისეთ მუშაობას, რომელიც შეეხებოდა მუშათა ჩასახლების და კერძო პირთა გამოსახლების საკითხებს, რის გამოც კოოპერატივი ვერ ასრულებდა თავის პირდაპირ დანიშნულებას.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ საბინაო კოოპერატივის სრულ გადახვევას თავის ძირითადი ფუნქციებისაგან

მდგმურნი — პროფკავ. წევრები სრულიად არ იყვნენ ჩაბმულნი კოოპერატიულ მუშაობაში, ხოლო საბინაო კოოპერატივი გამოდიოდა მუშათა სახლობის მესაკუთრის როლში.

გარდა ამისა, ამხანაგებს მოჰყავთ მაგალითები, რომელნიც ამტკიცებენ საქმის გაჭიანურების და კოოპერატივის აპარატის ბიუროკრატიზმს.

მოკამათე ამხანაგები მოითხოვდენ კოოპერატივის ძირითად გადახალისებას ახალ საფუძვლებზე იმ თვალსაზრისით, რომ მუშათა სახლების მდგმურებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბინაო კოოპერატივის მუშაობაში პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამდივნოს გადაათვალიეროს საბინაო კოოპერატივის შემადგენლობა და დაუყოვნებლივ გადაჭრას კოოპერატივის რეორგანიზაციის საკითხი საბინაო კომიტეტების მოწყობის საშუალებით.

პროფსაბჭოს საგამომცემლო მუშაობა

(ამხ ქელიძის მოხსენება)

პრეზიდიუმის ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ქელიძის მოხსენება პროფ. საბჭოს საგამომცემლო მუშაობის შესახებ.

უპირველესად ყოვლისა მომხსენებელი აღნიშნავს პროფესიონალურ ლიტერატურის სრულს უქონლობას მენშევიკების დროს—ქართულ ენაზე.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან პროფსაბჭომ უკვე გამოსცა ქართულ ენაზე 16 საკმაოდ მოზრდილი გამოცემა სომხეთის პროფსაბჭოსთან გაბმულია კავშირი სომხურ ენაზე პროფესიონალური ლიტერატურის მისაღებად

მომავლისათვის პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ფიქრობს უფრო გააფართოვოს საგამომცემლო საქმე და გააუმჯობესოს ლიტერატურის გავრცელების და გაწესრიგების საქმე, რომელიც დაეკისრება პროფსაბჭოს მიერ ახლად გახსნილ ცენტრალურ წიგნის მაღაზიას

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საგამომცემლო მუშაობა მოიწონა.

დაევალოს კულტგანყოფილებას დაუყოვნებლივ შეუთანხმდეს სომხეთის პროფსაბჭოს სომხური პროფლიტერატურის მოწოდების და გამოცემის მოსაგვარებლად კულტგანყოფილებამ დღის წესრიგში დააყენოს საკითხი კავშირებისათვის პროფლიტერატურის ნისიად მოწოდების შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(7 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

	ჩერვონეცით
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	8 მ 52 კ.
„ ჩეკები	— 7 მ. 50 ნახ. კ
დოლარი ეფექ.	— 1 მ. 94 5 კ.
„ ჩეკები	— 1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ეფ	— 90 კ
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანც. ფრან. 100 ცალი	9 მ. 40 კ.
ოქროს მანეთი	125 მილიონი.

[illegible] ფასები.

(6 მაისი)

პური 2 ხარ.—5,5 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კაპ., შაქარი ფხვნილი—26,5 კ., ბრინჯი ადგილ.—15 კ., კარტოფილი—2,5 კაპ., მაკარონი 16 კ. საპონი „ტოლლე“ 22 კ., ლობიო—3,5 კ

თბილისის ბაზრის ფასები

(6 მაისი)

პური 1 ხარ. 8 კაპ., პური 2 ხარ.—6 კ., შაქარი რაფინადი—34 კაპ., შაქარი ფხვნილი—27 კაპ. ძროხის ხორცი 30 კ., მაკარონი—18 კ., კარტოფილი—3 კაპ.

ბირჟის მიწოდება

„ქიმუგოლ“-ის პროდუქცია, აბრეშუმის ნაწარმოები, (ფრიზონი, დრეჟე და სხვ), „[illegible]“-ის პროდუქცია, გოგირდი „სუბლიმე“ და „ზოლა“, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი, შაბიამანი, შაბი, ფანჯრის მინა, ლურსმნები, კაუსტიური სოდა, სახ. მეურნ. საბჭოს საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპნი ნართაჟი, ოლიფას ზეთი და სხვ), „ხლებოპროდუქტი“-ს ფქვილი, მავთული მარტენის, ნიშადური, გასალეწი მანქანები, ფქვილი, მაკარონი, ვერმიშელი და თივა.

ბირჟის მოთხოვნილება

კონიაკის ბოთლები, ბარგის ჩასაწყობი მასალა, ნაფთალინი ჯაგარი, [illegible] და მიტკალი, თუშური მატყლი, ნედლი ტყავეულობა, მზესუმზირის ზეთი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი. ქვა მარილი ნახ ჩ

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბალზე და პურეულზე ფასები დაწეულია; დანარჩენ ბაზრებს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

თბილისის ბაზრის მდგომარეობა

(6 მაისი).

კვლავ გრძელდება თბილისის ბაზრის უმოქმედობა, რომელიც დაიწყო წარსული კვირის პირველ დღეებში ეს განსაკუთრებით ითქმის სანოვაგეზე, რომელზედაც არ არის არც მიწოდება, არც მოთხოვნილება. საერთოდ, ძალზე შესუსტებულია პროდუქციის მოზიდვა. ამ მოვლენამ იმოქმედა ერთის მხრით ფასების აწევაზე და მეორე მხრით—პროდუქტების ხარისხზე მაგალითად კარაქი, რომელიც აქამდი ღირდა 1 მ. 30 კ., ეხლა იყიდება 1 მ 60 კაპ ერბო 1 მ 20 კ. ყველი 1 მ 30 კაპიკამდი. ბოსტნეულობა (კარტოფილი, ჭარხალი და სხვ) თუმცა უმნიშვნელო დონეზე დარჩა, მაგრამ დაბალი ღირსებისაა. იმავე მდგომარეობაში იმყოფება ხორცის ბაზარი: ძროხის ხორცი ნაკლებად არის (ისიც ცუდი ღირსებისა); ცხვრის ხორცი თითქმის სრულებით არ მოიპოვება, ხოლო ბატკნის ხორცი იყიდება 70—90 კაპიკად. უკეთეს მდგომარეობაშია მანუფაქტურა: რამოდენიმე გაცხოველება ეტყობა ხითაროვის პასაჟს და საფეიქრო სინდიკატს: თხოულობენ უფრო სახაფხულო ფართეულობას.

ტყავეულობის ბაზარზე მოძრაობა მისუსტებულია, გარდა ყოფ. ადელხანოვის მაღაზიისა, სადაც დიდი მოთხოვნილებაა სახაფხულო ფეხსაცმელზე (სანდალი, ბრეზენტის ფეხსაცმელი და სხვ) სჩანს, რომ ამ ბაზრის მოდუნებას ხანგრძლივი ხასიათი ექნება; რამდენიმეთ გამოცოცხლება მოსალოდნელია არა ადრე, 15—17 მაისისა. შავი ბირჟის მოქმედებაც მოდუნებულია: გარიგებები იშვიათია და წვრილი. ვალიუტის პარიტეტი შემდეგია: 1 გირ. სტერლ.—8 მ. 20 კაპ.—8 მ. 25 კ.; დოლარი—1 მ 92 კ., ლირა—1 მ. 5., ოქროს თუმნიანი 12—70—12—80 კ., 1 ჩერვონეცი 122—123 მილიარდი.

საბჭოთა სასამართლოში

მეძავი ქალის გასამართლება

აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლომ გაარჩია სოფიო პატუდანსკაიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 176 მუხ 1 ნაწილში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება,—მეძაობა და გარყვნილების ბუდის მოწყობა. 1922 წლიდან ხსენებული სოფიო პატუდანსკაიას სახლში სისტემატიურათ იკრიბებოდენ ქალები და მამაკაცები და ეწეოდენ გარყვნილებას. ამავე სახლში მცხოვრებ მდგმურების განცხადებით, სოფიო პატუდანსკაია გასამართლებულ იქნა 1923 წელს. სასჯელისაგან განთავისუფლებული პატუდანსკაია კვლავ დაუბრუნდა თავის საქციელს ა/წ. 28 თებერვალს მის ბინაზე [illegible] სტუმრებმა ატეხეს ჩხუბი და რევოლვერით სროლა, რის გამო მეძავი ქალი ხელმეორეთ იქნა დაპატიმრებული.

სასამართლომ ამხ შომახიას თავმჯდომარეობით და მსაჯულ ბაიდაშვილისა და მურადოვის მონაწილეობით დამტკიცებულათ სცნო პატუდანსკაიას მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და მისაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით წინასწარ პატიმრობის ჩათვლით და ქონების კონფისკაციით.

ქრონიკა

■ **სრ. საქართველოს გლეხთა კომიტეტების ყრილობა.** 20 მაისს დანიშნული სრ საქართ. გლეხ კომიტ. ყრილობა გადაიდო 6 ივნისს. მოწვეული იქნება სამაზრო გლეხ კომიტეტების თათბირი.

■ **თვითმშრომელ საზოგადოების ყრილობა.** თვითმშრომელთა საზოგადოების ყრილობა გადაიდო, ყრილობა შესდგება პროვინციის თვითმშრომელ საზოგადოების წევრთა შემადგენლობის გაწმენდის შემდეგ.

■ **მანქანა-იარაღების საურთიერთო დამხმარე ამხანაგობა.** გორის მაზრაში დაარსდა მანქანა-იარაღების საურთიერთო დამხმარე ამხანაგობა.

■ **წითელ დროშის ორდენით დაჯილდოება.** ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა: დაუტოოს უფლება ა. კ. ყველა ცაკს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

■ **საავადმყოფოს გახსნა.** ქ. აღმასკომმა ნება დართო ჯანმრთელობის განყოფილებას გადაიტანოს სოფ. გუნიაკალაში ბავშვების საავადმყოფო

■ **მანგლისის აგარაკების ნაციონალიზაცია.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: ვინაიდან სახ. კომ. საბჭოს დეკრეტით მანგლისი გამოცხადებულია კურორტათ, მოხდეს მისი ნაციონალიზაცია და ჩამოერთვას ყველა აგარაკები იმ მეპატრონეებს, რომელნიც მუდმივად მანგლისში არ სცხოვრობენ.

■ **ფილოდოსიევის ქ. და ალექსანდრეს ბაღში ეკლესიების აღება.** წინადადება მიეცა ქ. აღმასკომის კეთილმოწყობის ქალ. განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს ალექსანდრეს ბაღში და ფილოდოსიევის ქ. მდებარე ეკლესიების დარღვევა-აღებას.

■ **აფთიაქების იჯარით აღება.** ჯანმრთელობის სახკომისარიატიდან აფთიაქების იჯარით აღების საქმის მოწესრიგების და ამ მიზნით საჯარო ხელშეკრულებებზე ხელისმოწერა ქ. აღმასკომმა დაავალა ამხ მამულიას.

■ **მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების რეორგანიზაცია.** ქ. აღმასკომმა აღმასკომის მ. და გ. ინსპექციის განყოფილების სარეორგანიზაციოთ შეადგინა კომისია ამხ ამხ სტირინის, ბოლქვაძის და მ. გ. ინსპექციის წარმომადგენლის შემადგენლობით რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს ორი კვირის განმავლობაში.

■ **სტუდენტობის აღრიცხვა გაგრძელდება.** ვინაიდან 1923 წ. ნოემბრის აღწერაში და აპრილში 1924 წ. დამატებითი აღწერაში, ყველა სტუდენტებმა არ მიიღო მონაწილეობა, რაიც სტუდენტობაზე სწორი ცნობების შეკრებას ძლიერ აბრკოლებს, ამიტომ ა. წ 8 მაისიდან 1-ლ ივნისამდე განათლების კომისარიატში (თორ. მელიქ ქ № 5 ოთახში № 18 იწარმოებს აღწერის გარეშე დარჩენილ სტუდენტობის აღრიცხვა. ამ ხნის განმავლობაში უსათუოდ უნდა გამოცხადდენ და აღიწერონ. ვინც ამ უკანასკნელი ვადით არ ისარგებლებს და არ აღირიცხება, ის სტუდენტები ყოველი საპატიო მიზეზების გარეშე და ყოველი შუამდგომლობის მიუხედავათ გამორიცხული იქნება უმაღლეს სასწავლებელიდან

■ **ცემენტი ზაჰესისათვის.** ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრ. სადგურის საჭიროებისათვის მიღებულია 30 ვაგონი ცემენტი.

■ **მუშაობა არხებზე.** ავჭალაში გასაყვან არხების სიღრმემ მიაღწია 2 საჟენამდე მტკვრის დონეზე დაბლა, მიუხედავათ ამისა წყალდიდობა მაინც არ უშლის ხელს მუშაობის წარმოებას.

■ **ფოთი.** 2 მაისს ფეხბურთის შეჯიბრებაზე, რომელიც მოხდა ქ. ფოთში—„უნიონის“ და თბილისიდან ჩამოსულ—„უნიტასის“ სასპორტო რაზმებს შორის გამარჯვება ხვდა ფოთს.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

■ **სანგანათლების ქოხები სოფლად.** მაისის და ივნისიდან დაიგზავნება მაზრებში სოფლის სანგანათლების ქოხების მოსაწყობად სანგანათლების გამოფენა.

■ **შუამდგომლობა გადასახლების შესახებ.** თელავის მაზრის სოფ. სანავარდოდან ჩამოვიდა დელეგაცია, რომელიც შუამდგომლობს ახალქალაქის მაზრაში სოფლის გადასახლების შესახებ, ვინაიდან სანავარდოში საშინელი მალარია მუსრს ავლებს მცხოვრებლებს.

შემთხვევები.

■ **ცოლის დაჭრა** 27 აპრილს დილის 1-ლ საათზე ნარიოს შესახ. № 27 მოქალ. მიხეილ ისაკის ძე მოსულიშვილმა დანით მძიმეთ დასჭრა თავის ცოლი რიფსიმე. მიზეზი გამოურკვეველია. დამნაშავე შეიპყრეს.

■ **მკვლელობა.** 27 აპრილს რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა მოკლული იქნა რევოლვერით მოქ. აკოფ დორჩალინი, მკვლელობის თანაზე ეჭვით შეიპყრეს გრიგოლ დორჩალინი, გრიგოლ ბაინდუროვი და არაქელ გრიგორიევი.

■ **ქურდობა.** 26 აპრილს დილის 9 საათზე კამოს ქ. № 7 გაქურდული იქნა მოქ. მიხეილ გაგნიძის ბინა. წაღებულია ნივთები 800 მან.

— ამავე დღეს საღამოს 10 საათზე ელისაბედის ქ. № 68, გაქურდული იქნა მოქალაქე ეგიშ ამირხანოვის ბინა, წაღებულია 500 მან ნივთები.

— ამავე დღეს ღამით კვირაცხოვლის ქ № 26, კლიტის გატეხის საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. გრიგოლ ორბელიანის ფეხსაცმლების სახელოსნო. წაღებული ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

■ **გვამის პოვნა** 27 აპრილს საღამოს 10 საათზე ანდრიევის და საბურთალოს ქუჩას შუა მდებარე მინდორზე იპოვეს უცნობი მოქალაქის გვამი, რომელსაც ტყვია აქვს თავში მორტყმული: მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა მოწმობა № 227 გაცემული ონის რაიაღმასკომიდან გიორგი ტომარაძის სახელზე. ძებნა სწარმოებს.

■ **გვამის პოვნა.** 2 მაისს 12 სამილიციო რაიონში აღმოაჩინეს 65 წლის მამაკაცის გვამი.

■ **მკვლელების შეპყრობა.** 4 მაისს შეიპყრეს შალვა მაზგაშვილი, ვასილი თაყაიშვილი, იასონ ხოზულაშვილი, ნიკოლოზ მეტეხელი და ვანიკ ოქუჯიანი, რომელნიც ბრალდებათ 29 აპრილს წმ ნინოს სასაფლაოს ეზოში მოქ. მიხეილ ლაზარაშვილის მოკვლა. მიზეზი: ერთი თვის წინეთ მოკლულ ლაზარაშვილის განცხადებით ქურდობისთვის დაპატიმრებიათ მაზგაშვილი, რომელსაც შური საძიებლათ შეუკრებია 5 აღნიშნული პირი და ლაზარაშვილი გაუტყუებიათ წ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც ლაზარაშვილი მოჰკლეს ქვებით.

ხელოვნება

ქუთაისის მუსიკალური ქრონიკა.

მუსიკალური ცხოვრება ქუთაისში, არაჩვეულებრივათ გაცხოველდა.

საკონცერტო ესტრადაზე ასრულებენ სერიოზულ მუსიკალურ ლიტერატურის ნაწარმოებებს, რაც წინეთ შეუძლებელი იყო, რადგან არ იყვნენ მუსიკის სერიოზულ კლასიკური ნიმუშების შემსრულებლები და ამის გარდა არ იყო არც შესაფერი აუდიტორია.

ეხლა სწარმოებს საკონცერტო მუშაობა. იმ კონცერტებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქუთაისში უკანასკნელი დროის განმავლობაში, აღსანიშნავია რუსეთის დიდებულ ლირიკოსის ჩაიკოვსკის ხსოვნისათვის მიძღვნილი კამერული საღამო.

პროგრამა მთლიანათ შედგებოდა კომპოზიტორის ნაწარმოებებისაგან. მუდმივმა კვარტეტმა, რომელიც არსებობს ტეხნიკუმთან, შეასრულა ჩაიკოვსკის კვარტეტი სკრიპკის კონცერტი და სერენადა შეასრულა სკრიპკაზე დამკვრელმა კარამანოვმა; ამას გარდა მომღერალ ქალმა მიხაილოვამ მიერ შესრულებული იყო მთელი რიგი რომანსები.

ამ კონცერტის შემდეგ გამართული იყო ტეხნიკუმის მასწავლებელთა შემადგენლობის საღამო; პროგრამა მიძღვნილი იყო ბეთხოვენის და ლისტის ნაწარმოებებისათვის პიანოს კლასის მასწავლებელმა ტალვიკმა და სკრიპკაზე დამკვრელმა კარამანოვმა შეასრულეს ბეთხოვენის სონატა და კვარტეტი.

პიანისტმა ქალმა ელენე პეტროვამ შეასრულა ლისტის სიმფონიური სურათი „დასაფლავება“.

—

■ **პოეზიის დღე** დღეს, 7 მაისს, ქართული მწერლობის ტრადიციული [illegible] „პოეზიის დღის“ აღსანიშნავად ხელოვანთა სასახლეში გაიმართება საზეიმო საღამო პროგრამა—სიტყვა, მუსიკა, ლექსები და სხ. ამავე დღისათვის გამოდის ჟურნალი „კავკასიონი“ (№ 3—4) და საგანგებო გაზეთი „პოეზიის დღე“

■ **ჟუკოვის და რეიზენის გასტროლი** 20 მაისისათვის თბილისში მოელიან მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტმეისტერის ჟუკოვის და ამავე თეატრის პრიმა-ბალერინას მარია რეიზენის ჩამოსვლას. ისინი 2 წარმოდგენას გამართავენ სახელმწიფო ოპერის შენობაში. ამ დღეებში ოპერის სალაროში დაიწყება ჩაწერა ბილეთებზე.

■ **ცენტრალურ პარტიულ კლუბში.** შაბათს, 10 მაისს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. ნოვიკოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ლენინიზმი და ნაციონალური საკითხი ლენინის გაშუქებით. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

პროვინციაში

პირველი მაისი სოფ. შაშიანში (კახეთი)

სახალხო კავშირის მიერ, რომელსაც აქვს აღებული კულტურული შეფობა სოფელ შაშიანზე, გაგზავნილ იქნა საშეფო კომისია პირველ მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად, შემდეგ შემადგენლობით: კომკავშირიდან 1, ახალგაზრდათა კომკავშირიდან 1 და 1 ქალთა ორგანიზაციიდან საშეფო კომისიას თან ახლდა სამხედრო ორკესტრი და დრამატიული წრე. კომისია გაემგზავრა კახეთში 30 აპრილს ღამის 1 საათზე.

სადგურ [illegible] შემოუერთდენ კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი რიცხვით 200 კაცამდე ამხ ბარამიძის ხელმძღვანელობით, აქედან ერთად ჩამწკრივებულნი გავეშურეთ შაშიანისაკენ, იქ დაგვხვდა მოგროვილი იმ რაიონის მცხოვრებნი.

კრებას ხსნის თელავის პარტკომის რწმუნებული.

პირველ მაისის მნიშვნელობაზე, ისტორია—წარმოშობაზე მოხსენებას აკეთებს ვრცლად ამხ ბარამიძე, რომელიც გარკვეულად ხსნის პირველ მაისის მნიშვნელობას მშრომელ კლასისათვის. თელავის პარტკომის სახელით ლაპარაკობენ დღესასწაულის შესახებ ამხანაგები ცინცაძე და დავიდოვი.

სახალხო კავშირის, სოფელ შაშიანის შეფის, სახელით მისალოცი და მისასალმებელ სიტყვას ამბობს საშეფო კომისიის თავმჯდომარე ამხ ივანიშვილი, და ამავე კავშირის კომუნისტურ ახალგაზრდობის სახელით ამხ [illegible]

უკანასკნელი, მოკლე მისასალმებელ სიტყვის შემდეგ, მიტინგს აცნობს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას.

მიტინგის დახურვის შემდეგ მახლობელ სოფელ ურიათ უბნიდან გვთხოვა კომისიას წავსულიყავით მათ სოფელში, რადგან მათი შეფი კავშირთა კავშირი არ მოსულიყო. ჩვენც დავაკმაყოფილეთ მათი თხოვნა, წავედით და იქაც იქნა წარმოთქმული სიტყვა დღის მნიშვნელობაზე და შეფობის მუშაობაზე ქალაქის და სოფლის ერთმანეთთან დაკავშირებაზე. მიტინგების ჩატარების შემდეგ იქნა გამართული ცეკვა-თამაში. საღამოს სოფელ შაშიანში დრამატიული წრის მიერ იქნა მოწყობილი წარმოდგენა, დაიდგა [illegible] კომედია [illegible]. იქნა აგრეთვე წაკითხული სხვადასხვა ლექსები თანამედროვე მომენტიდან და სახუმარო სცენები.

საერთოდ დიდათ კმაყოფილნი და ნასიამოვნები დარჩნენ სოფლებ შაშიანის და ურიათ უბნის მცხოვრებნი, გამოთქვეს იმედი, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა მომავალშიაც არ მოგვაკლებს კულტურულ მზრუნველობას, რითაც უფრო განმტკიცდება კავშირი ჩვენს და ქალაქს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფ შაშიანის ინტელიგენცია, ე. ი. მასწავლებლობა და მოწინავე სოფლის ამხანაგები დიდ მზრუნველობას და დაუღალავ მუშაობას ეწევიან სოფლის კულტურულ მხრივ აყვავებისათვის. დაწყებულია ორ სართულიანი შენობა სკოლისათვის, არსებობს წიგნთსაცავი, აქვთ შემუშავებული გეგმა გამოიყვანონ სოფელ შაშიანში მილით წყალი, ვინაიდან წყლის სიშორით ძალიან შეწუხებული არიან, უხდებათ რამოდენიმე ვერსიდან წყლის ზიდვა ურმებით. იმედია, მუშურ-გლეხური მთავრობა დაეხმარება სოფელს აღნიშნულ მილის გაყვანაში.

არსებობს სამკითხველო, რომელსაც შეფის მიერ ყოველდღიურად ეგზავნება ჟურნალ-გაზეთები და ამჟამათაც იქნა შეძენილი და გაცემული 100 ქართული წიგნი.

ვუსურვებთ სახალხო კავშირს, მეტი მზრუნველობა და დახმარება გაუწიოს სოფელ შაშიანს კულტურულ აღორძინების ხაზით.

საშეფო კომისიის წევრი უ—ძე.

პირველი მაისი მარტყოფში (გარე-კახეთი)

30 აპრილს ამოვიდნენ სოფელ მარტყოფში მარტყოფის შეფები, ექსპედიციის მუშები, რომლებმაც ამოიტანეს კინოს აპარატი. საღამოს მთელი მარტყოფი იყო განათებული ელექტრონით, რომელიც დადგეს ექსპედიციის მუშებმა.

თეატრში მოიყარა მთელმა სოფელმა თავი, ტევა აღარსად იყო, აჩვენეს კარგი სურათები კინომ დიდი აღტაცება გამოიწვია გლეხობაში. იმ დღესვე გახსნეს ლენინის კუთხე. რისთვისაც ამოიტანეს შეფებმა 42 მეტრი წითელი და შავი სატინი, და ბიუსტი ლენინისა, დეკორატორმა ოსტატურათ გააკეთა ლენინის კუთხე გარშემო ამშვენებს პლაკატები და ლენინის ბიბლიოტეკა—37 წიგნით.

ამას გარდა 4 ფუთი ბენზინი ამოიტანეს შეფებმა ელექტრონის სადგურისათვის.

მეორე დღეს, პირველ მაისს მთელმა თემმა—სამი ათასი კაცზე მეტი მოიყარა თავი მარტყოფში. გაიხსნა მიტინგი ინტერნაციონალის სიმღერით, მოწაფეები მღეროდენ. მიტინგი დიდი აღტაცებით ჩატარდა. შემდეგ—მიტინგისა, მთელი ხალხი წავიდა ლენინის კუთხის გასახსნელად. ჯერ გლეხებმა ყველამ დაათვალიერეს ლენინის კუთხე, შემდეგ იყო გაშუქებული ლენინის კუთხის მნიშვნელობა და ლენინის ბიოგრაფია.

საერთო კრებამ დაადგინა, რომ სოფ მარტყოფს დაერქვას „წითელი მაისი“.

ექსპედიციის მუშებმა შესძლეს ლენინის მცნება—გლეხებთან დაკავშირება. გაუმარჯოს ამ კავშირს.

ა. ფენიაშვილი.

შილდის თემი (გორის მაზრა)

22 აპრილს აქ გვეწვია ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ლექტორი ექ. ლომაური, რომელმაც წაგვიკითხა რამოდენიმე ლექცია საექიმო დარგიდან ამის გამო გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია:

შილდის თემის მრავალრიცხოვანი მოქალაქეთ მოვისმინეთ რა მეცნიერულად დასაბუთებული, მკაფიო გასაგებ ენაზე, ცხოვრებიდან ამოღებულ მაგალითებით გაცხოველებული მოხსენება ჭლექზე, ათაშანგზე, მალარიაზე, ლოთობაზე და სხვა, მადლობას ვუცხადებთ ექ. ლომაურს, აგრეთვე მთავრობას და გამოვსთქვამთ სურვილს, რათა ამ ლექციებში ხსენებული ექიმობა და წამლობა ახლო მომავალში ყოფილიყოს გატარებული ცხოვრებაში.

ა. ნ.

სოფ. პრიუტი (თბილისის მაზრა)

სოფ პრიუტი თბილისზე დაშორებულია 40 ვერსის მანძილზე. პრიუტის თემი შესდგება 19 სოფლისაგან ეს თემი კულტურულათ ძალიან დაცემულია საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაეტყო გამოცოცხლება განათლების მხრივ. ამჟამად სოფ. პრიუტში არსებობს ქართული და რუსული სკოლები და ქოხსამკითხველოები.

მეურნეობის მხრივ ამ თემში ღირსშესანიშნავათ მიმდინარეობს საქმე ყველა სოფლებში. ამჟამად არსებობს ყველა სოფლებში სოფმიწკომები, აგრეთვე ურთიერთ დამხმარე კომიტეტებით შესანიშნავათ ტარდება ცხოვრებაში მიწის რეფორმა, აღფრთოვანებით ეგებება მთელი გლეხობა საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილ მიწის კანონებს და მის ცხოვრებაში გატარებას. თითქმის ყველა გლეხებს თავიანთი მიწის ნორმა აქვთ მინიჭებული, თუ რაიმე გაუგებრობა რჩება სოფმიწკომებს და გლეხებს შორის, მაშინ თვით მიმართავენ თემის საბჭოს, გაუგებრობის გამოსარკვევათ, სადაც ღებულობენ სათანადო დაკმაყოფილებას.

მიმდინარე წელს გლეხობას მეტი ხალისი ეტყობა ყანების დამუშავებაში, ვინემ შარშან, რაც აიხსნება სოფლის პროდუქტებზე ფასების აწევით.

ა. დელონგა.

ბავშვთა დღესასწაული ფოთში

ორი მაისი ბავშვთა დღეა. ახალგაზრდობა, ჩვენი მომავლის დღესასწაულია. ამიტომაც არის, რომ მას ასე მხიარულად და აღტაცებით შეხვდნენ, როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები.

დილიდან გრილა, აღარ არის ის პაპანაქება სიცხე, რომელიც იყო პირველ მაისს თითქოს ბუნებაც იჩენს სინაზეს ბავშვებისადმი ქუჩებს დილიდანვე ავსებს [illegible] მოწაფეების სიმღერა, ბავშვების ჟრიამული. ყველა სკოლებიდან დილის 8 საათიდან იყრიან თავს ყოფილ „სობოროსთან“ წითელი დროშებით. დროშებზე სხვადასხვა წარწერაა. აქ არიან ბავშვები 3—12 წლამდე. მათთან არის „[illegible]“. ლ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს დემონსტრაციას.

შიგნით „სობოროში“ არის გამოფენა ბავშვების ნაწარმოების. სახელოსნო სკოლიდან, ქალთა პროფესიონალურ სკოლიდან და სხვა. გამოფენა ლამაზად არის მოწყობილი ხელმძღვანელები უხსნიან მიმსვლელთ გამოფენაზე სხვადასხვა საგნების მნიშვნელობას.

აქვე პატარა მჭედლები სახელოსნო სკოლიდან ურტყამენ უროს გახურებულ რკინაზე და გამოჰყავთ სხვადასხვა საგნები.

ბავშვები—მასწავლებლების ხელმძღვანელობით ათვალიერებენ გამოფენას, პატარები ამბობენ, ჩვენ გვინდა გავაკეთოთ ამისთანებიო, ერთი ტირის—მომეცით ურო და ცხელ რკინას გავჭედავო.

უკრავს სახელოსნო მუსიკა, რომელიც აცნობს მიტინგის დაწყებას. ყველა წითელი დროშები გამოაქვთ წინ და მათ უდგებიან საპატიო ყარაულები, კომკავშირის წევრები. ყველა სკოლის გამოუგზავნია დელეგატები, რომლებიც უნდა მიესალმონ ბავშვებს ისინი თავს იყრიან ტრიბუნასთან. განათლების ინსპექტორი მუსერიძე მიესალმება ბავშვთა მიტინგს მოკლე

მუშათა ცხოვრება

თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა

ეს ქარხანა—„თიმქა" ერთადერთია არამც თუ ჩვენში,—საქართველოში, ამიერ-კავკასიაში მასშტაბითაც,—მოთავსებულია (სამ. დრო ქუჩაზე). აქ აწარმოებენ ტელეფონ-ტელეგრაფების სხვადასხვა აპარატებს—და ზიანებული ნაწილების შეკეთებას, ზოგჯერ მათ გამოცვლით. ასეთი ნაწილები მეზობლ. სახელმწიფოებიდანაც იგზავნება აქ შესაკეთებლად. მზგავსი, მაგრამ პატარა ქარხანა აქვს აგრეთვე რკინის გზას თბილისში. უკანასკნელი მხოლოდ რკინის გზის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ქარხანა „თიმქაში" შესვლა და დათვალიერება მეტად სასიამოვნოა.

მუშების უმრავლესობა კვალიფიკაციური. ყველა გატაცებით მუშაობს. არც ერთი წუთი აქ ტყუილად უბრალოდ არ იკარგება. მუშები დიდი ინტერესით ეკიდებიან წარმოების ბედიღბალს: ფხიზლად ადევნებენ თვალყურს წარმოების წინსვლა წარმატების საქმეს, თავის დირექციას ნდობით ეპყრობიან და მისი რჩევა-დარიგებით გონივრულად სარგებლობენ.

უკანასკნელად ქარხანა იღებს კერძო დაკვეთებს მექანიკურ ნაწილებისას. წინად ასე არ იყო. ეს გამოწვეულია იმ მიზნით, რომ კერძო შეკვეთებიდან შემოსულ თანხით დაფარულ იქნეს ქარხნის ხარჯები და მოთხოვნილებანი. მუშებს შორისაც არის კარგი განწყობილება, რაც ძალიან უწყობს ხელს ქარხნის მუშაობას.

მუშკორი ჩხეიძე.

რა სჭირდება მუშას კოოპერატივებში

17 აპრილს ქარხკომიდან მივიღეთ ორდერები მუშკოოპიდან მანუფაქტურის მიღებაზე დაზღვევის სახით.

ჩვენი მუშები წავიდნენ ორდერებით ხელში ფართალის მისაღებად, მაგრამ რა მიიღეს? როგორც ცენტრალური მაღაზიიდან, ისე საუბნო მაღაზიებიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. მუშა მოითხოვს ფართალს, ჩითს, მიტკალს, სიცელებს, პირსახოცს, ცხვირსახოცს, ფეხსაცმელს და ერთი სიტყვით შინაურ მოთხოვნილების საგნებს, მუშკოოპის თანამშრომელი უპასუხებს: ჯერ არ გვაქვს, შაბათს მობრძანდით, მიიღეთ რიგის ბილეთი, შეიძლება იქნეს, შეიძლება არა". სურსათ-სანოვაგის მაღაზიაში უნდა მუშას, და უპასუხებენ, ეგ თქვენ არ გეკუთვნით, როგორც დაზღვეულს. ერთი სიტყვით, მუშა ხელცარიელი ბრუნდება ოჯახში; ძვირფასი საქონლის ყიდვა მას არ შეუძლიან, რას აძლევს კოოპერატივი მუშას, ან რა საქმე ნელს აძლევს მ. ? მრეწველები მუშები უბრუნებენ ორდერებს უკან ქარხკომს. ასეთ დაზღვევას მაღალი არ აქვს. მიაქციეთ ყურადღება ასეთ მოვლენას.

მუშკორი მელითონე.

ექსპლოატატორები შეუბრალებლად უნდა დაისაჯონ

(მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

პუშკინის ბაღის წინ არის რესტორანი „მოსკოვი". აქ ხაზეინებად არიან ცნობილი სპეკულიანტები, რომელთაც ყავთ აფიციანტის თანამდებობაზე აგერ ორი თვე არის ცოლშვილიანი კაცი კ. მელაძე, თვიურად აძლევენ 20 მან. ჩვეულებრივ ძალას ატანენ და ხდიან ამ ადამიანს იმუშაოს დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდის. ამ ცოლშვილიან კაცს აძლევენ თითო მანეთობით ხელფასს და აშინებენ: „მაშ არ მოგწონს, თვარა გადაგდებთ"-ო. არ აძლევენ ნებას, რომ ჩაეწეროს კავშირში, ვინაიდან ეშინიანთ გადიდების, არც დასვენების დღე არის. ეს კუზიანი ხაზეინები თვითონ ისქელებენ ჯიბეებს და ამ კაცს რას დაეძებენ.

მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორო, დრო არის მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ასეთ დაუშვებელ გარემოებას, მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა იქნეს დაზღვეული და ჩაწერილი წევრად სახალხო კვების კავშირში ეს პატიოსანი მუშა.

მუშკორი ა. დ. მათიაშვილი.

რკინის გზის ფოსტის განყოფილებაში

(ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის საყურადღებოდ)

თბილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილება, დილიდან ღამის 12 საათამდის მუდამ ღია არის და მოსამსახურენიც აქ ელოდებიან მატარებლების მისვლა-მოსვლას. მატარებლებს მიაქვს და მოაქვს სხვა და სხვა სასწრაფო მისაღებ გასაცემი ამანათები. ამგვარად არის რკინის გზის სასწრაფო ბარგების მიღებ-გაგზავნაც, სადაც მუშაობა სწარმოებს განსაზღვრულ საათების მიხედვით დილის 9—1-დის და ზოგჯერ კი მთელი 24 საათის განმავლობაში.

ასე არ არის მხოლოდ რკინის გზის ფოსტის განყოფილებაში, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს სხვა დაწესებულებებთანაც. აქ არ არის განსაზღვრული საათები, ეს კი მეტად აბრკოლებს გაგზავნა-მიღების საქმეს. მოსამსახურენი კი მთელი შემადგენლობით უქმე თუ არა უქმე დღეები იქ ელოდებიან მაინც მატარებლებს. მე მომიხდა ორ მაისს ამ განყოფილებაში შესვლა, რადგანაც მინდოდა გამეგზავნა პროვინციაში რამოდენიმე ცალი გაზეთები. აქ კი არც მარკა მომყიდეს, არც გაზეთები მიიღეს და გამომისტუმრეს ცარიელი.

შევეკითხე ფოსტის მოხელეს: „რაშია საქმე, რატომ თქვენც სხვა ამ გვარ რკინის გზის დაწესებულებებში უქმე დღეებში არა გაქვთ განსაზღვრული საათები თქვა". მან მიპასუხა, ჩვენ საერთოთ უქმე დღეებს მუშაობა აკრძალული გვაქვსო. მით უმეტეს ზედმეტ საათების მუშაობის ფული არ გვეძლევაო. საჭიროა, მიაქციოს ამას ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს და მათ მიეცეს განსაზღვრულ საათების მუშაობის უფლება უქმე დღეებში, როგორც რკინის გზის სხვა დარგებშია.

მუშა ხიდაშელი.

პირველი მაისის დღესასწაული.

ორთაჭალაში (ყოფილ ვარანცოვის) კომუნარის ქუჩაზე კარლ მარქსის სახელობის ზეთის სახდელ ქარხნის წინ დილით ადრე თავი მოიყარეს ზეთის გამომხდელ, საპნის ქარხნის, და ფეიქარ მუშებმა; ჩვენი მუშები ერთმანეთს ულოცავდნენ მშრომელთა დიდებულ დღესასწაულს. ყველას პირზე ღიმილი ეხატებოდა, ეტყობოდათ რომ გულით და სულით ხარობდნენ. სუყველას ყვავილები ეჭირათ და სიამოვნებით ერთმანეთს სთავაზობდნენ. უკვე ცხრა საათი იქნებოდა, ზეთსახდელ ქარხნის ეზოში კონტორის კარებთან კედელს გაზეთი იყო ჩამოკიდული (სამაისო ნომერი), რომელსაც ქაღალდი ჰქონდა ჩამოფარებული. მუშები ელოდებოდნენ კრების საზეიმო გახსნას. ამხ. სანოვაძემ დაარღვია სიჩუმე. მან წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. გახსნა გაზეთი სახელწოდებით „ჩაქუჩი", რომელიც იყო გამოკვეთილი რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე. წარმოსთქვა ქართულ სომხურ ენებზედაც სიტყვები. წაკითხულ იქნა კედლის გაზეთში დაბეჭდილი სამაისო ლექსი „ზაქრო ნავთლუღელის" და მის შემდეგ მწყობრად დროშებით გამოვემართეთ მესამე რაიონისაკენ, სადაც შევუერთდით ჩვენი რაიონის მუშებს და ჯარის ნაწილებს. რამოდენიმე დროს შემდეგ პროცესია ავლაბრის მოედნისკენ დაიძრა და გავემართეთ მუშათა სასახლისაკენ, საიდანაც რუსთაველის ქუჩით მივედით თავისუფლების მოედანზე, სადაც ილაპარაკეს დღის მნიშვნელობის გარშემო ამხანაგებმა სერგო ორჯონიკიძემ და სხვებმა. დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი მუშები დაიშალნენ თავთავის ბინებისაკენ.

მუშა ზაქრო ნავთლუღელი.

მეშაქრეების ექსკურსია ავჭალაში

21 აპრილს დილის 6 საათზე ქართულ მეშაქრეების მსმენელები, ფაკულტეტის დეკანის მოადგილის და რამოდენიმე მასწავლებლებით, გავემგზავრეთ ზემო ავჭალაში.

დილის ათი საათი და ჩვენ უკვე მცხეთაში ვართ, და ერთად თავმოყრილი გავემგზავრეთ ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურისაკენ. გზაში ვინახულეთ სხვადასხვა სანახავები. გზაში გვხვდებოდნენ გლეხები, რომლებსაც ვესალმებოდით მუშურ გლეხურ სალამით. მივადექით ელექტრო-სადგურის არხის დასაწყისთან, სადაც მოგვეგება ამავე სამუშაოს უფროსი ტეხნიკი, რომლის ხელმძღვანელობით ვათვალიერეთ მთელ მუშაობას. ხელმძღვანელი ცალ-ცალკე არხების და სხვა ნაგებობების დანიშნულებას თითქმის წვრილებით გვიხსნიდა. მისი ხელმძღვანელობით ვინახულეთ ის ტუნელი და ის არხი, სადაც წყალმა წყალის ქვეშ უნდა გაიაროს. აგრეთვე დავათვალიერეთ: მუშების სამკურნალო, მუშების სასადილო, მუშათა აბანო, ჰაერის მკუმშავი მანქანა, ელექტრო-სადგურის მანქანები, რომელთა დანიშნულების ახსნა განმარტება უფროს ტეხნიკისაგან დამაკმაყოფილებლად მივიღეთ. ელექტრო სადგურის დათვალიერებამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ ყველაფერი თავის რიგზეა, იდეალურად გაცხოველებული მუშაობა. ადგილობრივი მუშები აღტაცებით შეგვხვდნენ. ახლო მომავალში სადგური მზად იქნება და ჩვენი თავისუფალი შრომა იზეიმებს თავის უდიდეს გამარჯვებას. ჰიდრო ელექტრო სადგურის უფროს ტეხნიკს უძღვნით დიდს მადლობას და ადგილობრივ მუშებს ვუსურვებთ სრულ გამარჯვებას.

მუშკორ. ი. დოლიძე.

სიტყვით. ლაპარაკობს ტეხნიკუმის დელეგატი ქალი, რომელიც ესალმება ტეხნიკუმის სახელით და უსურვებს ორი მაისის დღესასწაულის ბრწყინვალედ ჩატარებას.

შემდეგ გამოდის დელეგატი ქალი ანთაძე, ის 8—9 წლის იქნება.

მკაფიოდ ახასიათებს ის ორი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობას. ის უკავშირებს პირველი მაისის და ორის დღესასწაულებს ერთი მეორეს და ამბობს, რომ პირველი მაისი ეს მუშათა დღესასწაულია, მათი ერთობის დღე, ორი მაისი კი ბავშვების დღესასწაული. პირველ მაისს გამარჯვებული მუშები ჩვენ გვაბარებენ თავის დროშებს, ჩვენ მემკვიდრენი ვართ მათი და მედგრად უნდა ვიაროთ მათ მიერ ნაჩვენები გზით.

ანთაძე ხაზს უსვამს მოწაფის მდგომარეობას მეფის დროს და ეხლა. როზგი, სარწმუნოების ჩანერგვა, გონების დაჩლუნგება და სხვა ასეთებით გვიმასპინძლდებოდნენ, ეხლა კი თავისუფალი სკოლაა, თავისუფალ სახელმწიფოში და იზრდებიან ნამდვილი მოქალაქეები, გაუმარჯოს თავისუფალ სკოლას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებასო, ამთავრებს ის თავის სიტყვას. მის სიტყვებს ტაშით შეხვდნენ. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

დელეგატები ტრიბუნაზე ცვლიან ერთი მეორეს. ზოგი ლექსს ამბობს და ზოგი მისასალმებელ სიტყვებს. კომკავშირის მდივანი ამხ. ჯიბლაძე აძლევს საჩუქრად ახალგაზრდებს წითელ ვარსკვლავს და ეუბნება: გადეცით რა ამ წითელ ვარსკვლავს, გაიგებთ მისი სხივები გაგაძლიერებთ თქვენი ახალგაზრდული ენტუზიაზმით. ამავე დროს სპარტაკელები აკეთებენ ცოცხალ ვარსკვლავს.

მოწაფეების სახელით მადლობას უძღვნის კომკავშირის კაკუთიძე. განათლების ინსპექტორი მუქერიძე უძღვნის ჯამს მოწაფეების დღესასწაულს და უსურვებს ახალგაზრდობას სახელოვან მომავალს.

დილიდანვე ადგილობრივ თეატრში გამართულია ბავშვების დილა, სადაც დაიდგა სხვადასხვა წარმოდგენები.

საღამოს განმეორდა წარმოდგენები სხვა პროგრამით.

ხუთ საათზე სპარტაკმა ქალაქის ბაღში ასრულა სხვადასხვა ნომრები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა დღესასწაული კარგად ჩატარდა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ლ. მარჯანიშვილი, რომელიც დაუღალავად მუშაობს ბავშვთა თეატრისათვის და მთელ თავის ენერგიას არ ზოგავს, რომ შეასწავლოს ბავშვებს ხელოვნება.

პრ. მეგრელიშვილი.

კორპორაცია „დერუჯის" განცხადების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

„კომუნისტის" № 98 მოთავსებულ კორპორაცია „დერუჯის" განცხადების გამო, რომ 30 აპრილს ახალ კლუბში თეატრის შესახებ საჯარო დისპუტში მომხსენებლად გამოცხადებული იყო კორპორანტი ალ. ახმეტელი, უკანასკნელთან შეუთანხმებლად მე, როგორც ინიციატორი ამ დისპუტისა ვაცხადებ, რომ „დერუჯის" განცხადება სიმართლეს მოკლებულია და თანხმობა ალ. ახმეტელისაგან, როგორც მომხსენებლის, მიღებული იყო სამჯერ: 1) თვით მის ბინაზე—როცა მან პრინციპიალურად დათანხმდა მოხსენების წაკითხვაზე და როცა გადაეცა ოფიციალური განცხადება კორპორაციისთვის გადასაცემად, რომ მათ დაენიშნათ თავიანთის მხრივ ოპონენტები. 2) როცა მეორედ მის ბინაზე გადმომცა მან თეზისების სათაური და ჩემს შეკითხვაზე—თუ ვის დანიშნავდნენ ისინი თავის მხრივ პრეზიდიუმში განაცხადა, რომ ჩვენის მხრივ პრეზიდიუმში იქნება აკაკი ხორავაო. 3) როცა გადავეცი უკვე დაბეჭდილი აფიშა და კიდევ შემპირდა, რომ მომხსენებლად გამოდიოდა. ყველა ზემოხსენებულის მოწმე იყო (სამჯერვე) მოქ. თ. ჟ[illegible]ნი, შემთხვევით დამსწრე პირი.

ანდრო შილაკაძე.

ყოფილ ჯიბგირის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ეს ჩემი განცხადება მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზ. „კომუნისტში".

აგერ ცხრა თვეა, რაც მე დავაგდე ჩემი სამარცხვინო „ხელობა"; მე ვიყავი პროფესიონალური ჯიბგირი, ვინაიდან მე ბავშვობიდანვე ქუჩაში ობლად დავრჩი და მშობლები არავინ მყავდა, ამიტომ ასეთ წრეში ჩავვარდი, რომლის ზეგავლენით მე პატიოსან შრომის გზას ავცდი და სამარცხვინო გზას დავადექი.

რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველა ეჭვები ჩემს წარსულის შესახებ წავშალო, ამიტომ ვაცხადებ საჯაროდ, რომ მე მსურს შევიდე იმ პატიოსან მუშურ-გლეხურ ოჯახში, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდება და ვიქნები პატიოსანი მშრომელის სახელით. ამიტომ ვგმობ რა ჩემს ძველ „ხელობას", ვთხოვ სათანადო ორგანოებს ეს ჩემი განცხადება მიიღონ სრული გულწრფელობით და აღმომიჩინონ კანონიერი მფარველობა ყოველივე მოულოდნელი შემთხვევისაგან.

გიორგი მკრტიჩის ძე ხარიბეგაშვილი, მეტს. სახელი „წიპწა".

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-სანაწილებო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომში ერთიანი პარტბილეთების მისაღებად: 1) სუნკო ვლას., 2) სურვილოვი ბოლესლავ, 3) შევცოვი პორფირი, 4) მირიტაძე გრიგოლ, 5) ცოტაძე კონსტანტინე, 6) მასურაძე შალვა, 7) გელოვანი ნიკოლოზ, 8) კლეპერმანი ერასტი, 9) დავრიშვილი ალექსი, 10) დოვლათოვი არშაკ, 11) ვაჭაძე ეფრემ.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

პროფესიული

— ხუთშაბათს, 8 მაისს, დღის სრულ 10 საათზე თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილებაში (ალმასკომი, ოთახი № 32) შედგება ფიზ. კულტ.-კულტურის თბილისის მაზრის საბჭოს საორგანიზაციო კრება, დღის წესრიგი: 1) საორგანიზაციო საკითხი.

იწვევენ წარმომადგენლნი: საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტისა, ახკომკავშირის თბილისის კომიტეტისა, ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების, პროფესიონალურ კავშირის საბჭოსი, „სპარტაკის" თბილისის საბჭოსი, „პოსტკრის" და ფიზიკ. კულტურ. უმაღლეს საბჭოს მდივანი ამხ. პიტერსკი.

განცხადებები

შაქრის ფხვნილი
ყველას შეუძლია იყიდოს
შაქრის ტრესტში
[illegible] ქუჩ., 5, ტელეფონი 19—68.
ნ 1100 1—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ზოლის დროს დადგომის გამო, სამგზავრო მატარებლების მოძრაობა მოხდება მეორე ზოლით, ესე იგი მოსკოვის დროით რომელიც ერთი საათით უკან არის ადგილობრივ დროსთან შედარებით; ამიტომ ყველა

სამგზავრო მატარებლები ივლიან ერთი საათით გვიან.

ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ პირობებთან შესათანხმებლად, ბორჯომის ადგილობრივი მატარებლის № 20 | 19 შემოსვლა შეიცვლება ამრიგად: გადის თბილისიდან დღის 2 საათზე მოსკოვის დროით, ბორჯომში მიდის საღამოს 8 საათზე 25 წუთზე. ბორჯომიდან გამოდის ღამის 12 საათზე, 30 წუთზე და მოდის თბილისში დილის 6 საათზე 40 წუთზე

1—1 ნის. 1102

ამით ცხადდება ბინადრეების საყურადღებოთ, რომ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ბრძანების თანახმად 1922 წ. 15 ივლისი, № 5079.

მ. ზ. ფაულზე ნადირობა აკრძალულია

ის პირები, რომლებიც დაარღვევენ ამ ბრძანებას, სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული და გამორიცხებიან საქართველოს მონადირეთა კავშირიდან

ნ 1101 1—1 საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭო

საქართველოს სამკურნ. და საბუნებისმეტყველო საზოგადოება აცხადებს,

რომ 18 მაისს, დღის 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (ვაკე) გაიხსნება

სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე სამეცნიერო ყრილობა.

საპროგრამო საკითხები—მალარია და ტუბერკ. წაკითხული იქნება აგრეთვე მოხსენებები პროგრამის გარეშე. დასწრება ყველასთვის თავისუფალია.

დელეგატებს ვთხოვთ ჩაეწერონ საზოგადოების მდივანთან დოქტორ [illegible] რკინის გზის საავადმყოფოში № ბინაზე: ბელინსკის ქუჩა № 7

დელეგატებს იქვე შეუძლიათ მიიღონ ცნობები ბინის, სურსათის და ყრილობის შესახებ. 2—1—ნ 1105

რ. ს. ფ. ს. რ.
საქციონერო საზოგადოება
„ხლებოპროდუქტ"-ი

აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ ა. წ. 6 მაისიდან წისქვილების შემდეგ [illegible] ფქვილზე ტომრობით, ვაგონობით გაყიდვით.

ფრანკო-დუბლიკატი ა.-კ. რკინისგზის ყოველი სადგური

„კრუპჩატკა" (დადი „000")	4 მ. 10 კ.	3—ცისფ. (ყ. დადი „II")	2 მ. 16 კ.
1—ცისფ. (ყ. დადი „00")	3 მ. 80 კ.	3—წითელი და 4—ცისფ. (დადი „III")	1 მ. 70 კ.
1—წითელი (ყ. დადი „0")	3 მ. 10 კ.		
2—წითელი (ყ. დადი „I")	2 მ. 60 კ.	ქატო	5 მ.

საწყობებიდან ტომრობით და ფუთობით გაყიდვის დროს ყველა ხარისხის ფქვილის ფუთი მეტი ღირს 10 კაპ. სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას ეძლევათ შეღავათი. მცხოვრებლების და წვრილი მეფუნეების უშუალოდ დასაკმაყოფილებლად გახსნილია „ლავაზ"-ი № 1 დესიმონოვის მოედანზე. ახლო მომავალში გაიხსნება ასეთები მოლოკანის მოედნის და პუშკინის ქუჩის რაიონებში

1—1 ნ 1104 საქციონერო საზოგ. თბილისის განყოფილება

ცხადდება ხელის მოწერა
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
სრულ და შემოკლებულ კრებულებზე. კრებულები გამოიცემა
ქართულ ენაზე.
ხელის მომწერთ მიეცემა დიდი შეღავათი ფულის შეტანა
გადაუნაწილდება 12 დან 20 თვემდე
ხელის მოწერა მიიღება ადგილობრივ წარმომადგენლებთან და ხელმომწერთა გამომცემლობის განყოფილებაში სასტუმრო ინტერნაციონალის მე 5 ოთახში (ოლღინსკის ქუჩა № 1). ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ამავე განყოფილებაში 3 დან 7 საათამდე
1—1 № 915

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენით დ'არსონვალით
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—1

ექიმი შ. გ. მეზრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადებულნი. სპეც. ცეიზის წამლობა—[illegible] 914 ყოველ ორგანოების დანათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წრთობა
რენტგენის სხივებით
დღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. სღ. ბებუთოვის ქუჩა № 28.
895-25-4

ექიმი
ქ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 746—25—24

დაიკარგა პირადობის წიგნაკი, ფორმა № 4 გაცემული ახალქალაქის რაიაღმასკომიდან 23 იანვარს 1924 წელს, № 498, ნიკოლოზ სოლომონის ძე ნაცვლიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 913 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებიდან. მიწა ტყის კადრის წიგნაკი. სატყეო საკონტროლო ხერგოლების თანამშრომლების სახელმძღვანელო ინსტრუქციები გრიგოლ გუდუს ძე ბოჭუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1—№ 917

დაკარგულია ლევან კარესელიძის მეტრიკული მოწმობა № 906 1912 წლის თარიღით ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1—№ 914

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის-ცეკავშირის საბანკო განყოფილება

აქტივი. ბალანსი 1 მაისისთვის 1924 წ. პასივი.

აქტივი	მან.	კ.
კასა	5,874	77
ფასიანი ქაღალდები და ჩეკები	588	28
მიმდინარე ანგ. ბანკებში	22,808	55
გამგეობის ანგარიში	92,650	—
მოძრავი ქონება	15	—
გაცემული სესხი	115,884	
ფასიანი ქაღალ. საკომის. გაცემული	580	86
კორესპონდენტთა ანგ-ში	33,456	01
სხვადასხვა პირთა ანგ-ში	810	16
საორგანიზაციო ხარჯები	455	—
მიმდინარე ხარჯები	2,768	54
დასაბრუნებელი ხარჯები	1,114	13
გარდამავალი თანხები	620	19
ბალანსი	277,564	87

პასივი	მან.	კ.
საპაიო თანხა	5,628	50
ძირითადი თანხა	10,000	—
მიმდინარე ანგარიშები	140,861	75
კორესპონდენტთა	25,953	49
პროცენტები და კომისია მიღებული	4,546	41
ფასიანი ქაღ. საკომ. მიღებული	574	72
ბალანსი	277,564	87

ცეკავშირის გამგეობა

ნ. 1106 1—1

საბანკო განყოფილების გამგე შ. გოგიჩაიშვილი.

მთ. ბუღალტერი ე. მიქიაშვილი.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ბალანსი 1-ლ იანვარი 1924 წელი

აქტივი. პასივი.

	აქტივი				
1	ანგ. ში კასისა	772	78		
2	„ სახელმწიფო ანგარიშ. ბანკ.	35	41		
3	„ საბჭოთა რუსეთის ფულ. ნიშ.	146	77	954	81
4	„ წიგნების მაღაზიისა.			2446	74
5	„ აგენტებისა და ქვე-ანგ. თანხ.			8113	66
6	„ წიგნების გამოცემისა			35480	78
7	„ ქაღალდის საწყობისა			29418	72
8	„ წიგნების „			178894	89
9	„ დებიტორებისა			26558	[illegible]
10	„ მოძრავი ქონებისა			1182	74
11	„ მაღაზიაში საკ. მიღებულ წიგნ.			2324	58
12	„ საკანცელარიო ნივთებისა			2996	47
13	„ საპაიო თანხისა საზ. „წითელ წიგ."			515	62
14	„ სალიტერატურო სამხატ. სექციის.			5346	80
15	„ სახელგამის ქუთ. განყოფილებისა.			11244	89
16	„ მოცემული ვექსილებისა			43398	68
17	„ ჟურნალი დროშისა.			1573	09
				367,417	61

	პასივი		
1	ანგ. ში კაპიტალისა	153,60	31
2	„ კრედიტორებისა	105,177	82
3	„ კომიტენტებისა	4,322	33
4	„ ა.-კავ. ფ. ნ. კომიტეტის სესხისა	55,000	—
5	„ პოლიგრაფიულ განყოფილებისა	26,294	79
6	„ წმინდა მოგებისა 1923 წ.	23,021	36
		367,417	61

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე შ. [illegible]

მთავარი ბუღალტერი ა. ნადირაძე.

1103 1—1

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 85

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სასამართლოს წყობილების დებულებისა, სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილების და დამატების ძალაში შესვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სასამართლოს წყობილების დებულებისა, სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილება და დამატება, რაც მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 მოწვევის მე 2 სესიაზე, შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე"-ში გამოქვეყნების დღიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. საბაშვილი.

23 აპრილი 1924 წ.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 15

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

რათა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილ თაობას საშუალება მიეცეს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ის მოზრდილი თაობა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის—წლოვანებით 18—40 წლამდე, ვალდებულია შეისწავლოს წერა-კითხვა დედა-ენაზედ ან სახელმწიფო—ქართულ ენაზედ სურვილისამებრ. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის მოხდება რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმით.

შენიშვნა: პირველი რიგში გატარდება წითელ-არმიელებზედაც. მხოლოდ მუშაობა მათ შორის წარმოებულ უნდა იქნეს არმიის პოლიტიკური განყოფილების უახლოეს მონაწილეობით.

2. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის დასრულებულ უნდა იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე ე. ი. 1931 წლის თებერვლის 25-ს.

3. მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციამ, როგორიც არიან მაგალითად: პროფესიონალური კავშირები, პარტიული ადგილობრივი ორგანიზაციები და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულება.

4. მოზრდილთა სკოლებისათვის პოლიტიკური განათლების ორგანოებს უფლება აქვთ გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო სკოლათა შენობები, აგრეთვე სახალხო სახლები, კლუბები და წითელ-კუთხეების, საბჭოთა დაწესებულებების შენობა და სხვა შესაფერი სადგომი.

5. სახაზო მოზრდილთა სკოლების ფინანსურად უზრუნველყოფა (მასწავლებელთა ჯამაგირი, სახელმძღვანელოები და სხვ.) გაღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

6. ვალდებულება დადგენილების სისწორით განხორციელებისათვის დაეკისრება პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელ. ლოლობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ილ. სადარიძე.

1924 წ. მაისის 5.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 8 მაისს, დილის 7 ნახ. საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია თათბირი კომუჯრედების დათვალიერების საკითხის გასარჩევად.

სავალდებულოა გამოცხადება შემდეგი ამხანაგებისათვის.

დოცკო, ლ. კამალოვა, ვარდოიანი, ლეჟავა, გრიშენკო, რიტინოვი, მ. რაიდ, ხრამ-ხელაშვილი, შენგელია, აგამალოვი, შუბლაძე, სოლომონიანი, ხაჩიძე, კოლესნიკოვი, ერანიკი, მირჯანიშვილი, მგალობლიშვილი, ელიაშვილი, ჯანიბეკოვი, ქუჩიძე, გრიშკინი, მოსიანი, კრიცკი, ზენიოვი, პეროვი, ცურაძე, დემეტრიშვილი, კოსუშოვი, ვავრიშე, ბაბლუნაძე, უსოვი, მეძველია, ფედორენკო, ლაგუნოვი, სამატელიანი

საორგანიზაციო განყოფილების გამგე: მაშკევიჩი.

— დღეს, ოთხშაბათს, 7 მაისს, დღის სრულ 2 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში მოწვეულია ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის კომუჯრედების ბიუროების სხდომა.

დღის წესრიგში დასმულია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

„კომუჯრედ"-ის ბიუროს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერი ივანესიანი.

სტამბა „ზარია ვოსტოკას" სახ. წერეთლის ქუჩა № 4